პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 2 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 199 (1744)

დღიური

— საბჭოთა მფრინავი ამხ. გრომოვი ჩაფრინდა საფრანგეთში.
— ჟენევაში დასრულდა ეროვნულ უმცირესობათა კონგრესი.
— მაროკოში ბრძოლა გრძელდება.
— კანტონის ჯარებმა აიღეს ხანკოუ.
— პროფინტერნმა მოწოდებით მიმართა ყველა თანამგრძნობ ორგანიზაციებს გადასდონ ერთი პროცენტი ანარიცხი გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ.

დღეს, 2 სექტემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის
გაფართოებული პლენუმი

რაიკომების პლენუმების, მსხვილი უჯრედების მდივნების, კავშირების ც. გ. თავმჯდომარეების და მდივნების და სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელების (კომუნისტების) თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შედეგები—მომხსენებელი საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. დოლიძე.

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

15 სექტემბრიდან დაიწყება 1904 წ. დაბადებულ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ჩვეულებრივი მორიგი გაწვევა წითელ-არმიაში, უკანასკნელის შესავსებათ 1902 წ. დაბადებულ წითელ არმიელთა მაგიერ, რომელიც უვადო შვებულებაში მიდიან. მაშასადამე, ეს არ არის რაიმე მობილიზაცია ან წითელი ლაშქრის არსებული რიცხვის გამრავლება.

მუშურ-გლეხურ ჯარის ეხლანდელი რაოდენობა კი ჩვენ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. იგი ისედაც უაღრესად მცირეა, თუ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა კავშირის მოსახლეობის და ტერიტორიის ოდენობას, ერთი მხრით, და კაპიტალისტურ ქვეყნების უზომო შეიარაღებას—მეორე მხრით, ქვეყნების, რომლებითაც ჩვენ დღემდე გარშემორტყმული ვართ და რომელნიც, მიუხედავად მშვიდობიანობაზე თვალთმაქცური ლაყბობისა, ეხლაც ატარებენ ოცნებას მშრომელთა რესპუბლიკების დამონების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლებამ კარგა ხანია გაატარა თავისი სამხედრო ძალების შემცირება: თუ წითელი არმია 1921 წელს, როცა მტები ყოველმხრივ გვესეოდნენ, უდრიდა 5 მილ. 300 ათას კაცს, დღეს იგი მხოლოდ 560 ათას კაცამდე აღწევს; თვითეულ ათას მოსახლეზე ჩვენში მოდის 4 წითელ არმიელი.

რას ვხედავთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში? მაგ., საფრანგეთის არმიის რიცხვი 1925 წ. უდრიდა 685.000 კაცს, თვითეულ ათას მცხოვრებზე მოდიოდა 17,5 ჯარისკაცი, მაშინ, როცა ამ ქვეყნის მოსახლეობა 3½ ჯერ ნაკლებია ჩვენისაზე და მისი ტერიტორიის სივრცე ოდნავ არ შეედრება საბჭოთა კავშირის მიწა-წყალს. ჩვენი დასავლეთით მოსაზღვრე წვრილ სახელმწიფოების არმიების რიცხვი უდრის 600.000 კაცს. შეიარაღების გაძლიერებაში მათ მისდევენ დანარჩენი ბურჟუაზიული ქვეყნებიც.

ამასთან დაკავშირებით კაპიტალისტური ქვეყნები აუარებელ სამხედრო ხარჯებს ეწევიან. ოთხი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოს (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ამერიკა) სამხედრო ხარჯები 1913 წ. უდრიდა 1.061 მილიონ დოლარს, ხოლო 1925 წ. აღწევდა 1.785 მილიონ დოლარს; ამგვარად, ომის წინადროსთან შედარებით ეს ხარჯები გაზრდილა თითქმის სამი მეოთხედით. მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების გასავლის 30-40 პროც. ჯარის შენახვაზე მიდის, ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტის 15 პროცენტზე ნაკლებია და იგი 4-ჯერ უფრო მცირეა მეფის სამხედრო ხარჯებზე.

ყველაფერი ეს მჭერმეტყველურად ღაღადებს საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობის მოყვარეობაზე და ამსხვრევს ნამდვილი იმპერიალისტების მიერ „საბჭოთა იმპერიალიზმზე“ გავრცელებულ ხმებს. ჩვენ გავატარეთ შეიარაღების შემცირება და ამ მხრივ კიდევ მეტ ნაბიჯებსაც გადავდგამთ, ვინაიდან მოწყურებული ვართ აღმშენებლობითი მუშაობას და ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას ყველა ქვეყნებთან. მაგრამ კაპიტალისტური სახელმწიფოები ამის საშუალებას გვისპობენ, რადგან ისინი თავიდან ფეხებამდე იარაღში სხედან და ჩვენზე კბილებს ილესავენ. ამიტომ იძულებული ვართ შევინარჩუნოთ ეხლანდელი სამხედრო სიძლიერე, არ შევამციროთ წითელ არმიის არსებული რაოდენობა და ვიზრუნოთ მის შინაგან განმტკიცებაზე, თვისებრივ ამაღლებაზე და ნივთიერ უზრუნველყოფაზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლება შემდეგშიც არ დააკლებს ცდას მსოფლიო შეიარაღების შემცირებისათვის და ურყევლად გაატარებს თავის სამშვიდობო პოლიტიკას.

დღეს-დღეობით კი, ვიმეორებთ, ჩვენ არ შეგვიძლია ოდნავ მაინც დაუშვათ ქვეყნის თავდაცვის უნარის შესუსტება. ამ მიზნით ხდება 1904 წელში დაბადებულ მშრომელ ახალგაზრდათა მორიგი გაწვევაც. როგორც ვსთქვით, ეს გაწვევა დაიწყება 15 ამა სექტემბრიდან. დრო ძალიან ცოტაა დარჩენილი გაწვევის კამპანიის ჩასატარებლად, საჭიროა ამ თავითვე სათანადო ზომების მიღება გაწვევის წარმატებით დამთავრებისათვის.

პირველ ყოვლისა საჭიროა, რომ მოსახლეობა შეგნებულად შეხვდეს გაწვევის კამპანიას. მას ფართედ უნდა განემარტოს წითელ არმიის მნიშვნელობა ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის საქმეში, დღევანდელ ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ამავე დროს მშრომელ მასას ერთხელ კიდევ უნდა მოვაგონოთ, რომ ჩვენი წითელი არმია არის არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო გუშაგი, არამედ უდიდესი კულტურული ძალა. წითელ ყაზარმაში ხდება მშრომელ ახალგაზრდობის პოლიტიკური და კულტურული ამზადება-გათვითცნობიერება. აქედან სოფელს უბრუნდება წერა-კითხვის მცოდნე, საერთოდ გათვითცნობიერებული საბჭოთა მოქალაქე. წითელი არმია შესანიშნავ სკოლას წარმოადგენს გლეხურ-მუშურ ახალგაზრდობისათვის.

შემდეგ: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გაწვევის ორგანიზაციას. კერძოდ მოსახლეობა საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ გაწვევის წესებს და იმ შეღავათებს, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებს წითელარმიელთ მათი ნივთიერ-ოჯახურ მდგომარეობის მიხედვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამაზე ცნობები სისტემატიურად თავსდებოდა ჩვენს გაზეთში უკანასკნელ თვეების განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ შარშან აქა-იქ ადგილებზე დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომები. წრეულს ეს შეცდომები თუ გაუგებრობანი აცილებულ უნდა იქნას. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული პარტორგანიზაციების და საბჭოთა ორგანოების ყურადღება.

მიუხედავად ამ ზოგიერთი შეცდომებისა, მორიგი გაწვევა შარშან საერთოდ ჩინებულად ჩატარდა. მშრომელი ხალხი მას დიდი შეგნებით და აღფრთოვანებით შეხვდა. ჩვენ სრული საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ წრეულს ახალი გაწვევა უფრო მეტი წარმატებით ჩატარდება. ყოველი გაწვეული ახალგაზრდა თავის დროზე უნდა გამოცხადდეს გასაწვევ პუნქტებზე—ასეთია ამოცანა. ეს ამოცანა მთლიანად განხორციელდება, თუ ადგილებზე შესაფერი იდეური და ორგანიზაციული მუშაობა იქნება შესრულებული.

მეორე ინტერნაციონალი და ერთა ლიგა

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

„ბუნტი“ მეორე ინტერნაციონალში, როგორც მოსალოდნელი იყო საფრანგეთის სოციალისტური პარტიის რიგებში წარმოშობილ მორცხვი, გაუბედავი ოპოზიციის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. პოლ-ბონკურის „საგმირო საქმეებმა“, რომელიც ერთა ლიგაში საფრანგეთის იმპერიალიზმის ინტერესების წარმომადგენელია და ასრულებს იქ, სოციალისტური „წმინდანის“ ჟან ლონგეს სიტყვით, საფრანგეთის გენერალურ შტაბის დირექტივებს, პროტესტი გამოიწვია საფრანგეთის მუშათა რიგებში. რომ არ შექმნილიყო და სწრაფად არ გაძლიერებულიყო მემარცხენე ფრთა, რომელიც პროტესტს აცხადებდა პარტიის ხელმძღვანელთა პოლიტიკის წინააღმდეგ, ჩვენ დიდხანს მოგვიხდებოდა ლოდინი იმისა, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საბჭოს სხდომაზე გაგვეგონა საპროტესტო ხმა პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ჩემბერლენთან, ბენეშთან, მუსოლინთან და ომის შემდგომი დროის კაპიტალისტური ევროპის სვე-ბედის ბატონ-პატრონთა სხვა დიდ და პატარა პირებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ.

ასეთივე პროტესტების ხმა გაისმა ბელგიის მუშათა პარტიაში, რომლის ბელადი ვანდერველდე არა მარტო განაგებს მისი უდიდესებულობის ბელგიის მთავრობის საგარეო საქმეთა, არამედ იცავს ბელგიის სამშობლოს ინტერესებს ერთა ლიგაში, როგორც მის ერთი გავლენიანი და ავტორიტეტული ხელმძღვანელთაგანი. საჭირო იყო პარტიული მასის დაბალი ფენების საზოგადოებრივი აზრის დაკმაყოფილება. ამ მიზეზის გამო, მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია ციურიხში იძულებული გახდა, რომ თავისი დღის წესრიგში პირველ საკითხად დაესვა ერთა ლიგისადმი დამოკიდებულების საკითხი.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთა ლიგის სარგებლიანობა და აუცილებლობა ვეგეტარიანულ რეფორმისტულ სოციალიზმის თანდათანობითი განხორციელების თვალსაზრისით, არავითარ ეჭვს არ იწვევს მეორე ინტერნაციონალის ბელადებში. საკითხი ეხებოდა მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო თანამშრომლობა ბურჟუაზიულ მთავრობებთან ისე, რომ ამას არ გამოეწვია მუშათა პარტიული მასის, დაბალი ფენების უკმაყოფილება.

მაგრამ, რასაკვირველია, უცნაური იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ პარტიათა ლიდერებს, რომლებიც ისწრაფვიან იმისაკენ, რომ თაიანთ ბურჟუაზიის ინტერესები დაიცვან ერთა ლიგაში, გაეკიცხათ თავისი მოქმედება და აღეარებინათ იგი, როგორც მუშათა კლასის ღალატი.

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა მართლაც ვერ გამონახა ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც შესძლებოდა მეორე ინტერნაციონალში შემავალ ყველა პარტიების ამ საკითხზე შეხედულებათა გაერთიანება. ყოველ პარტიას მიეცა უფლება, რომ მან თვითონ გამოარკვიოს ის პირობები, რომლებშიაც მის წევრებს შეუძლიათ ბურჟუაზიული მთავრობების წარმომადგენლობა. ამგვარად საფრანგეთის სოციალისტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ თუ კი ისინი მოისურვებენ, უკან გაიწვიონ პოლ-ბონკური ერთა ლიგიდან. მაგრამ შვეციისა და ბელგიის სოციალისტებს შეუძლიათ იმ მანდატის ვადის კვლავ გაგრძელება, რომელიც ბურჟუაზიამ მისცა მათ.

მართალია აღმასკომმა გამოსთქვა კეთილი სურვილი, რომ ერთა ლიგის დელეგატებსა და მათ პარტიებს შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს. მაგრამ ვინც იცნობს ბელადებისა და მასების დამოკიდებულების ნამდვილ ხასიათს სოციალისტურ პარტიებში, მას, რასაკვირველია, შეცდომაში ვერ შეიყვანს ამ დადგენილების ეს მოჩვენებითი დემოკრატიულობა. პოლ-ბონკურმა, როგორც ვიცით, თავის წერილში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიმართ, განაცხადა, რომ თუ მის წინაშე დადგება დილემა: ნაციონალური თუ პარტიული ინტერესები,—მაშინ იგი უპირატესობას მიანიჭებს ნაციონალურ ინტერესებს. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მას არ გამორიცხავენ პარტიიდან, მიუხედავად ლონგეს, ბრაკესა და სხვა ბელადების მქუხარე გამოსვლისა, რომლებმაც დაგვიანებით იწყეს თავიანთი დაკარგული სინდისის ძებნა.

რაც შეეხება პარტიულ მასის დაბალი ფენების უკმაყოფილებას, აღმასკომის სესიამ მათ დასამშვიდებლად გამონახა შესაფერი ლოზუნგი: „ერთა ლიგის დემოკრატიზაცია“,—აი, რამ უნდა გაამართლოს სოციალისტების მუშაობა ამ „პაციფისტურ“ დაწესებულებაში. სოციალისტები მზად არიან აღიარონ, რომ ეხლანდელი ერთა ლიგა მათ სავსებით არ აკმაყოფილებს, მაგრამ მათ სწამთ, რომ იგი გამოსწორდება. ჯერ-ჯერობით შესდგა კომისია, რომელმაც მოხსენება უნდა წარადგინოს ერთა ლიგის დემოკრატიზაციის შესახებ, მეორე ინტერნაციონალის უახლოეს კონგრესზე, რომელიც ამავე სესიის გადაწყვეტილების თანახმად შესდგება 1928 წელში. ამ დრომდე სოციალისტები უარს არ ამბობენ ეხლანდელ ლიგაში მუშაობაზე. ორიო წელი „ნაყოფიერ“ მუშაობისა წინაა. მეტი რაღა სურთ სოციალიზმის ამ ფულერებს.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 1 სექტემბერი.

ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტში

ამხ. ანდრეევის მოხსენება

საკავშირო პროფსაბჭოს და მოსკოვის საგუბერნიო პროფსაბჭოს სასწრაფო გაერთიანებულ სხდომაზე

ინგლისის დელეგაცია გაფიცულთათვის დახმარების მოწყობის წინააღმდეგ.—პროფმოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლად უფრო გადაჭრილი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა.—ამხ. ტომსკის სიტყვა.—გაერთიანებულ სხდომის რეზოლიუცია.—მიმართვა საბ. პროფორგანიზაციებისადმი ინგლისელ მემაღაროებისათვის დახმარების გაძლიერების შესახებ.—მიმართვა პროფინტერნისადმი დახმარების კამპანიის ჩატარებაზე.

მოსკოვი, 1 სექტემბერი. გუშინ საღამოს შესდგა სრულიად საკავშირო და მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირების პრეზიდიუმების სასწრაფო სხდომა კავშირების ც. კომიტ. წარმომადგენლებსა და საკავშირო პროფსაბჭოს მოსკოვში მყოფ წევრებთან ერთად. სხდომას დაესწრო ინგლისის მემაღაროეთა ცოლების დელეგაცია.

საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. **ანდრეევმა** ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის სხდომაზე თავის მოხსენებაში, რომელიც 2 საათს გაგრძელდა, დაწვრილებით გააშუქა ინგლისის და საბჭოთა დელეგაციების მუშაობა.

ინგლისის დელეგაციის განცხადება

სხდომის დაწყებამდე გამოვიდა ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ შეცდომა დაუშვა, როცა გამოაქვეყნა კომიტეტის მიერ პარიზში გამართული სხდომის დაწვრილებითი ანგარიში.

საბჭოთა დელეგაციის პასუხი

ამაზე საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციამ უპასუხა, რომ მას არ ჰქონდა მიცემული პირობა იმისი, რომ არ გამოაქვეყნებდა პარიზის სხდომის ანგარიშს. **ინგლის - რუსეთის კომიტეტი არ წარმოადგენს საიდუმლო, დიპლომატიური ხასიათის დაწესებულებას. საბჭოთა კავშირის მუშები დაინტერესებული არიან მისი მუშაობით.** აქედან ბუნებრივია საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის ანგარიში საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე, რომლის გადაწყვეტილებებსაც მასა გაეცნო.

სადაო საკითხი

უთანხმოება, ისე როგორც პარიზის სხდომაზე, ალიძრა დღის წესრიგის გარშემო. **ინგლისის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა იმას, რომ სხდომაზე პირველად დასმულიყო საკითხი მთლიანობის შესახებ. საბჭოთა დელეგაცია კი მოითხოვდა ინგლისის მემაღაროეებისადმი დახმარების პირველ საკითხად დასმას,** რადგან მთლიანობას თავის თავად გამოხატავს შეთანხმებული გამოსვლა კაპიტალის წინააღმდეგ. **ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის მწვავე მომენტი მოითხოვს სასწრაფო დახმარებას.**

საბჭოთა დელეგაციის წინადადებები

ცოტა ხნით სხდომის შეწყვეტის შემდეგ, **ინგლისის დელეგაცია დაეთანხმა პირველად განხილულიყო მემაღაროების დახმარების საკითხი.** ამ საკითხის გარჩევის დროს საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა მთელი რიგი კონკრეტიულ წინადადებებისა: გაძლიერებულ მატერიალურ დახმარების აღმოჩენა როგორც კომიტეტის მხრივ, ისე გენერალურ საბჭოსი და სხვა ორგანიზაციების მხრივაც, ინგლისში სათბობი მასალისათვის ხელის შეშლა და სხვა.

ამ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით შეტანილ იქნა სხვათაშორის წინადადება მიემართათ ტრანსპორტელთა საერთაშორისო ფედერაციისათვის წინადადებით, რომ ამ უკანასკნელს აეკრძალა ნახშირის შეზიდვა ინგლისში, აგრეთვე მიემართნათ ამსტერდამის ინტერნაციონალისა და პროფინტერნისათვის წინადადებით გაფიცულთათვის მოეწყოთ რეგულიარული დახმარება, მოწოდებით მიემართნათ ყველა ქვეყნის მუშებისათვის, რათა გაფიცვის მთელი ხნის განმავლობაში მათ თავის ხელფასიდან გაეღოთ ერთ პროცენტიანი ანარიცხი და სხ.

„სალი“ მოფიქრების შედეგი

ინგლისის დელეგაციამ თავის დეკლარაციაში აღნიშნა, რომ „სალი მოფიქრების“ შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წინადადებები მიუღებლად იქნენ ცნობილი და არც თუ შედიან ინგლის-საბჭოთა კომიტეტის კომპეტენციაში. **საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციამ თავის პასუხში აღნიშნა, რომ ის ამას თვლის უარის თქმად გაფიცულ მემაღაროებისათვის დახმარების გაწევაზე და ბრძოლის გამწვავებულ მომენტში ინგლისის დელეგაციის ასეთი საქციელი დაუშვებელია და ეწინააღმდეგება ინგლისის მუშათა კლასის ინტერესებს.**

მთლიანობის საკითხი

შემდეგ ინგლის-საბჭოთა კომიტეტმა განიხილა მთლიანობის საკითხი. ამ საკითხის **გარშემო ერთხმად გამოტანილ იქნა დადგენილება, რომელიც აუცილებლად სცნობს კომიტეტის მიერ უფრო მტკიცე ნაბიჯების გადადგმას მთლიანობის განხორციელების საქმეში.**

გენერალურმა საბჭომ უნდა იკისროს ამსტერდამისა და საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლებისაგან წინასწარი კონფერენციის მოწვევა კლასიური ერთიანობის დამყარების საკითხის განსახილველად. კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნას არა უგვიანეს ამა წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებისა.

დასასრულ ანდრეევი ლაპარაკობს: ჩვენი ყველაზე უარესი მოლოდინი გამართლდა.

ინგლისის დელეგაციამ სრულიად არ მოისურვა ესარგებლნა ინგლის-რუსეთის კომიტეტის ავტორიტეტითა და მნიშვნელობით გაფიცულ მემაღაროეების დახმარების აღმოსაჩენათ. ასეთ საქციელს ჩვენ ვაფასებთ, როგორც წინანდელი პასიურობის გაგრძელებას, რომელიც სავსებით მარტოდ სტოვებს სამთამადნო გაფიცულ მუშებს, რომლებიც ინგლისის მუშათა კლასის ერთი მნიშვნელოვანი რაზმია. გაფიცვის შედეგების პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება გენერალურ საბჭოს.

ჩვენ არ დაუშვებთ კომიტეტის გადაქცევას სალაყბოდ

ჩვენ მხარს ვუჭერთ ინგლის-საბჭოთა კომიტეტის არსებობას, **მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ გენერალურმა საბჭომ იგი გადააქციოს სალაყბოდ. ჩვენ ვეცდებით, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი იყოს საქმიანი ორგანო მთლიანობისთვის ბრძოლაში.** მემაღაროეთა გაფიცვა არის საერთო კლასობრივი ბრძოლა, რომლის შედეგებზე არის დამყარებული მუშათა კლასის ბედი. საერთაშორისო მუშათა კლასმა ეს უნდა გაითვალისწინოს გაფიცულთა სასარგებლოდ რეგულიარული დახმარების მოწყობის დროს.

მადლობა ინგლისის მუშებისაგან

მემაღაროეთა ფედერაციის მდივნის კუკის ცოლი, რომელსაც შეხვდენ ტაშით, ლაპარაკობს: სალამი მაღაროს მუშებისა და მათი ოჯახებისაგან თქვენ მიერ აღმოჩენილი დახმარებისათვის, რომელმაც გადაარჩინა ბევრი ადამიანის სიცოცხლე და ამტკიცებს მემაღაროებში გამარჯვების რწმენას.

ტომსკი საპასუხო სიტყვაში სთხოვს გადასცეს სალამი მემაღაროეთა გმირ ცოლებს, რომლებმაც მამაცურად იბრძოლოს ინგლისის მემაღაროებთან ერთად.

ამხ. ტომსკის სიტყვა

კამათის შემდეგ მოხსენების ირგვლივ სიტყვა წარმოსთქვა ტომსკიმ. მან განაცხადა: „ჩვენთვის ძვირფასია რუსეთის მუშის თვითეული კაპეიკი. ჩვენ ვიცით, აგრეთვე, რომ ინგლისის მემაღაროეთა ბრძოლა ეს არის მთელი მუშათა კლასის ბრძოლა. არ შეგვიძლია რა ზემოდან დავადგინოთ ერთპროცენტიანი ანარიცხი, ჩვენ შეგვაქვს ეს წინადადება პროფკავშირთა ფართო კრებების განსახილველად. იმედი გვაქვს, რომ ეს საკითხი მუშათა კლასის სასარგებლოდ გადაწყდება“.

გაფართოებულმა სხდომამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა და განიხილა რა, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დელეგაციის მოხსენება ინგლის-რუსეთის კომიტეტის მეოთხე სესიაზე, გაფართოებული სხდომა აღნიშნავს, რომ **დელეგაციამ სწორად გაატარა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს საერთო ხაზი, როგორც საერთო მდგომარეობის შეფასებაში, ისე ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვაში და მთლიანად და სავსებით იწონებს დელეგაციის მოქმედებას ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომაზე.** საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა ერხელ კიდევ აცხადებს გადაჭრილად საბჭოთა კავშირის **8 მილიონიან პროფესიონალურ ორგანიზაციებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეების სახელით თავისი გულწრფელი სურვილის შესახებ შეინარჩუნოს, განამტკიცოს და გააძლიეროს ინგლის-რუსეთის კომიტეტი, როგორც ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ძმური კავშირის ორგანო კაპიტალის შემოტევის საწინააღმდეგო ბრძოლისა და მუშათა მასების შემოკრებისათვის, მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისა და იმპერიალისტების მოსალოდნელი ომის წინააღმდეგობისათვის.**

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა ავალებს თავის დელეგატებს ბრიტანეთის ტრედუნიონთა მომავალ კონგრესზე გადაჭრით განაცხადონ, რომ **საბჭოთა კავშირის პროფკავშირები მზად არიან მომავალშიაც აღმოუჩინონ ნივთიერი და მორალური დახმარება ინგლისის მემაღაროეთა თავდადებულ ბრძოლას კაპიტალისტების უსირცხვილო თავდასხმის წინააღმდეგ.**

საკავ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიმართვაში საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ორგანიზაციების მიმართ ნათქვამია: **პროლეტარიატს დაეხმარება მხოლოდ პროლეტარიატი. საჭიროა რეგულიარული, სისტემატიური და დაჩქარებული დახმარება.** საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა და კავშირების ცენტრალური კომიტეტი, თვლის რა უაღრესად სასარგებლო და მნიშვნელოვან ღონისძიებათ მემაღაროეთა დასახმარებლად ჩვენი პროფკავშირების ყველა წევრების მიერ ხელფასის ერთპროცენტიანი ანარიცხის გადადებას, სთვლის რა ამავე დროს ამ ნაბიჯს უდიდეს მნიშვნელოვნად და აგრეთვე სურს რა იცოდეს ყველა პროფორგანიზაციების აზრი, წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ განიხილონ ეს წინადადება კავშირების ფართო კრებებზე და საჩქაროთ აცნობონ საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმს პროფკავშირთა ორგანიზაციების ფართო მასების აზრი და გადაწყვეტილება ამ წინადადების შესახებ, რათა ამის საფუძველზე საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმს შესაძლებლობა ექნის მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ.

პროფინტერნისადმი მიმართვაში საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭო გაფართოებული სხდომის სახელით წინადადებას აძლევს: მოაწყოს კამპანია ინგლისის მემაღაროეთა დახმარების გასაძლიერებლად იმ პროფორგანიზაციებში, რომლებიც პროფინტერნს მიჰყვებიან ხელფასიდან ერთპროცენტიან ანარიცხის რეგულიარული გადადებით იმ პროფორგანიზაციის წევრებიდან, რომლებიც პროფინტერნს თანაუგრძნობენ.

ერთა ლიგის სესიის წინ

არამუდმივი ადგილები

ბორდო, 1 სექტემბერი. ჟენევიდან მიღებული ცნობით კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო საერთორგანიზაციო კომისიის მიერ, გამოიმუშავა შეთანხმება არამუდმივი ადგილების შესახებ. არსდება 9 არამუდმივი ადგილი. კრებამ უნდა აირჩიოს 3 წევრი სამ-სამი წლით, სამი—ორ-ორი წლით და სამი ერთი წლით. პოლონეთი და ესპანეთი უზრუნველყოფილი იქნებიან ადგილით საბჭოში 6 წლის ვადით.

ჩემბერლენი გაემგზავრა ჟენევაში

ბერლინი, 1 სექტემბერი. ჩემბერლენი გაემგზავრა ჟენევაში ინგლისის დელეგატებთან ერთად ერთა ლიგის სესიაზე დასასწრებლად.

გერმანიის მიღება უზრუნველყოფილია

ლონდონი, 1 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოსთან არსებული სპეციალური კომისია მიიღებს დღეს ქვეკომისიის მიერ ერთხმად მოწონებულ ტექსტს ერთა ლიგის შემადგენლობის საკითხის შესახებ. ტექსტი შეიცავს სესილის გეგმას ზოგიერთი ცვლილებებით, რომლებიც შეიტანა საფრანგეთის სახელით ფრომაჟემ. ფიქრობენ, რომ გერმანიის ერთა ლიგაში მიღება უზრუნველყოფილია. საფრანგეთის მიერ შეტანილი ცვლილებები, რომელიც შედგენილია ლონდონისა და ბერლინის თათბირის შემდეგ ინგლისისა და გერმანელ იურისტების მიერ, მიზნად ისახავდენ სხვადასხვა შეხედულებათა შერიგებას არამუდმივი ადგილების შესახებ. გაზეთის აზრით, კომისია გამოსთქვამს თავის აზრს სამი არამუდმივი ადგილის მიცემის შესახებ ლათინურ ამერიკის სახელმწიფოებისათვის.

ლიგის შემადგენლობის რეორგანიზაცია

ბერლინი, 31 აგვისტო. გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის რეორგანიზაციის შემსწავლელ კომისიის სხდომა.

ესპანეთის დელეგატმა მოითხოვა, რომ ესპანეთის პრეტენზიების საკითხი ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ აუცილებლად გადაიჭრას კომისიის ამ სესიის განმავლობაში.

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია

ბერლინი, 31 აგვისტო. 29 აგვისტოს ციურიხში დაიხურა მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომის სესია.

ერთა ლიგისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ აღმასკომს მე-2 ინტერნაციონალის მახლობელ კონგრესის ერთ-ერთ ამოცანად მიაჩნია ინტერნაციონალის პოზიციის გამორკვევა ერთა ლიგის მიმართ და მისი დემოკრატიზაციისათვის ღონისძიებათა გამომუშავება.

8 საათის სამუშაო დღის შესახებ ვაშინგტონის შეთანხმების რატიფიკაციის საკითხზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც იტალიის მთავრობის დეკრეტი სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ შეფასებულია, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრება.

რეზოლიუციაში შემდეგ ნათქვამია, რომ ინგლისის მაღაროებში სამუშაო დღის გაგრძელება საშიშროებას ქმნის მთელი ქვეყნის სამთამადნო მუშებისათვის.

შემდეგ აღმასკომმა მიიღო დამატებითი წინადადება, რომ სოციალ - დემოკრატებმა კოლონიალურ და სამანდატო ქვეყნებში მოითხოვონ 8 საათის სამუშაო დღე და შრომის დაცვის კანონმდებლობა.

აღმასკომმა წინადადებით მიმართა მე-2 ინტერნაციონალის ყველა პარტიებს, რაც შეიძლება ენერგიულად დაუჭირონ მხარი დემონსტრაციას 8 საათის სამუშაო დღის სასარგებლოდ, რომელსაც აწყობს ამსტერდამის ინტერნაციონალი 19 სექტემბერს — მისი 25 წლის არსებობის აღსანიშნავად.

აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს სექტემბერში ბრიუსელში ქალების პროლეტარული მოძრაობის წარმომადგენელთა სხდომა საერთაშორისო ქალთა კომიტეტის მოწყობის პროექტის გამოსამუშავებლად.

რუმინეთი უკმაყოფილოა

ვენა, 31 აგვისტო. რუმინეთის პრესა დიდის ყურადღებით იხილავს იტალიის მიერ უარის თქმას ბესარაბიის ოკუპაციის დადასტურებაზე იტალია-რუმინეთის საგარანტიო ხელშეკრულების აქტში და აღნიშნავს, რომ ეს უარის თქმა მღელვარებას გამოიწვევს პოლიტიკურ წრეებში.

საბჭოთა პრესა

სამეურნეო ზრდა და უმუშევრობა

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდება მუშათა კლასის რაოდენობაც. მხოლოდ უკანასკნელ წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნა წარმოებაში ერთი მილიონამდე ახალი მუშა-ხელი. ამჟამად დაზღვეულთა რიცხვი მთელ კავშირში აღემატება 8 მილიონს, ხოლო პროფკავშირების წევრთა რიცხვი აღწევს 9 მილიონამდე. მიუხედავად ამისა, უმუშევრობა არ მცირდება, პირიქით, რამდენიმედ კიდეც მატულობს ამ ბოლო დროს. მაგ., ა. წ. 1 მარტისათვის უმუშევართა საერთო რიცხვი შეადგენდა 1.005.638 კ., ხოლო 1 ივნისისათვის—1.100.000 კ. საიდან მიედინებიან უმუშევრები? „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“ უპასუხებს:

„შემჩნეულია საგრძნობი ზრდა უმუშევრებისა, რომელნიც **სოფლებიდან მოდიან.** ასე, 1926 წ. 1 იანვრისათვის სოფლებიდან ჩამოსულთა რიცხვი შეადგენდა მთელ უმუშევართა რიცხვის 11,5 პროც., მომდ. წ. 1 მარტისათვის—15.1 პროც., ხოლო 1 აპრილისათვის—16.2 პროც. უმუშევრები, რომელნიც შრომის ბირჟაში არიან აღრიცხულნი. საწარმო მხრივ, 1926 წ. 1 მარტის ცნობით ასე იყოფიან: ინდუსტრიულ ჯგუფების პროფესიები 18,8 პროც., ინტელიგენტურ შრომას—17,5 პროც., **უპროფესიო და უკვალიფიკაციო —42 პროც.**“.

აქედან ცხადია, რომ უმუშევრობის მოსპობის ყველაზე უფრო რადიკალურ საშუალებად უნდა ჩაითვალოს სასოფლო მეურნეობაში მთელ რიგ ეკონომიურ ღონისძიებათა მიღებით სოფლიდან შრომის მაძიებელთა ქალაქებისაკენ დენის შენელება.

„უმუშევრობასთან ბრძოლის სიმძიმის ცენტრი,—სწერს გაზეთი,—აქვს არა იმდენად ქალაქის უმუშევრობის დაქვეითებაში, რამდენად მისი **შემავსებელ წყაროების შემცირებაში,** სოფლის მუშა-ხელის ზედმეტ კადრების შემცირებაში. სანამ სოფლის მოსახლეობის დენა ქალაქებისაკენ არ შესუსტდება, უმუშევრობის მდგომარეობა ქალაქებში არ შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ხოლო ამ დენის შესუსტება მჭიდროდაა დაკავშირებული ხანგრძლივ და რთულ ღონისძიებათა განვითარებასთან, რომელნიც მიმართული იქნებიან სასოფლო მეურნ. შემდგომი აღორძინებისა, მისი საქონლიანობის გადიდების, მცირედ დასახლებულ ადგილების დასახლებისა და სოფლის რაიონებში მთელ რიგ ფართო მასიურ სამუშაოების მოწყობისაკენ, როგორიცაა ჭაობების ამოშრობა, მელიორაცია, ირიგაცია, საგზაო მშენებლობა და სხ.“.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევართა კვალიფიკაციის საკითხს. 1.005.638 კაციდან, რომელნიც შრომის ბირჟებზე იყვნენ აყვანილი ა. წ. 1 მარტისთვის, კვალიფიკაციის მქონე იყო 216.710 კ., ნახევრად კვალიფიკაციური—164.618 კ. და კვალიფიკაციის მოკლებული 624.280 კ. რა თქმა უნდა, უკვალიფიკაციო მუშა სამუშაოს ნაკლებად იშოვის. ამასთან, მრეწველობის ზოგიერთი დარგები ეხლაც განიცდიან დახელოვნებულ მუშა-ხელის სიმცირეს. როგორც მრეწველობის ინტერესები, ისე უმუშევრობის მოსპობის ამოცანა მოითხოვენ უმუშევართა მომზადებას.

გერმანიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

საქართველოს მუშათა კლასს
თბილისის მუშებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის კავკასიის ჯგუფს აღფრთოვანებული შეხვდენ მუშათა ფართო მასები თბილისში. ამ შეხვედრამ გვიჩვენა ჩვენ, რომ ცნობები, რომელსაც სისტემატიურად ავრცელებენ ბურჟუაზიულ პრესაში, რომ ვითომც მუშათა კლასს საქართველოში ავიწროებენ და ტერორ ქვეშ აყენებენ რუსი ბოლშევიკები, სრული სიცრუეა. შევიწროებულ და ტერორ ქვეშ დაყენებულ მუშათა კლასს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ასეთი აღფრთოვანებული შეხვედრის მოწყობა ბრძანებით.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში და კავკასიის სხვა ადგილებში, რომლებიც მეფის მთავრობის დროს არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის დასასვენებელ ადგილებსა და კურორტებს წარმოადგენდენ, სასახლეები და სამკურნალო დაწესებულებები ეხლა მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა სრულ განკარგულებაშია.

თბილისში ჩვენ გვქონდა შემთხვევა დაგვეთვალიერებია რკინის გზის დიდი სახელოსნოები. ჩვენ გვქონდა აგრეთვე შემთხვევა გვენახა ჰიდრო - ელექტრო სადგური, რომელიც ეხლა შენდება. ამ ადგილების დათვალიერებამ ჩვენთვის ცხადი გახადა, რომ საქართველო საბჭოთა რეჟიმის საშუალებით აწარმოებს გეგმიან აღმშენებლობითი მუშაობას.

ჩვენ არ გაგვიშვია აგრეთვე შემთხვევა დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა სრულ სოლიდარობას, თანაგრძნობას უცხადებს საბჭოთა წესწყობილებას. ჩვენი დელეგაციის ერთი ჯგუფი დარწმუნდა გერმანელების სოფელ ელიზავეტტალში, რომ სულ პატარა ეროვნულ უმცირესობებსაც კი აქვს თავისი საკუთარი თვითმართველობა და მოქმედების სრული თავისუფლებით სარგებლობენ.

ეს ფაქტები გვაიძულებენ, განვაცხადოთ, რომ ჩვენც ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ საბჭოთა სისტემა და საქართველოს მჭიდრო კავშირი საბჭოთა კავშირთან წარმოადგენს ერთად-ერთ სწორ გზას მეურნეობის აღორძინებისა და საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კეთილდღეობისაკენ.

ამხანაგებო! ჩვენ ნამდვილ სიმართლეს ვიტყვით ყოველივე იმის შესახებ, რაც ვნახეთ. ჩვენ ყოველგვარი საშუალებით, ყოველი ძალ-ღონით შევეცდებით, რომ ხელი შეუშალოთ იმ განზრახვებს, რომლებიც საქართველოს მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობის დარღვევის წინააღმდეგ იქნებიან მიმართული.

ვინაიდან ჩვენს განკარგულებაში იყო მხოლოდ რამოდენიმე დღე, ჩვენ ვერ დავათვალიერეთ ყველა თქვენი წარმოებები და სოფლები. ამიტომ, ჩვენ ვსარგებლობთ ამ შემთხვევით და წერილობით ძმურ, რევოლიუციონურ სალამს გადავსცემთ საქართველოს მთელ მუშათა კლასს და გლეხობას.

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ქ. თბილისი, 28 აგვისტო, 1926 წ.

გერმანიის მუშათა
მეორე დელეგაცია
(კავკასიის ჯგუფი)
ფრიც კერბერი, პირველი თავმჯდომარე
ვილლი ბესსერი,
რობერტ ზივერტი,
იოზეფ ლენცი.

გაფიცვა ინგლისში

პროფინტერნის მოწოდება მემაღაროეთათვის დახმარების შესახებ

მოსკოვი, 1 სექტემბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიმართვაზე პროფინტერნისადმი გაფიცულ მემაღაროეთა დახმარების შესახებ, პროფინტერნმა მიმართა ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მას თანაუგრძნობენ, მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია: აღმასბიურო, ღებულობს რა მხედველობაში იმ კრიტიკულ პერიოდს, რომელსაც განიცდის ინგლისის გაფიცვა, ბრძოლის გამწვავებას და ამ ბრძოლის დათავების შედეგების უდიდეს მნიშვნელობას არა მარტო ინგლისის არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, **მიმართავს წინადადებით ყველა თანაგრძნობ ორგანიზაციებს, ყველა მუშებსა და მუშა ქალებს, მიუხედავათ მათი პარტიული მიმართულებისა დაიწყონ დაუყოვნებლივ სამუშაო ხელფასიდან ერთი პროცენტის გადარიცხვა ინგლისის მემაღაროეთა თავდადებული ბრძოლის გათავებამდე.**

ჩვენ ამსტერდამელები არა ვართ. ჩვენ პროცენტები არ გვინდა. პროფინტერნისა და მთელი საერთაშორისო მოძრაობისათვის ჯილდო იქნება მემაღაროეთა გამარჯვება და პროლეტარული მოვალეობის შესრულების შეგნება.

საჭიროა სასწრაფო დახმარება. აღმასბიურო გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ყველა მისი თანამგრძნობი ორგანოები შეასრულებენ ამ დირექტივას, რადგან ყველაზე წინ უნდა დავაყენოთ კლასობრივი სოლიდარობა.

გაფიცვის საკითხი თემთა პალატაში

ლონდონი, 31 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით თემთა პალატის სხდომაზე 31 აგვისტოს სანახშირო კონფლიქტის განხილვის დროს **მაკდონალდი** დაჟინებით მოითხოვდა, რომ მთავრობამ აიღოს მემაღაროეებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის მოლაპარაკების განახლების ინიციატივა.

შრომის მინისტრმა **სტილ მეიტლენდმა** განაცხადა, რომ 7 საათის სამუშაო დღის გაუქმებამ მაღაროებში 8 საათის სამუშაო დღის კანონის გატარებამ გამართლება ჰპოვეს იმაში, რომ ბევრი მემაღაროე დაუბრუნდა მუშაობას 7 ½ საათის სამუშაო დღის საფუძველზე.

მემაღაროეთა წარმომადგენელმა **სპენსერმა** აღიარა, რომ სამთამადნო მუშები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ეკონომიკას და სთქვა: „მაღაროს მეპატრონეებმა ხელი უნდა აიღონ იმ სისასტიკეზე, რომელიც ახასიათებს მათ ბრძოლას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

ლოიდ - ჯორჯიც მოითხოვდა, რომ მთავრობამ უნდა წამოაყენოს თავისი წინადადება. „ეხლა,—განაცხადა მან,—დადგა დრო მოლაპარაკებისათვის. **მთავრობამ უნდა იკისროს ვალდებულება ამისა, რომ მრეწველობის რეორგანიზაცია და მაღაროების გაერთიანება განხორციელდება**“.

მთავრობის სახელით გამოსულმა **ჩერჩილმა** განაცხადა, რომ **შესაძლებელი არის მთავრობის გამოსვლა ახალი წინადადებით.** ამასთანავე ჩერჩილმა გამოსთქვა ეჭვი იმაში, რომ „შეიძლება თუ არა სასარგებლო გამოდგეს მთავრობის ჩარევა იმ პირობებში, როცა სამთამადნო მუშები აცხადებენ: „მოგვეცით სუბსიდია“, და ამავე დროს მაღაროს მეპატრონენი ამბობენ: „დაგვტოვეთ მარტო“. მთავრობა ყურადღებით ადევნებს თვალყურს მდგომარეობას. რომელიც შეიძლება შეიცვალოს. მთავრობას შესაფერი უფლებები აქვს და იგი მზად იქნება გამოიყენოს ისინი ყოველ მომენტში, თუ შექმნილ მდგომარეობაში რაიმე ახალი ცვლილებები მოხდება“.

თემთა პალატის სხდომები გადაიდო 9 სექტემბრისათვის.

კიდევ 6 კვირა

ოსლო, 31 აგვისტო. ოსლოში ჩამოვიდა პერსელი. კომუნისტურ გაზეთის „მორდეგს კომუნისბლად“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს მან განაცხადა: „თუ ინგლისის სამთამადნო მუშები კიდევ 6 კვირას გაიჭირვებენ, მაშინ ეს იქნება გამარჯვება არა მარტო მემაღაროების, არამედ მთელი ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატის“-ო.

მაღაროს მეპატრონეთა ცნობა

ლონდონი, 31 აგვისტო. მაღაროს მეპატრონენი ამტკიცებენ, რომ თითქოს მთელს ინგლისში მუშაობდეს 33.963 მაღაროს მუშა.

სამთამადნო დეპარტამენტი იტყობინება, რომ უკანასკნელ კვირის განმავლობაში, ინგლისში ამოღებულ იქნა 360.000 ტონა ქვა-ნახშირი.

მოლაპარაკების შედეგები არ არის გამოქვეყნებული

ლონდონი, 31 აგვისტო. სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის 29 აგვისტოს სხდომის შედეგები არაა გამოქვეყნებული.

სხდომის გათავების შემდეგ ფედერაციის აღმასკომის წევრები წავიდენ თემთა პალატაში, სადაც პალატის დეპუტატებს სამთამადნო მუშებთან და ფედერაციის თანამდებობის პირთ ქონდათ თათბირი მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის აღმასკომთან.

საკლატვალა სამთამადნო მუშების გაფიცვის შესახებ

პარიზი, 31 აგვისტო. ინგლისის პარლამენტის წევრმა კომუნისტმა **საკლატვალამ**, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, „ლუმანიტეს“ თანამშრომლებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ ინგლისის სამთამადნო მუშები წინააღმდეგობის ისეთსავე მტკიცე ნებისყოფას იჩენენ, როგორც წინედ, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა გრძელდება იმ მიზეზის გამო, რომ გენერალური საბჭო უარს ამბობს ნახშირის გადაზიდვის აკრძალვაზე.

ინგლისის მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციისათვის

ლონდონი, 31 აგვისტო. სამთამადნო ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა არ წამოაყენოს თავისი წინადადებები მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის 2 სექტემბრის სხდომაზე. ბურჟუაზიული პრესა, უკეთებს რა კომენტარიებს მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებას მომავალ სადელეგატო კონფერენციაზე თავი შეიკავოს კონკრეტული წინადადების წამოყენებისაგან, აცხადებს, კონფერენცია, საეჭვოა, რომ დათანხმდეს რაიმე ცვლილების მოხდენაზე სანახშირო კონფლიქტის პოლიტიკის საკითხში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მუდმივი ადგილისათვის ერთა ლიგაში



სამოქალაქო ომი ჩინეთში

უ-პეი-ფუს ჯარების მდგომარეობა მეტად კრიტიკულია

შანხაის პროფკავშირთა საბჭო გენერალური გაფიცვისათვის ემზადება

ხანკოუს დაკავება კანტონის ჯარების მიერ

ლონდონი, 2 სექტემბერი. ლონდონის გაზეთების შანხაის კორესპონდენტი იუწყება კანტონის ჯარების მიერ ხანკოუს დაპყრობის შესახებ.

უ-პეი-ფუ აძლიერებს რეპრესიებს

პეკინი, 31 აგვისტო. ფრონტზე შექმნილ სერიოზულ მდგომარეობის გამო უ-პეი-ფუ აძლიერებს რეპრესიებს ხანკოუში.

ერთ-ერთი გაზეთი, რომელიც გომინდანს თანაუგრძნობდა, დახურულია. დახვრეტილია გომინდანის რამდენიმე წევრი.

უ-პეი-ფუს ჯარები კრიტიკულ მდგომარეობაშია

პეკინი, 31 აგვისტო. ხან-კოუდან (უ-პეი-ფუს ბანაკი) მიღებული ცნობების თანახმად, უ-პეი-ფუს ჯარებისათვის ფრონტზე შეიქმნა სერიოზული მდგომარეობა, ვინაიდან ლუ-ჩანიდან 10 მილის მანძილზე (ჯარების ზურგში), ააფეთქეს ხიდი, რამაც საგრძნობლად შეაფერხა ფრონტზე მაშველი ჯარების გაგზავნა.

იუწყებიან, რომ უ-პეი-ფუმ მოსთხოვა ჩუან-ფანს გაგზავნოს ჯარები ხუ-ხანში ცზიან-სიდან. მაგრამ სუნ-ჩუან-ფანს ჯერ არ დაუწყია საომარი მოქმედება კანტონის არმიის წინააღმდეგ.

ხმებია, რომ უ-პეი-ფუმ მოახერხა ლუ-ჩანში და სხ. ქალაქებში ჩინელ ბანკირებიდან 3 მილ. 500.000 დოლარის მიღება. ამ თანხიდან 1 მილ. მან უკვე მიიღო.

იენ-სი-შანის უკმაყოფილება

პეკინი, 31 აგვისტო. იენ-სი-შანი ამტკიცებს, რომ მან დაიკავა პინ-ტი-ჩუნი 26 აგვისტოს.

იენ-სი-შანმა განაცხადა, რომ ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარების მიერ შეტევის გაგრძელება მას ზედმეტად მიაჩნია, რადგან საკუთარი ძალებით შესძლებს სახალხო არმიის დამარცხებას. იენ-სი-შანის ამ განცხადებას ხსნიან მისი უკმაყოფილებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოკავშირე ჯარები შეიჭრენ მისი გავლენის სფეროში.

გაზეთები ქებას ასხამენ სახალხო არმიას

პეკინი, 31 აგვისტო. სახალხო არმიის ჯარებმა თავი მოიყარეს ბაო-ტოუში (შან-სის პროვინცია), სადაც მოხდება მათი რეორგანიზაცია.

ყველა გაზეთები ქებას ასხამენ სახალხო არმიას და აღნიშნავენ, რომ უკანასკნელის უკან დახევის დროს ადგილი არ ჰქონია ძარცვას და ძალადობას მოსახლეობის მიმართ.

გონკონგის გუბერნატორის პროვოკაცია

პეკინი, 31 აგვისტო. გონკონგში ახალი ფირმების გახსნის გამო წარმოთქმულ სიტყვაში გონკონგის გუბერნატორმა განაცხადა:

„ცდები, რომლებსაც აწარმოებს ბანდიტებისა და მეკობრების მიერ მოწყობილი ბანდა, რომელიც უკანონოდ უწოდებს თავს კანტონის საგაფიცვო კომიტეტს, უნაყოფოდ დამთავრდება: ისინი ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებენ გონკონგს. კანტონის მთავრობა ფარულად ხელს უწყობს ყაჩაღობისა და მეკობრობის ორგანიზაციას თვით დედაქალაქში და პროვინციაში“.

გონკონგის გუბერნატორის ამ განცხადებამ კანტონის წრეებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და აღნიშნავენ ამ განცხადების პროვოკაციულ ხასიათს, ვინაიდან მოლაპარაკება კანტონსა და გონკონგს შორის ამჟამად მხოლოდ გადადებულია და არაა დასრულებული.

შანხაის პროფკავშირთა საბჭო გაფიცვისათვის ემზადება

პეკინი, 31 აგვისტო. შანხაიდან მიღებული ცნობებით, პროფკავშირთა საბჭომ მოწერილობა დაუგზავნა ყველა წევრებს, რომლებიც იაპონიის ფაბრიკებში და გემებზე მუშაობენ, **მოემზადონ გენერალური გაფიცვისათვის, რომელიც შესაძლოა სამი დღის შემდეგ იქნას გამოცხადებული.**

ჩინელებისა და უცხოეთის ფაბრიკებისა და წარმოების მუშებმა მიიღეს ბრძანება განაგრძონ მუშაობა, მაგრამ დახმარება აღმოუჩინონ გაფიცულებს.

„ერთად-ერთი ადამიანი“

პეკინი, 31 აგვისტო. გაზეთი „პეკინ ენდ ტიან-ძინ ტაიმსი“ (ინგლისელ კონსერვატორების ორგანო ჩინეთში) აქვეყნებს ჩან-ძო-ლინის მრჩეველისა და მუკდენის არსენალის მმართველის ინგლისელ გენერალის **სეტტონის** წერილს. სეტტონი ხოტბას ასხამს ჩან-ძო-ლინს და ამბობს, რომ იგი ერთად-ერთი კაცია, რომელსაც შეუძლია ჩინეთის გაერთიანება და „მშვიდობიანობის დამყარება“. სეტტონი მოუწოდებს ინგლისს, აქტიური, ნივთიერი და ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს ჩან-ძო-ლინს.

სეტტონის წერილი ნათელს ჰფენს ყველა იმ ამბებს, რომლებსაც შარშან ქონდა ადგილი ჩინეთში. ასე, მაგ. სეტტონი სწერს, რომ შარშან, შანხაის ამბების შემდეგ 1925 წ. მაისში, **დიპლომატიურმა კორპუსმა პეკინში წინადადებით მიმართა ჩან-ძო-ლინს, რომელიც ტიან-ძინში იყო, ჩასულიყო პეკინში და ხელში აეღო ძალ-უფლება იმ მიზნით, რომ ჩაექრო დაწყებული მოძრაობა.**

სეტტონის სიტყვით, ჩან-ძო-ლინმა უარი განაცხადა პეკინში ჩასვლაზე თუ მას არ მიიწვევდა დუან-ძი-ჟუი, რომელიც მაშინ ჩინეთის პრეზიდენტი იყო.

უკეთებს რა კომენტარიებს სეტტონის წერილს „პეკინ ენდ ტიან-ძინ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ წარსულ წელს უცხოელებს და განსაკუთრებით ინგლისელებს ძალიან დიდი ვალი დასდო ჩან-ძო-ლინმა თავისი მტკიცე პოლიტიკით.

◆

„ფინანსიური ლოკარნო“

შეერთებულ შტატებში ძლიერდება მოძრაობა დაუესის გეგმის გადასინჯვის სასარგებლოდ

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. შეერთებულ შტატებში თანდათან უფრო ძლიერდება კამპანია სამხედრო ვალების გაუქმების სასარგებლოდ. **ფინანსიურ და პოლიტიკურ წრეებში უკვე აუცილებლად სთვლიან როგორც ვალების დაფარვის პირობების, ისე დაუესის გეგმის გადასინჯვას.**

პრესა აქვეყნებს დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწის, ვილსონის დროს სამხედრო მინისტრად ნამყოფი, **ნიუტონ ბეკკერის** განცხადებას, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას საერთაშორისო ვალების გაუქმების საკითხის განსახილველად. **ვალების გაუქმება, ბეკკერის სიტყვით, აუცილებელია ევროპის სტაბილიზაციისა და შეერთებულ შტატების საწინააღმდეგო მოძრაობის შესუსტების მიზნით.** ბეკკერი აფრთხილებს „საზღვარგარეთ უკვე შექმნილ და შეერთებულ შტატების წინააღმდეგ მიმართულ გაერთიანებების“ წინააღმდეგ.

ბეკკერთან ერთად პროფესორი **ირვინგ ფიშერი** „ეკონომისტში“ მოთავსებულ წერილებში **მოითხოვს ვალების გაუქმებას,** რაც უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობას ევროპაში და შეასუსტებს მტრულ განწყობილებას შეერთებულ შტატების მიმართ.

ჯერ არავითარი ცნობები არ არის მიღებული იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც აწარმოებენ ევროპაში შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრი **მელლონი,** ამერიკის ფედერალურ ბანკის დირექტორი **სტრონგი** და ინგლისის ბანკის დირექტორი **ნორმანი.** ფინანსიურ წრეებში ხმები დადის, **რომ უახლოეს ხანში ამ თათბირებზე მიღებული იქნება მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც გამოიწვევენ „ფინანსიურ ლოკარნოს“ განხორციელებას.**

◆

ეროვნულ უმცირესობათა კონგრესი

ბერლინი, 31 აგვისტო. დამთავრდა ეროვნულ უმცირესობათა ჟენევის კონგრესი.

კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, ვერსალის ხელშეკრულობის შესრულებას ეროვნულ უმცირესობათა პროპორციანულად წარმომადგენლობას პარლამენტში, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს სკოლებში, მშობლიურ ენაზე სწავლას და სხ.

იმის გამო, რომ უკრაინის, ბელორუსიის და ლიტვის ეროვნულმა უმცირესობამ (პოლონეთში) უარი განაცხადეს პოლონეთის სუვერენიტეტის ცნობაზე, ამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები კონგრესზე დაესწრენ მხოლოდ, როგორც „მეთვალყურენი“.

ღამის ცნობები

გრომოვი მიფრინდა საფრანგეთში

პარიზი, 31 აგვისტო. 31 აგვისტოს გრომოვი მიფრინდა ლებურჟეში.

ბრძოლა უედ-ელ-ზოლისისთან

პარიზი, 31 აგვისტო. ფრანგმა ავიატორებმა ხუთჯერ გადმოყარეს ყუმბარები უედ-ელ-ზოლისში, მაროკოში.

რამოდენიმე სოფელმა მორჩილება განუცხადა ფრანგებს. ესპანელებმა ტომასიპტში დახვრიტეს რიფების წარჩინებული წრეების სამი წარმომადგენელი, რომლებსაც იარაღი აღმოაჩნდათ.

პილსუდსკის გამგზავრება

ვარშავა, 31 აგვისტო. პილსუდსკი, რომელიც დასასვენებლად მიემგზავრებოდა დრუსკენიკში, გზიდან გადაუხვია და წავიდა ვილნოში, სადაც ის დაჰყოფს ორ დღეს. ვილნოში პილსუდსკის ხანგრძლივი თათბირი ქონდა გენერალ რიძსმიგლასთან.

„დეილი ჰერალდის“ ახალი რედაქტორი

ლონდონი, 31 აგვისტო. მუშათა პარტიის ორგანოს, „დეილი ჰერალდის“ ახალი რედაქტორი მელლორი ხვალიდან იწყებს თავის თანამდებობის ასრულებას.

მფრინავი მოისეევის დაჯილდოვება

მოსკოვი, 1 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ავია-ქიმის პრეზიდიუმმა იშუამდგომლა საბჭოთა კავშირის რევოლ.-სამხედრო საბჭოსთან მფრინავი **მოისეევისა** და მექანიკის **მოროზოვის** დაჯილდოების შესახებ, წითელ დროშის ორდენით და მოისეევის შესახებ დამსახურებული მფრინავის სახელწოდების მიცემისათვის მოსკოვ-თეირანში გადაფრენის გამო.

მფრინავი გრომოვი

რომი, 1 სექტემბერი. მფრინავი გრომოვი და ბორტის მეხანიკი რადზევიჩი მოფრინდნენ დღეს 13 საათსა და 15 წამში ლეფურჟედან რომში; 14 საათსა და 50 წამში გაფრინდნენ ვენაში.

ინგლისის მემაღაროეთა ცოლები ლენინგრადში

ლენინგრადი, 1 სექტემბერი. მოსკოვიდან ლენინგრადში ჩავიდნენ ინგლისის მემაღაროების ცოლები. დეტსკოე სელოში მათ დაათვალიერეს მუშების ბავშვების ბაგა. საღამოს ისინი დაესწრნენ ლენინგრადის მუშა-ქალების კრებას და მადლობა გამოუცხადეს მათ დახმარებისათვის.

დაჯილდოება

ხარკოვი, 1 სექტ. უკრაინის ცაკმა დაადგინა დააჯილდოვოს წითელი დროშის ორდენით უკრაინის სახ. პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი.

„ბურევესტნიკის“ დაღუპვის გამო

ლენინგრადი, 1 სექტ. „ბურევესტნიკის“ კაპიტანი და მისი თანაშემწე დააპატიმრეს.

ერთა ლიგის საბჭოს რეორგანიზაცია

ბერლინი, 1 სექტემბერი. გაცხარებული კამათის შემდეგ კომისიის სპეციალური ქვე-კომისია ერთა ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ შეთანხმდა იმ წინადადებაზე, რომელსაც შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები საფრანგეთის იურიდიული ექსპერტის ფრომაჟოს პროექტში. მიღებული დებულების ძალით ერთა ლიგის საბჭოში 6 წლით წევრობის უფლება შესთავაზეს პოლონეთს, იაპონიას და შესაძლებელია ჩინეთს. პოლონეთის წარმომადგენელმა გადასდო საბოლოო პასუხის მიცემა 1 სექტემბრისათვის. ფიქრობენ, რომ პოლონეთი დათანხმდება ამ წინადადებაზე. ისპანიის პოზიცია, რომელიც ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობას არ იღებდა, ჯერ-ჯერობით სავსებით გამოურკვეველი რჩება.

აჯანყებულების მოწამვლა ბულგარეთში

ვენა, 31 აგვისტო. ისეთი საშუალების უქონლობის გამო, რომლითაც შეიძლება აჯანყებულებთან გასწორება, ბულგარეთის მთავრობამ მიმართა არასოდეს არ ყოფილ ბრძოლის მეთოდს. ყველა ხარჩევნებში სოფლად და სახოფლო გზებზე მეპატრონეები ლებულობენ საწამლავს, განსაკუთრებით სტრიხნის იმისათვის, რომ გაურიონ საჭმელში, რომელსაც ითხოვს გამვლელ-გამომვლელი მოჯანყენი. რამოდენიმე დღის წინად ამნაირი საშუალებით მოწამლეს ჯანყის მეთაური ლოვაჩის რაიონში ვასილი პოპოვი. პოპოვი იყო ყოფილი მასწავლებელი, რომელსაც თავისი მამაცობისათვის გმირს უწოდებდნენ.

საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა მისალმება ინგლისელ ამხანაგებისადმი

მოსკოვი, 1 სექტ. საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა კავშირის ცენტ. კომიტეტმა მიმართა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის თავმჯდომარეს სმიტს და მდივანს კუკს დეპეშით, რომლითაც ესალმებიან ინგლისის მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციას. მისალმებაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მემაღაროები, რომლებიც რეგულიარულად აგროვებენ თქვენთვის დასახმარებლად თავის წვლილს, უეჭველად გაატარებენ ცხოვრებაში საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და ყველა პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტების გუშინდელ მოწოდებას საბჭოთა კავშირის ყველა მუშების მიმართ საბჭოთა კავშირის 8 მილიონი წევრებისაგან რეგულიარულად და ყოველთვიურად თავისი ხელფასიდან 1 პროც. შეგროვების შესახებ— თქვენი გაფიცვის დასახმარებლად. სულით და გულით გისურვებთ წარმატებას თქვენს საგმირო ბრძოლაში, რომელსაც უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საბჭოთა კავშირის მილიონი მუშები.

მუნიციპალიტეტების გაუქმება

რომი, 31 აგვ. მინისტრთა საბჭომ მიიღო დეკრეტი, რომლის ძალით მთელს იტალიაში გაუქმებულია მუნიციპალიტეტები და მათ მაგიერ შემოღებულია „პოდესტები“ (პოდესტი—მამასახლისი) მთავრობიდან დანიშნული.

„ინდოზე“ გაფიცვის გამო

მოსკოვი, 1 სექტ. საბჭოთა კავშირის შეერთების მუშაკთა ცეკამ გადასწყვიტა მიმართოს ტრანსპორტის მუშაკთა კავშირსა და ინგლისის შეერთების კავშირს მიიღონ ზომები „ინდოზე“ გაფიცვის განმავლობაში არ დაუშვან, რომ გამოყენებული იქნეს სხვა საზღვარ-გარეთელ საზოგადოებების ტელეგრაფის ხაზები.

გერმანიის დელეგაცია ციმბირში

ირკუტსკი, 1 სექტემბერი. 1 სექტემბერს ირკუტსკში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია. გზაზე ჩერემხოვსკის მიდამოების მემაღაროებმა გერმანელ ამხანაგებს გაუმართეს საზეიმო შეხვედრა, რის გამო დელეგაცია ჩავიდა ირკუტსკში დანიშნულ დროზე გვიან. რკინის გზაზე ყველგან სადგურები მოწყობილი იყო დროშებითა, პლაკატებით და მისალმებელი წარწერებით გერმანულ ენაზე.

გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარის დეპეშა

ერევანი, 1 სექტემბერი. სომხეთის პროფსაბჭომ მიიღო თბილისიდან გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარის კერბერის შემდეგი დეპეშა „ძვირფასო ამხანაგებო, თავდაპირველად ჩვენ გვქონდა აზრად მივსალმებოდით საბჭოთა კავშირის სამხრეთის მოწინავე ფრონტს, მაგრამ საუბედუროთ, ის მცირე დრო, რომელიც ჩვენ განკარგულებაშია, საშუალებას არ გვაძლევს ვინახულოთ ერევანი. მადლობას გიძღვნით მეგობრული მიპატიჟებისათვის და გთხოვთ გადასცეთ მსოფლიო პროლეტარიატის მთლიან ფრონტს, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი ვიბრძვით“.

◆

სხვა და სხვა

„შიპკაზე სიწყნარეა“

„დეილი მეილის“ კორესპონდენტი მადრიდში იუწყება, რომ ისპანიაში არაჩვეულებრივი არაფერი არ მომხდარა. ისპანიაში სუფევს სრული სიმშვიდე. პრიმო-დერივერა უგზავნის მისალმებას ინგლისის ხალხს „დეილი მეილის“ საშუალებით.

შეერთებული შტატები და ნიკარაგუა

ვაშინგტონის მთავრობამ აცნობა ნიკარაგუას, რომ იგი პასუხისმგებელი იქნება ყოველგვარო თავდასხმისათვის ამერიკელ მეზღვაურებზე, რომლებიც ამას წინად გადავიდნენ ბრიუღფილდში ნაპირებზე.

ამერიკულმა საკონსულომ აცნობა მთავრობას, რომ ჯარის რიცხვი საკმაო არ არის. ამის გამო ნიუ-იორკიდან გაგზავნეს ამერიკის მეორე კრეისერი.

რკინისგზა ალბანეთში

ალბანეთში გაიხსნა პირველი რკინისგზა დურაცცო-ელბასანსა და კორაცას შორის. გზის სიგრძე უდრის 250 კილომეტრს. ეს ხაზი აერთიანებს ჩრდილოეთ-ალბანეთთან და აგრეთვე ნავთის რაიონებს ნავთსადგურ დურაცცოსთან.

დემონსტრაციაში მონაწილეთა დაპატიმრება

გაფიცულ მჭერავთა დემონსტრაციის დროს პოლიციამ დააპატიმრა 50 კაცი.

სარროს მოადგილე

ჰავასის სააგენტოს ცნობით, დეშერის დანიშვნა საფრანგეთის ელჩად ოსმალეთში სარროს ნაცვლად, ეჭვს გარეშეა. დეშერი საფრანგეთის ელჩად იყო ვაშინგტონში.

საჰაერო მიმოსვლის საერთაშორისო ასოციაცია

ბერლინში გაიხსნა „საჰაერო მიმოსვლის საერთაშორისო ასოციაციის“ წლიური კონფერენცია. კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ ევროპის საჰაერო მიმოსვლათა თითქმის ყველა საზოგადოებების დირექტორები. კონფერენცია განიხილავს საზამთრო გადაფრენების საერთაშორისო ცხრილის შემუშავებას და სხვა საკითხებს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გაკიცხვა

მოსკოვი, 1 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანებით ჩაის სამმართველოს თავმჯდომარეს ხარირჩევს და ნავთის სინდიკატის წარმომადგენელს შანხაიში, **დოხსერს** გამოეცხადა საყვედური, სავალიუტო დისციპლინის დარღვევისათვის.

ნავთის სინდიკატის გამგეობას მიეცა გაფრთხილება მოსამსახურეებისათვის ტანტიემების უწესოთ მიცემის გამო.

გამგეობამ პროფკავშირთა ორგანიზაციების დასტურის გარეშე, დამოუკიდებლათ გაანაწილა ტანტიემა 3.820 მანეთის რაოდენობით, სინდიკატის ნიჟეგოროდის კანტორის მოგების ანგარიშში.

მწყემსების გაფიცვა

ტამბოვი, 1 სექტემბერი. უკანასკნელ დროის განმავლობაში გუბერნიაში ადგილი ჰქონდა მწყემსების 4 გაფიცვას. გაფიცვა გამოიწვია სოფლის საზოგადოებების მიერ უარის თქმამ ხელშეკრულებათა დადებაზე და ხელფასის [illegible].

ურწმუნოთა დელეგაცია

მოსკოვი, 1 სექტემბერი. სექტემბრის რიცხვებში მოსკოვში ჩამოდის უცხოელ ურწმუნოთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მიპატიჟებულია გერმანიაში არსებულ „თავისუფალ მოაზროვნეთა ინტერნაციონალის“ მიერ.

ექსპორტი ვლადივოსტოკის ნავთსადგურით

მოსკოვი, 1 სექტემბერი. 31 აგვისტოს ვლადივოსტოკში შანხაიდან ჩამოვიდა პურით მოვაჭრე ყველა ფირმების 4 რწმუნებული—წარმომადგენელი.

რწმუნებულთა ჩასვლის მიზანია, გამოარკვიოს ექსპორტის შესაძლებლობა ვლადივოსტოკის ნავთსადგურით. შანხაის ფირმების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ ექსპორტი მანჯურიიდან ვლადივოსტოკის ნავთსადგურით, უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სამხრეთ-ნავთსადგურებით, რომლებიც ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარეობენ. [illegible] დაირენი, რომელიც მეტოქეობას უწევს ვლადივოსტოკს და რომელიც იაპონელების ხელშია.

სასოფლო სამეურნეო მანქანების მიწოდების გეგმა

მოსკოვი, 1 სექტემბერი. სასოფლო სამეურნეო მანქანების მიწოდების გეგმით 1926—27 წლისათვის საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ გათვალისწინებულია 130 მილ. მანეთის მანქანების შემოტანა.

ცენტრალურ სასოფლო სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა, მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ კრედიტები სასოფლო სამეურნეო მანქანების მიწოდებისათვის იხარჯებოდეს მხოლოდ და მხოლოდ დანიშნულებისამებრ. კრედიტის ვადები განსაზღვრულია ორი მოსავლით. მანქანების კოლექტიური [illegible] ღარიბი გლეხობისათვის მიყიდვის დროს ვაჭრობის სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს ეძლევათ უფლება [illegible] დიტის გაცემის პირობები. კრედიტის მიწოდების სიმძიმის ცენტრი გადატანილია მოკლევადიან კრედიტებზე.

მთელი კრედიტი სასოფლო სამეურნეო მანქანების რეალიზაციისათვის 1926—27 წ. წინასწარ ნავარაუდევია 50 მილ. მანეთის რაოდენობით.

ნახშირის ამოღება

ხარკოვი, 1 სექტემბერი. მიმდინარე წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში, სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით მუშების გამოუცხადებლობის გამო, არაა ამოღებული 71 მილიონი ფუთი ნახშირი.

„ბურევესტნიკის“ დაღუპვის მიზეზების გამორკვევა

ლენინგრადი, 1 სექტემბერი. ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა, საგამომძიებლო ორგანოებს სასწრაფოდ მოახდინონ მკაცრი გამოძიება ყველა იმ მიზეზების, რომელმაც გამოიწვია გემ „ბურევესტნიკი“-ს დაღუპვა. მომხდარ ამბის ყველა წვრილმანების გამორკვევამდის დაპატიმრებულ იქნა მთელი რიგი პირები, გემ „ბურევესტნიკის“ მეთაურთა შემადგენლობიდან.

ლენინგრადის სამხედრო ნავთსადგურის უფროსმა გამოჰყო წყალ-მყვინთავთა ორი პარტია, რომელნიც მუშაობენ კატასტროფის ადგილზე გვამების ამოსატანად.

კატასტროფის დროს დაღუპული სამხედრო-მეზღვაურები და წითელ-ფლოტელები დასაფლავებული იქნებიან ძმათა სასაფლაოზე, 2 სექტემბერს.

ლენინგრადი. 1 სექტემბერი. 30 აგვისტოს ლენინგრადში ჩამოვიდა გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის სპეციალური კომისია „ბურევესტნიკის“ დაღუპვის მიზეზების გამოსარკვევად.

კომისიამ აღნიშნა, რომ გემის კაპიტანი ავარიის დროს უნდა ყოფილიყო „ბურევესტნიკზე“ და არ ჰქონდა უფლება, რომ თავისი თანაშემწისათვის გადაეცა გემის მართვა.

საკავშირო საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა

მოსკოვი, 1 სექტემბერი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიამ თავის სხდომაზე გამოარკვია, რომ საკავშირო საგარეო ვაჭრობის განვითარება ჩამორჩება ქვეყნის საერთო ზრდას: მრეწველობა შეადგენს 90%, სასოფლო მეურნეობა—95%, საგარეო ვაჭრობა კი მხოლოდ 28% ომის წინა დროინდელ ნორმებისას. 1925—26 წ. ექსპორტი ძირითად საქონლების მიხედვით იყო არა მომგებიანი, ხოლო ზოგიერთ საქონლის მიმართ კი—საზარალო.

სულ ზარალი ხორბლეულობის რეალიზაციიდან უდრის 13.900.000 მან. მიზეზები შემდეგია: ზომაზე მეტი ზედნადები ხარჯები, დიდი სარგებელი უცხოეთში მიღებულ თანხებზე, დამამზადებელი ორგანიზაციების შეუთანხმებელი მოქმედება და ექსპორტიორებისათვის ხელსაყრელი შეფარდება ინდექსებისა შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.

1925—26 წ. პირველ ნახევარი წლის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1924—25 წ. ნახევარ წელთან შედარებით გვაჩვენებს ექსპორტის ზრდას 33 პროც., ხოლო იმპორტისას—62 პროც.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი აღნიშნავს, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის პრაქტიკული განხორციელება საბაჟო პოლიტიკას უკარნახებს უმთავრესად ფისკალურ ამოცანებს. მიუხედავად იმ ძირითად ცვლილებებისა, რომელიც მოხდა საგარეო ვაჭრობაში რევოლიუციის შემდეგ, საბაჟო სისტემა და საბაჟო დაბეგვრის ტეხნიკა თითქმის სავსებით იმეორებს ძველ—რევოლიუციამდე არსებულ პრაქტიკას, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს და ზარალს აძლევს სახელმწიფოს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: საკავშირო რესპუბლიკებმა საექსპორტო - საიმპორტო გეგმის შედგენაში უნდა მიიღონ უშუალო მონაწილეობა. გადასინჯულ იქნას დასამზადებელ ფასების პოლიტიკა და უზრუნველყოფილი ექსპორტის მომგებიანობა. მიღებულ იქნას ზომები უცხოეთის ბაზარზე ცალკე ორგანიზაციებს შორის საზიანო კონკურენციის მოსასპობად. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახ. კომისარიატს ორი თვის განმავლობაში დაამუშაოს საბაჟო საქმის რეორგანიზაციის საკითხი.

საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 1 სექტემბერი. 20 აგვისტოს საკავშირო სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის მომავალი წლის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ. სახელ. საგეგმო კომისიის მოხსენებას და კამათს მის გარშემო საერთო ინფორმაციული ხასიათი ქონდა.

მიმდინარე წელში შედარებით გასულ წელთან ჩვენ ვხედავთ სასტიკ შენელებას სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპში.

1926—27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გამოიხატება 4.608,5 მილიონ მანეთში. ამ წლის ბიუჯეტის ოფიციალური ციფრი უდრის 4.032,2 მილ. მანეთს. თუ ავიღებთ ოფიციალურ ციფრს 1926—27 წლის ბიუჯეტისას. ჩვენ ვღებულობთ ნამატს 14,1%. დადგენილების მიღება გადადებულია სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მომავალ გაერთიანებულ სხდომამდე.

◆

ა.-კავ. ფედერაცია

აზერბეიჯანი

აბრეშუმის თესლი

ბაქო, 1 სექტემბერი. „კეიბირლიგს“ განზრახვა აქვს გაანაწილოს აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში 25.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი, რომლიდან 8.000 საზღვარგარეთელი არის, 7.000 თურქესტანის და 10.000 აზერბეიჯანის.

აბრეშუმის სართავი ფაბრიკა

ბაქო, 1 სექტემბერი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შინა-მრეწველობის განყოფილება უთმობს ნუხის მაზრის სამრეწველო კოოპერატივს გაუქმებულ აბრეშუმის სართავ ქარხანას.

ბავშვთა სას. სამეურ. კოლონია

ბაქო, 1 სექტემბერი. საბავშვო კომისია ხსნის ყუბის მაზრაში სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო კოლონიას 300 ბავშვისათვის.

თათბირი

ბაქო, 1 სექტემბერი. 6 სექტემბერს ბაქოში იხსნება საკავშირო თათბირი ნავთის წარმოების საკითხზე, რომელსაც იწვევს მემაღაროეთა კავშირი.

პროფესიონალურ სკოლებში

ბაქო, 1 სექტემბერი. აზნავთის პროფგანათლების სკოლებში მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოღებულია სწავლების ლაბორატორიულ კვლევითი მეთოდი და დალტონის გეგმა.

კასპიის სანაოსნო საზოგადოების ახალი თბო-მავალები

ბაქო, 1 სექტემბერი. კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ ჩრდილო-დასავლეთის სანაოსნო საზოგადოებისაგან შეიძინა საბარგო თბო-მავალი გემი „ქამადანი“ და „ირანი“.

ცეცხლ-გამძლე აგურის ქარხნის მოწყობა

ბაქო, 1 სექტემბერი. სადგ. დალიართან ცეცხლ-გამძლე ქარხნის მოსაწყობად გერმანიაში შეკვეთილ იქნა ორი უნივერსალური მანქანა, ღირებული 9.000 მან. ახალ ქარხანაში წლიურად 2 მილიონი ფუთი აგური უნდა დამზადდეს.

სამაზრო ფინანსიურ განყოფილებების გამოკვლევა

ბაქო, 1 სექტემბერი. სამაზრო საფინანსო განყოფილების საფინანსო კონტროლის უჯრედების მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი სამაზრო ფინორგანოები არღვევენ სალაროს და საბიუჯეტო დისციპლინას.

გასავლის ნაწილი გათვალისწინებული არ არის ხარჯთ-აღრიცხვაში, შრომის ორგანიზაციების გარეშე ხდებოდა ჯამაგირის მომატება თანამშრომლებისათვის, სწარმოებდა ზედმეტი მუშაობა, არ იყო დაცული მომჭირნეობის რეჟიმი.

აღნიშნულ ანორმალობათა გამოსასწორებლად, ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამუშავებს მთელ რიგ ღონისძიებებს.

700.000 მანეთის მომჭირნეობა

ბაქო, 1 სექტემბერი. წარმოების მოწესრიგების მიზნით ძველ ტურბინებს, რომლებიც ხარჯავენ 6 კილოგრამ ორთქლს ერთ კილოვატ საათში, ცვლიან ახალი ტურბინებით, რომელიც დახარჯავს 4,3 კილოგრამს, რაც იძლევა 700.000 მ. ეკონომიას წლის განმავლობაში.

სამთამადნო კავშირის ც. კ. პლენუმის სხდომა

ბაქო, 30 აგვისტო. გუშინ სამთამადნო მუშათა კავშირის ც. კ. პლენუმის მორიგ სხდომაზე მოისმინეს მოხსენება აზნავთის 1926-27 წლის საწარმოვო პროგრამისა და ფინანსიური გეგმის შესახებ ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია ხარჯები საზღვარგარეთ დაკვეთილი საგნებისათვის 5 მილიონი მანეთის რაოდენობით და აგრეთვე 5 მილიონი მანეთი ახალშენების მოწყობისათვის.

აზნავთის მთელი შემოსავალი გამოიხატება 198 მილიონ მანეთში.

რენტგენის კაბინეტი

ბაქო, 30 აგვისტო. ამიერ-კავკასიის რკინის-გზამ შეიძინა საზღვარ-გარეთ ბაქოს რკინის-გზის საავადმყოფოსათვის სამი რენტგენის აპარატი.

ვემზადოთ ახალგაზრდობის დღისათვის

ახალგაზრდა მუშებო და გლეხებო!

5 სექტემბერს მეთორმეტეჯერ ატარებს მთელი მსოფლიოს მოწინავე რევოლიუციონური ახალგაზრდობა თავის საერთაშორისო ბრძოლის დღეს.

სექტემბრის პირველი კვირა გამოცხადებული იქნა საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობის დღეთ 1915 წელს ქ. ბერლინში. ეს ის დრო იყო, როდესაც მთელ ქვეყანაზე ამოძრავებული იყო კაცობრიობის განმანადგურებელი ჯოჯოხეთური ძალები.

ეს ის დრო იყო, როდესაც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მუცლით ხოხავდა იმპერიალისტურ ყასბების ძლიერების წინაშე. ეს ის დრო იყო, როდესაც სისხლისაგან იცლებოდა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა და სტოვებდა თავის სიცოცხლეს სანგრებში, ძმათა შორის გამართულ ბრძოლის ველზე. მუშათა მოძრაობა, ახალგაზრდათა მოძრაობა განსაცდელში ჩავარდა. ომმა შეუბრალებლათ დასწყვიტა სხვადასხვა ქვეყნების მუშების და რევოლიუციონურ ახალგაზრდობის შემაკავშირებელი ძაფები.

ამ უაღრესად მძიმე და საზიზღარ მომენტში, როდესაც მოღალატეს დასისხლიანებული ხმალი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა და მიიწევდა ახალ-ახალი ბოროტმოქმედებისაკენ—**ბოლშევიკური პარტია, ლენინის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო პროლეტარიატს. ომი ომის წინააღმდეგ**—აი ლენინის მძლე ლოზუნგი, რომლის გარშემო თავი მოიყარა ყველა [illegible] და სოციალიზმის სადარაჯოზე მდგომმა რევოლიუციონურმა ძალებმა.

პირველი გამოძახილი ამ მკვეთრმა მოწოდებამ ჰპოვა რევოლიუციონურ ახალგაზრდობაში, ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალის იმ ელემენტებში, რომელთაც მიუხედავათ სოციალ-დემოკრატიულ ბელადების სამარცხვინო ღალატისა მოძმათა კლასის საქმისადმი—არ დაეკარგათ რწმენა გამარჯვებაში. ბელადის ლოზუნგის გარშემო, ლიბკნეხტის უშუალო ხელმძღვანელობით რევოლიუციონური ახალგაზრდობა რაზმავს რიგებს.

ომის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვდა მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო სოლიდარობას. სწორედ ამ მძიმე მომენტში წარმოიშვა და ხორცი შეისხა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შექმნის იდეამ. აქედან დაწყებული სექტემბრის პირველი კვირა წარმოადგენს მსოფლიო მუშათა ახალგაზრდობის დღეს.

ახალ-ახალი ძალებით, ერთგულებით და სიმტკიცით—მსოფლიო რევოლიუციონურ ახალგაზრდობას ყოველწლიურათ მიაქვს იერიშები ბურჟუაზიის სისხლის მსმელ იმპერიალისტურ ყაჩაღების და მისი ფინიების—სოციალ-დემოკრატიული პარტიების წინააღმდეგ. ისინი ვინც ალვივებდენ ომს და „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგის ქვეშ იცავდენ იმპერიალისტების ჯიბეებს 1914—18 წლებში—დღეს გაათკეცებული ენერგიით ბებიაობენ დაძაბუნებულ კაპიტალიზმს. სოციალ-დემოკრატია ფიქრობს, რომ მისი ერთგულება კაპიტალიზმისადმი საკმარისი აღმოჩნდებოდა—მისი ყოველგვარი სენისგან გასაკურნავათ. ისინი ფიქრობენ, რომ კაპიტალიზმმა თავი დააღწია ომით გამოწვეულ ტვირთს და შევიდა ნორმალური განვითარების ეპოქაში. სოციალ-დემოკრატიას სურს, რომ ეს-ასე იყოს, მაგრამ სინამდვილე შორსაა მათი სურვილებისაგან. ინგლისის ძლიერი პოლიტიკური მიწისძვრა, ჩინეთის ამბები, მაროკო, სირია—შერმეტყველურათ ასამარებენ ლეგენდას კაპიტალიზმის მტკიცე სტაბილიზაციის შესახებ.

კაპიტალიზმს ომის შემდეგ არ მიუღწევია და ვერც მიაღწევს სიმტკიცეს. მისი დროებითი წელში გამართვა მოხდა არა მარტო ამერიკის ოქროების და მუშათა კლასის უსაშინელესი ექსპლოატაციის წყალობით, არამედ მუშათა ახალგაზრდობის ხარჯზეაც. კაპიტალის შემოტევა მუშების და ახალგაზრდობის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ დღითი-დღე ძლიერდება. არსებობის მონური პირობები თანდათან უარესდება. 9—10—11 და ხშირად 16 საათის სამუშაო დღე, მცირე დღიური ხელფასი—აი რა ასულდგმულებს კაპიტალიზმის დღენაკლულ სტაბილიზაციას.

ესევე პირობები ამზადებს მის საფლავს. მესაფლავე ფხიზლდება, გადამწყვეტი მომენტისთვის ემზადება, იგი უკვე მოდის, მუშათა მოძრაობის გაცხოველება და გამარჯვება უკანასკნელი წლის განმავლობაში, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის ზრდა, საბჭოთა კავშირის—პირველი პროლეტარული ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის გათხრილი ამოუვსებელი უფსკრულები—აი რა ამოკლებს კაპიტალიზმის დათვლილ დღეებს, აი რა აძლევს მუშათა კლასს და მის ავანგარდს კომუნისტურ ინტერნაციონალს საბაბს, რომ ზურგი აქციოს კაპიტალიზმის საბოლოო გაჯანსაღების შესახებ გავრცელებულ არაბულ ზღაპრებს.

კომუნისტური ინტერნაციონალის მორიგი ამოცანაა მუშათა მოძრაობის წაყვანა სწორი გზით მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტის შექმნა—კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით, მასების განთავისუფლება სოციალ-დემოკრატიის გავლენისაგან და ფოლადისებური ლენინური მსოფლიო კომპარტიის შექმნა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა ბევრათაა დამოკიდებული იმაზე თუ ბარიკადების რომელ მხარეზე აღმოჩნდება მუშათა ახალგაზრდობა.

ბურჟუაზიას მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობაში ყავს თავისი აგენტები—სხვადასხვა ყალიბის ნაციონალისტური, ქრისტიანული და სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდათა ორგანიზაციების სახით. ახალგაზრდ. სოციალისტურ ინტერნაციონალს, ისე როგორც სხვა ბურჟუაზიულ ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, არ შეუძლია მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ეკონომიურ ინტერესებისათვის ბრძოლა და პოლიტიკური მეთაურობა. მათ შეუძლიათ მხოლოდ უსირცხვილო ღალატი.

ისინი აქამდე უმასპინძლდებიან მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას გამოფიტული ქადაგებით „ქრისტიანულ მორალზე“, „წმინდა იდეალებზე“ და „კეთილშობილებაზე“. ახალგაზრდობას დღეს ეს ილიუზიები არ ესაჭიროება. მას სულს უხუთავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ბორკილები—მას სურს მისი დამხობა, მას ეკონომიურათ იმონებს კაპიტალისტური ფაბრიკა—ეძებს გზებს თავის დასახსნელათ, მას არ სურს ჯოჯოხეთური ომის განმეორება და მისი საშინელების თავის საკუთარ ზურგზე გადატანა, მას სურს 4 და 6 საათის სამუშაო დღე, ადამიანურ პირობებში ცხოვრება, პოლიტიკური თავისუფლება და რევოლიუციონური მთლიანობის შექმნა კაპიტალის წინააღმდეგ. იგი კარგად არჩევს თეთრს—შავისაგან, მან იცის რა სურს მას და რა არ სურს მას. ვინც ამ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს —იგია ახალგაზრდობის ავანგარდი. არ არსებობს მთელ მსოფლიოში სხვა ძალა, გარდა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომელსაც შეეძლოს ამ ამოცანების გადაჭრა და მუშათა ახალგაზრდობის ნამდვილი რევოლიუციონური მესაჭეობა. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი ჯერ კიდევ სუსტი და მცირე რიცხოვანია, მაგრამ იგი მიდის სწორი ლენინური გზით და მას აქვს უდიდესი მომავალი.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე მოწოდებულია—მთლიანი ფრონტის შექმნისათვის. ამ მთლიანობას მრავალი სიძნელეები ელობება წინ. ბურჟუაზია, მათი მთავრობები, მათი დაქირავებული აგენტები დევნიან მუშათა ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, ასუსტებენ მის საერთაშორისო მთლიანობას.

ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია საზიზღარ ჭორებს ავრცელებს იმისათვის, რათა ახალგაზრდათა დელეგაციები, რომელთაც მიზნათ აქვს დასახული ს. ს. რ. კ. გაცნობა და მჭიდრო კავშირის დაჭერა ჩვენი ქვეყნების მშრომელ ახალგაზრდობასთან—არ იქნეს გამოგზავნილი პროლეტარიატის დიქტატურის სამშობლოში, საბჭოთა კავშირს ახალგაზრდობის დელეგაციებს ის პირდაპირ უკრძალავს მათ სამშობლოში შესვლას ჩვენი უღრმესი პროტესტი ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის ამ ახალი ბოროტი ნაბიჯის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მთლიანობის წინააღმდეგ აღმართული ყოველი ხელი ძირშივე უნდა მოიკვეთოს. ეს უნდა ხდებოდეს საერთაშორისო პროტესტით—5 სექტემბერს.

ბურჟუაზია კიდევ ერთხელ ეცდება თავისი ბატონობის დასასრულამდე ჯიბეების გასქელების მიზნით—ხალხთა დამონების ნიადაგზე—ახალ ავაზაკური სისხლის ღვრის მორევი დააყენოს.

სოციალ-დემოკრატია კიდევ ერთხელ ეცდება თავისი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით დახმარება გაუწიოს ბურჟუაზიას—ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ. ახალი ომი არ დაემსგავსება ძველ ომს. თავისი საშინელებით, ბოროტებით. უგნურობით იგი ბევრად გადააჭარბებს 1914—18 წლის იმპერიალისტურ ომს.

ტყუილათ კი არ ამზადებს ბურჟუაზია განმანადგურებელ იარაღებს—ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ტყუილა კი არ აშენებს ის მხრჩოლავ გაზებს და აძლიერებს საჰაერო და საზღვაო ფლოტს.

თუ ბურჟუაზიამ შესძლო ახალი ომის დაწყება—ის იქნება მთელი ქვეყნის უდაბნოთ გადაქცევის მომასწავებელი ნაბიჯი. სოც.-დემოკრატიას არ შესწევს უნარი და სურვილი ეწინააღმდეგოს ომს. პირიქით ის დაეხმარება და ეხმარება ახლაც ბურჟუაზიას. როგორც ომის სამზადისში, ისე მის დაწყებაში. ომის წინააღმდეგ ხმა უნდა აიმაღლოს რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა და მუშათა ახალგაზრდობამ.

ახალი ომის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება წითელი არმიის გაძლიერებით. [illegible] ახალი ომის საშინელება თავიდან იქნეს აცილებული გააძლიერეთ წითელი არმია. **5 სექტემბერს ყველა ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის ახალი ფინების წინააღმდეგ, მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ.**

მთელი ქვეყნის ყურადღებას დღეს იპყრობს ინგლისის მაღაროს მუშების გმირული ბრძოლა —ბურჟუაზიის შეტევის წინააღმდეგ. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია და პროფკავშირების ყვითელი ინტერნაციონალი ჩახშობას უქადის ინგლისის პროლეტარების გამოსვლას. გენერალური საბჭო არ კმაყოფილდება გენერალური ღალატით და ცდილობს იმგვარათ დაასრულოს მაღაროს მუშების გაფიცვა, როგორც „ღირსეულ“ სახესაც ატარებდა მათ მიერ საყოველთაო გაფიცვის ზურგიდან მახვილის ჩაცემა.

მემაღაროეთა დამარცხება ინგლისში გამოიწვევს მუშათა ახალგაზრდობის წინააღმდეგ გალაშქრებას ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ჩვენი ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობის ვალია—სხვა ქვეყნის ახალგაზრდებთან ერთად არ მისცეს მოღალატეებს საშუალება, რომ ინგლისის მაღაროს მუშები გადაქცეული იქნენ ინგლისის ბურჟუაზიის საძიძგნ საგნათ. მაღაროს მუშები საჭიროებენ ჩვენს მორალურ და მატერიალურ დახმარებას. უამისოთ მათი დამარცხება უზრუნველყოფილია. 5 სექტემბერს თვითეული ახალგაზრდა მუშას და გლეხს უნდა ახსოვდეს, რომ იქ, შორეულ ინგლისში გაფიცული მუშები და ახალგაზრდობა, მათი ცოლშვილი განიცდიან გაუგონარ შევიწროებას. თვითეულმა ახალგაზრდა მუშამ და გლეხმა უნდა შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალი —ინგლისის გაფიცულების წინაშე.

საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენენ იმ ქვეყანას, სადაც მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა სარგებლობს განუსაზღვრელი თავისუფლებით. საბჭოთა რესპუბლიკების ახალგაზრდობა და მისი ავანგარდი ლენინური კომკავშირი წარმოადგენს მსოფლიო მუშათა ახალგაზრდობის წინამძღოლს.

იმპერიალიზმის ქუსლებს ქვეშ გათელილი ახალგაზრდობის რევოლიუციონური სიმტკიცე, გამარჯვება, წინსვლა დამოკიდებულია ჩვენი კავშირის სიმტკიცესა და განვითარებაზე. ჩვენი კავშირი ჩაბმულია ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში. რამდენათ მეტს ენერგიას, უნარს შევიტანთ ჩვენ ამ საქმეში—იმდენათ უფრო კარგათ შევასრულებთ ახალგაზრდობის საერთაშორისო რევოლიუციონური ოჯახის ხელმძღვანელის როლს.

სოციალიზმის მშენებლობა პირდაპირ დამოკიდებულია ქვეყნის საწარმოო ძალების წინსვლაზე. ამიტომ უნდა მივიღოთ ჩვენ აქტიური მონაწილეობა, შრომის ნაყოფიერებისა და მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში. სოფლის წინსვლა სოციალიზმისაკენ უნდა მოხდეს კოოპერაციის გაძლიერებით. ჩვენი კავშირის და მთელი ახალგაზრდობის გადაუდებელ ამოცანათ უნდა გახდეს თავისი ენერგიის შეტანა კოოპერაციის გაჯანსაღების საქმეში.

ჩვენი კავშირის შემდეგი განვითარება დამოკიდებულია კომკავშირის მთლიანობაზე, მის რიგებში მთელი მუშათა ახალგაზრდობის დარაზმვაზე და პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერებაზე. თავდადებული ბრძოლა სოციალიზმისათვის, ლენინური კომკავშირის შინაგანი ძლიერების და მთლიანობის განმტკიცებისათვის, ახალგაზრდობის საერთაშორისო სოლიდარობისა და მისი ინტერნაციონალურ-ლენინური სულით აღზრდისათვის—აი რა უნდა ახსოვდეს თვითეულ ახალგაზრდა მუშას და გლეხს—5 სექტემბერს.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტები მოგიწოდებენ თქვენ ფხიზლათ და შეგნებულად შეხვდეთ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს—5 სექტემბერს.

ეს დღე ჩვენ მრავალ ვალდებულებებს გვაკისრებს, არც ერთი მათგანი არ უნდა დარჩეს შეუსრულებელი.

განამტკიცეთ კომკავშირის რიგები.

მეტი ძალა და ენერგია, მთელი გამოცდილება და უნარი სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

განამტკიცეთ კავშირი ჩვენს მეზობელ საზღვარგარეთელ ახალგაზრდათა ორგანიზაციებთან.

სრული თანაგრძნობა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს და მათი განთავისუფლებისათვის მებრძოლ აღმოსავლეთის რევოლიუციონურ ახალგაზრდობას. დაეხმარეთ ინგლისის მაღაროს მუშებს.

ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატიის, მოსალოდნელ ომის წინააღმდეგ, მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მთლიანობისათვის, სოციალიზმისათვის.

საქ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტები.

თბილისი. 1 სექტემბერი.

გერმანიის მუშათა დელეგაცია

აფხაზეთში

შეხვედრა და მიტინგი ნავთსადგურში

სოხუმი, 1 სექტემბერი. გუშინ საღამოთი სოხუმში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია. ნავთსადგურთან გამართულ მიტინგზე დელეგაციას მიესალმა პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. სუკიაინი. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ კერბერმა, რომელმაც განაცხადა:

„ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირში სწარმოებს ნამდვილი სოციალისტური აღმშენებლობა. გერმანიაში ჩასვლის შემდეგ ჩვენ გავფანტავთ ყოველგვარ სიცრუეს საბჭოთა კავშირის შესახებ“.

ამხ. ბუხგოლცის სიტყვა

ამხანაგურ ვახშამზე ბუხგოლცმა მხურვალე სიტყვაში განაცხადა:

„საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა დიდი გაჭირვებები გადაიტანა, მაგრამ თავის მიზანს მიაღწია. როცა გერმანიაში ჩავალთ ჩვენ ვეტყვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადებს, რომ დიდის ყურადღებით მოეპყრონ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს““.

შემდეგ ბუხგოლცმა მიმართა დელეგაციის წევრებს და უთხრა:

„ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენი ტეხნიკა გადმოვიტანოთ საბჭოთა კავშირში, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ შევსძლებთ, როცა ნაციონალიზაციას მოუხდენთ ჩვენს მრეწველობას.

შემდეგ ბუხგოლცმა განაცხადა, რომ იმ დროს, როცა ევროპის პროლეტარიატი გულგრილად მოეპყრო ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვას, საბჭოთა პროლეტარიატმა დიდი დახმარება აღმოუჩინა გაფიცულებს.

„მე განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ საბჭოთა კავშირის პიონერთა ორგანიზაციებით, სთქვა დასასრულ ბუხჰოლცმა და გერმანიაში ჩასვლისთანავე განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ ბავშვთა მუშურ მოძრაობას“.

ამხ. ზივერტის სიტყვა

დელეგაციის მეორე თავმჯდომარემ ზივერტმა სოხუმის პარტორგანიზაციის წარმომადგენლის ლადარიას სიტყვის საპასუხოდ განაცხადა:

„არსად, არც ერთ ქვეყანაში ეროვნული საკითხი არაა გადაჭრილი ისე, როგორც საბჭოთა კავშირში. ამიერ-კავკასიაში ეროვნული საკითხი სრულიადაც არ არის ისეთ მდგომარეობაში, როგორც საზღვარ-გარეთ აქვთ წარმოდგენილი. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ერები, რომლებიც იჩაგრებოდნენ მეფის წეს-წყობილების დროს და შუღლი ქონდათ ურთიერთის მიმართ, ეხლა მეგობრულად და მშვიდობიანად სცხოვრობენ“.

—:—

ხვალ დელეგაცია შეუდგება სოხუმის ბოტანიკური ბაღის, თამბაქოს საცდელი მინდვრის და სხ. დათვალიერებას.

დელეგატებმა სურვილი გამოსთქვეს დაათვალიერონ სანატორიუმები გულრიპშში და გაგრაში. გავლით დელეგაცია დაათვალიერებს ახალ ათონს.

◆

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

ყოფა-ცხოვრების საკითხების შესახებ

გუშინ საბჭოთა რუსეთის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენებამ აურაცხელი ხალხი მიიზიდა; დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი მოხსენება, რომელიც შემდეგ ძირითად დებულებებს შეიცავდა:

ნივთიერი კეთილდღეობის მოპოვება არ არის ადამიანის უშუალო დანიშნულება, იგი არის აუცილებელი პირობა მისი სულიერი კულტურის სრულყოფისათვის. ბრძოლა ბუნებასთან, ბრძოლა საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, პოლიტიკური და კლასობრივი ბრძოლები სწარმოებს იმისთვის, რომ შეიქნეს ნორმალური პირობები კაცობრიობის სულიერი კულტურის განსავითარებლად.

ბრძოლა სოციალიზმისათვის, არის ბრძოლა ისეთი სამეურნეო პირობებისათვის, რომელიც გაანთავისუფლებს ადამიანს, როგორც პიროვნებას ლუკმა პურზე ყოველდღიური ზრუნვისაგან და საშუალებას მისცემს სრულ მყოფ თავის სულიერი თვისებებს, შექმნას კულტურული ღირებულებანი.

მხოლოდ სოციალისტური წყობილების დამყარების შემდეგ დაიწყება კაცობრიობის შეუფერხებელი კულტურული განვითარება.

საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ჯერ-ჯერობით ერთად-ერთ ქვეყანას, რომელმაც მოიპოვა პირობები იმისათვის, რომ შეეძლოს შემოქმედებითი მუშაობა სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად. პოლიტიკური ხელისუფლების დაპატრონება მშრომელ კლასს საშუალებას აძლევს ისეთ საფუძვლებზე ააგოს მეურნეობა, რომ ნივთიერად უზრუნველყოფილი იქნეს ყოველი მშრომელთაგანი, თანაბრად განაწილებული იქნება საზოგადოებრივი დოვლათი. მუშაობა სოციალისტური მეურნეობის შესაქმნელად მხოლოდ ეხლა იწყება. მაშასადამე სამეურნეო ცხოვრება ჯერ კიდევ ისე არ არის მოწესრიგებული, რომ შექმნილი დოვლათი აკმაყოფილებდეს ყველას, რომ მილიონი მშრომელთა მასები ნივთიერათ უზრუნველყოფილი იყვნენ, რომ მათ არ უხდებოდეთ ზრუნვა ლუკმა პურისათვის. ასეთ პირობებში ოჯახის არსებობა, როგორც ძირითადი სამეურნეო ერთეულის, აუცილებელია. მაგრამ ოჯახი უნდა აშენდეს სულ სხვა საფუძველზე. იგი უნდა აიგოს შეუღლებული ქალ-ვაჟის სრულ თანასწორობაზე. ბურჟუაზიულ ოჯახში ქალი განიცდის ორგვარ ექსპლოატაციას—როგორც მეუღლე დიასახლისი და როგორც სქესი. საბჭოთა ოჯახმა ქალი უნდა გაანთავისუფლოს ორივე სახის ექსპლოატაციისაგან. ჩვენში ამ მხრივ არ არსებობს სწორი შეხედულება კომუნისტებს შორისაც კი: ქალს უყურებენ ან როგორც მეუღლეს, ან როგორც სქესს. ორივე ასეთი შეხედულება ბურჟუაზიულია და ეწინააღმდეგება კომუნისტურ პრინციპს.

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმით, რამდენათაც თანამედროვე სამეურნეო პირობები საშუალებას იძლევა, ქალმა თავი უნდა დააღწიოს ყოველდღიური ოჯახური მზრუნველობის ბორკილებს.



თანამედროვე ოჯახს ეკისრება პასუხისმგებლობა შთამომავლობის გაგრძელების,—შვილების აღზრდის საქმეში,—აქედან ცხადია,—უარყოფილი უნდა იქნეს შემთხვევითი სქესობრივი კავშირი, რომელიც ფეხს იკიდებს ახალგაზრდობაში. პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, ერთი-მეორის სიყვარულით უნდა ხდებოდეს ყოველი წყვილის შეერთება და არა წუთიერი გატაცებით.

კანონმდებლობით ოჯახისა და ქორწინების საკითხების მოწესრიგება შეუძლებელია. თვით საზოგადოებრივი შეგნება უნდა ამაღლდეს იმ დონემდე, რომ სქესობრივი აღვირახსნილობა ითვლებოდეს ბოროტებად ისე როგორც სხვა საზოგადოებრივი დანაშაული.

№.

ნაოსნობის აღდგენა მდ. რიონზე

ყველასათვის ცხადია, რომ წყლის გზა წარმოადგენს ყველა გზებზე უფრო იაფ და ადვილ გზას. საქართველო გზების მხრივ ძლიერ სუსტათ არის უზრუნველყოფილი, მაშინ, როცა მას აქვს არა ერთი მდინარე, რომელზედაც შესაძლებელია მოეწყოს ნაოსნობა; მაგალითად, მდინარეები: რიონი, ალაზანი, ცხენისწყალი, ჭოროხი, მტკვარი და ინგური. ნაწილობრივ გლეხები ეხლაც სარგებლობენ აღნიშნულ მდინარეებით, როგორც წყლის გზებით. რიონზე და ჭოროხზე გლეხებს მიაქვთ მამა-პაპური ნავებით სიმინდი, შეშა ხილეულთა და სხვა. დანარჩენ მდინარეებით დააქვთ ტივები.

აღნიშნულ მდინარეებზე ჯერ-ჯერობით არავითარი ტეხნიკური ზედამხედველობა არ არსებობს და ამისათვის იქ ხშირად აქვს უბედურ შემთხვევებს ადგილი. აღნიშნულ მდინარეებს შორის გარდა მტკვარისა მხოლოდ რიონზე იქნება ტეხნიკური ზედამხედველობა ა.-წ. პირველ ოქტომბრიდან. ეს ზედამხედველობა დაქვემდებარებული იქნება ა.-კ. ნავთსადგურების და შინაგან წყალთა სამმართველოსადმი. ტეხნიკური ზედამხედველობა ვალდებულია მიიღოს ზომები მდინარის კალაპოტის გაწმენდისათვის. საჭიროა ახლავე იქნეს მიღებული ზომები, რომ დანარჩენი მდინარეებიც ჩარიცხულ იქნას სანაოსნო მდინარეთა შორის და მათზედაც გავრცელებული იქნას ტეხნიკური ზედამხედველობა.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგს და იაფ გზებს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას ქვეყნის საწარმოო ძალთა აღორძინებაში, ყველასათვის ცხადია, საქართველოს ბუნების სიმდიდრის აღორძინებას ძლიერ აბრკოლებს გზების სიმცირე. ეს არის მიზეზი იმისაც, რომ ჩვენში გლეხი ბევრგან არ ეტანება მაღალ ხარისხოვან ბოსტნეულის და ხეხილის დამუშავებას. გზების უქონლობა მას ხელს უშლის თავის დროზე გაიტანოს ბაზარზე თავის მუშაობის ნაყოფი.

დასავლეთ საქართველოს აქვს ფრიად იაფი წყლის გზა და ეს გზა არის მდინარე რიონი. ამ გზით შეუძლია ისარგებლოს ოთხმა მაზრამ—(ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის) და 5 ქალაქმა—(ქუთაისი, სამტრედია, ფოთი, სენაკი, ლანჩხუთი).

მდინარე რიონზე ამ 45 წლის წინათ არსებობდა ნაოსნობა, რომლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოთავსებულია ყოველთვიურ ტეხნიკურ ჟურნალში „ტეხნიკა და ცხოვრება“ № 9—1926 წ. გვერდი 16—17. რიონის ნაოსნობისათვის საჭირო ეკონომიური გამოკვლევა უკვე დაამთავრა ნ. ი. ნიკოლაძემ და ამ მოკლე ხანში გამოვა სტამბიდან. წინასწარ ტეხნიკური გამოკვლევაც დამთავრებულია. აღნიშნულ გამოკვლევებიდან სჩანს, რომ რიონზე ნაოსნობის მოწყობა შესაძლებელია და სასარგებლოც.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, წყლის კალაპოტის გაწმენდა დაევალა ა.-კ. შინაგან წყალთა სამმართველოს. ეხლა საჭიროა რაც შეიძლება მალე მოეწყოს გემების შეძენა და ნაოსნობის გახსნა.

თანახმად ს. ს. რ. რ. კ. გზათა კომისრის რწმუნებულის ამხ. შ. ელიავას განკარგულებისა, ამ საკითხის გადასაჭრელად დაინიშნა სპეციალური კომისია, რომელიც იმედია მიიღებს ყოველივე ღონისძიებას ამ მხრივ.

გამორკვეული[illegible] რომ რიონის ნაოსნობისთვის საჭირო [illegible] გაკეთება შეიძლება ფოთის ნავსადგურის მექანიკური სახელოსნოში, მშენებლობა სპეციალისტები გვყავს არა ერთი და საჭირო რკინეული მასალები და სამოძრაო მანქანებიც მოიპოვება. ამ კომისიის პირველი სხდომა დაინიშნულია 2 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ა.-კ. ნავთსადგურთა გამგეობის შენობაში.

ტ. ს. სპრინქველი.

◆

საპატენტო გადასახადის კამპანია

უკანასკნელ ხანებში აღსანიშნავია, რომ საგადასახადო დისციპლინას არღვევენ არა მარტო კერძო გადამხდელნი, არამედ თვით სახელმწიფო წარმოებანი და კოოპერატიული დაწესებულებანი. კერძოთ, სარეწაო პატენტების თავის დროზე შეძენას აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფოსათვის, აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა მფლობელთათვის, რადგანაც უკანასკნელებს თავიდან აცილებს ზედმეტ ხარჯების (ჯარიმის სახით) გაღებას.

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს ა. წ. 28 აგვისტოს დადგენილებით, სავაჭრო (გარდა 1 ხარისხისა) და სამრეწველო საწარმოოთა მფლობელნი და აგრეთვე პირადი პატენტების შემძენი პირნი ვალდებულნი არიან შეიტანონ ავანსი ა. წ. 15 სექტემბრამდე 1926-27 წ. საპატენტო გადასახადის ანგარიშში, დაწესებულ ადგილობრივი თანხების დანარიცხით, რომლის რაოდენობა გამოიხატება შეძენილ ნახევარ წლიდის პატენტის ღირებულებაში. ამნაირად აშკარაა, რომ მთავრობას განზრახული აქვს წლიურ დაბეგვრაზე გადასვლა და ამისათვის შემოღებულია ახალი დებულების დამტკიცებამდე ავანსის გადახდა.

ცხადია, რომ ახალი კანონის გამოცემის შემდეგ გადამხდელთ დაევალებათ წლიურ პატენტის ღირებულების განსხვავების გადახდა და შემდგომ ყოველი საწარმოოს მფლობელი მიიღებს ხელზე სარეწაო მოწმობას.

ამ ჟამად ფინაპარატის წინაშე დასმულია დაკვრითი ამოცანა სასწრაფო წესით გაატაროს ცხოვრებაში მთავრობის დადგენილება და მიიღოს ზომები, რათა ამ გადასახადმა მოგვცეს აღნიშნულ ვადამდე მთელი ასი პროცენტი.

დასახულ ამოცანის შესრულებაში ფინაპარატს უნდა შეუწყონ ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებათა პასუხისმგებელ ხელმძღვანელებმა და კერძო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონეებმა, ესე იგი, სექტემბრის პირველ რიცხვებში შეიტანონ გადასახადი ავანსის სახით და ამით თავიდან აიცილონ ყველა ის არა სასიამოვნო მოვლენები, რომელნიც გამომდინარეობს კანონის შეუსრულობიდან.

გარდა საფინანსო შედეგებისა, მომავალი კამპანია, თუ კი ჩაივლის ნორმალურ პირობებში მოგვცემს ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების ნათელ სურათს, რადგანაც ავანსის შეტანა ამასთანავე აღრიცხავს ყველა წარმოებებს და გამოაჩენს ვითარდება თუ მცირდება სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო ვაჭრობა-მრეწველობა.

სტ. აკოფაშვილი.

◆

საგარეო ვაჭრობა

ა.-კ. სავაჭრო სახლის ამხანაგობის რწმუნებულმა მოსკოვში ამხ. სანტურიანმა, ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, საგარეო ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ, განაცხადა:

— ექსპორტის მაქსიმალური გაძლიერება და იმპორტის შემცირება — აი საით იყო მიმართული ვაჭრობის კომისარიატის მოქმედება. საიმპორტო გეგმის შეკვეცამ რა თქმა უნდა გავლენა იქონია ამიერ - კავკასიაზედაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამაგიეროთ ჩვენ მივიღეთ კრედიტი გერმანიის მრეწველებისაგან 150 მილიონი მანეთის რაოდენობით. აქედან ა. კ. ერგო 4 მილიონი.

საიმპორტო გეგმით მიმდინარე წელში შემოტანილია ამიერ - კავკასიაში 9.000.000 მანეთის საქონელი. გერმანიის მრეწველობის სესხის ჩათვლით, იმპორტი მიაღწევს 13.000.000 მანეთს.

ექსპორტი ამიერ - კავკასიიდან საგრძნობლათ გაიზარდა. გასულ წელთან შედარებით. 1925—26 წ. 10 თვის განმავლობაში გატანილია საზღვარგარეთ 9.500.000 მან. ღირებულების სხვადასხვა საქონელი. ამ თანხაში არ შედის გატანილ მარგანეცის და ნავთის — პროდუქტების ღირებულება. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ წლის ბოლომდე გატანილი იქნება 11—12 მილიონი მანეთის საქონელი.

ამჟამად მუშავდება 1926—27 წლის საექსპორტო - საიმპორტო გეგმა. 1925—26 წ. შედარებით მომავალ წლის განმავლობაში ექსპორტი უნდა გაიზარდოს 20 პროცენტით. კერძოთ წელს პური 35 პროცენტით მეტი იქნება გატანილი, ვიდრე შარშან იყო. წინასწარი საკონტროლო ციფრების მიხედვით ექსპორტის ღირებულებამ უნდა მიაღწიოს 800.000.000 მანეთს.

გადიდებულია საექსპორტო გეგმა ამიერკავკასიისათვისაც. განზრახულია საექსპორტო საქონლის სია გაფართოვდეს, მასში ვაშლის, კვერცხის, თხილის და სხვა პროდუქტების შეტანით.

საბჭოთა კავშირში მოსავალი წელს იმედს იძლევა, რომ ის სამეურნეო დაბრკოლებანი, რომელსაც განიცდიდა ჩვენი სახალხო მეურნეობა მიმდინარე წელს, სავსებით აღმოფხვრილი იქნებიან. საჭიროა ყოველი ზომა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ საექსპორტო გეგმა არა თუ [illegible], არამედ გადამეტებით იქნეს შესრულებული.

პარტიული ცხოვრება

წითელ ჯარში მორიგი გაწვევის გამო

ცირკულიარულად

ა. წ. 15 სექტემბრიდან იწყება 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევა.

გლეხებს სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს ეძლევა ზოგიერთი შეღავათები. ამ შეღავათების მიცემის დროს გასულ წელს ადგილობრივ დაშვებული იქნა ზოგიერთი შეცდომები. ამიტომ მიმდინარე წელს საორგანიზაციო და სააგიტაციო მუშაობის საფუძველს უნდა შეადგენდეს გაწვევის წესის და გასაწვევების შეღავათიან დებულებების გარკვევა და მისი სწორად გამოყენება. ამ ახსნა-განმარტების საფუძვლიანად ჩატარებისათვის მშრომელთა ფართო მასაში საჭიროა კ. პ. თემკომებთან შეიქნას კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—თემკომის პ.-მგ. მდივანი, წევრები—ა. ლ. კ. კ. თემკომის მდივანი და თემაღმასკომის თავმჯდომარე.

ამ კომისიებს დავალებული ექნებათ: გაურკვიოს გლეხობას წითელ არმიაში გაწვევის მნიშვნელობა და აუცილებლობა; აგრეთვე გაცნობა გლეხობის გაწვევის და შეღავათების მიცემის წესების შესახებ. კამპანიის საორგანიზაციო მუშაობის წესიერად ჩატარებისათვის საჭიროა:

1) სათემო საბჭოების გაფართოებულ სხდომაზე ვრცელი მოხსენების გაკეთება გაწვევის საკითხის შესახებ.

2) მოეწყოს ქოხ-სამკითხველოებთან საცნობო მაგიდები 1904 წ. დაბადებულთა გაწვევის საკითხთა გასაშუქებლად.

3) გამოშვებულ იქნას საგანგებო კედლის გაზეთის № სადაც მარტივად და გასაგებად იქნება ახსნილი ამ საკითხის მნიშვნელობა.

4) მოეწყოს ქოხ-სამკითხველოებთან ხმამაღლა კითხვა გაზეთ „კომუნისტი“, „ახალი სოფელი“ და „მუშიდგან“ იმ წერილების, რომელიც გაწვევის საკითხებს ეხება.

სასურველია რომ ხსენებული საკითხი წითელ არმიაში გაწვევის და დისციპლინის მნიშვნელობის შესახებ დაისვას სათემო საერთო კრებაზედ. კამპანიის წითელ არმიის რიგებში ჩარიცხულთა საზეიმო გაცილებით უნდა დამთავრდეს.

კამპანიის დასრულებით ცენტრალურ კომიტეტს სამაზრკომმა წერილობითი ანგარიში უნდა წარუდგინონ.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილების გამგე პ. საყვარელიძე.

1 სექტემბერი 1926 წ.

ჩვენი პარტია მთლიანი იყო და იქნება

ქალაქის რაიონის უჯრედების გაერთიანებული კრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის 33 უჯრედიდან შემდგარმა გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა ამხ. ლუკაშინის მოხსენება საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგებზე, სავსებით უერთდება მის გადაწყვეტილებებს.

კრება აღიარებს, რომ მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა, პირველი პროლეტარული სახელმწიფო მსოფლიოში, მთლიან, ბრძოლებში გამობრძმედილ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, ყოველდღიურად აღწევს სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს სოციალისტურ აღმშენებლობის და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეში.

საბჭოების უკანასკნელმა გადარჩევამ და მათი მუშაობის გაცხოველებამ დაგვანახვა, რომ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მრავალმილიონიან გლეხობის ღარიბ და საშუალო მასების აქტივობა სწორი გზით იზრდება, რომ პროლეტარიატის და მისი პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც ხორციელდება ფართო საბჭოთა დემოკრატიის გზით, კიდევ უფრო ამაგრებს მუშებისა და გლეხების კავშირს და უზრუნველყოფს ნდობას მშრომელი გლეხობის მხრით.

მთელი ჩვენი აღმშენებლობის შემდეგი წარმატება სავსებით დამოკიდებულია ბოლშევიკური პარტიის რიგების სიმჭიდროვისა და მტკიცე ხელმძღვანელობისაგან.

ეგრედწოდებულ ახალი ოპოზიციის გამოსვლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ზინოვიევი, კამენევი და ტროცკი და რომელიც წარმოადგენს ბლოკს ყველა აქამდე დაგმობილ ჯგუფებისას, როგორც პარტიის მიერ მთლიანად, ისე განსაკუთრებით უკვდავ ბელადის—ვლ. ი. ლენინის მიერაც, სერიოზულ საფრთხეს უმზადებს ჩვენი პარტიის მთლიანობას, ძირს უთხრის პროლეტარიატის დიქტატურას და აფერხებს სოციალისტური აღმშენებლობის წინსვლას.

ოპოზიციის გამოსვლა პლატფორმებით, საბჭოების გადარჩევის, პურის დამზადების საკითხებზე, ლაშევიჩის, ბელენკის და სხ. საქმე, რომელთაც მათ დეზორგანიზატორულ მუშაობაში მხარი დაუჭირა ზინოვიევმა, ყველაზე ნათლად ააშკარავებს, რომ ოპოზიცია სწორ ლენინურ გზიდან გადაეშვა ტროცკიზმის ჭაობში და მიდის მისი იდეური ხელმძღვანელობის ქვეშ.

ვიწონებთ რა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანიზაციულ ღონისძიებებს ამ ამხანაგების მიმართ, ჩვენ მოვითხოვთ გაბედულ უკუქცევას ოპოზიციის მოქმედებისას, რაიც გამოიხატა ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლაში, ოპოზიციის თუნდაც ცალკე წევრების რასკოლნიკურ, ფრაქციულ მუშაობაში.

ტროცკიზმის წინააღმდეგ, ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის წინააღმდეგ, ლენინური ხაზის სიწმინდისათვის, ბოლშევიკური პარტიის მთლიანობისათვის უფრო მჭიდროთ დავირაზმოთ საკავშირო კომუნისტურ პარტიის ლენინურ კომიტეტის გარშემო.

ორგანიზაცია ჩამოყალიბდა და განმტკიცდა

(ზედა-სიმონეთი, ქუთ. მ.)

დიდი ხანი არ არის, რაც სიმონეთში პარტსაკანდიდატო უჯრედი არსებობს. უჯრედი ამჟამად აერთიანებს 5 პარტიის წევრს და 8 კანდიდატს (მათ შორის ერთი ქალია). უჯრედის შემადგენლობა წმინდა გლეხურია. უჯრედის მუშაობა ამ ზაფხულის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეების და მოწაფეთა ჩამოსვლით საგრძნობლად გაიზარდა. კრებები ეწყობა კვირაში ერთხელ. უმთავრესად ღია კრებები, რომელზედაც ესწრებიან კომკავშირის წევრები, უპარტიო გლეხები და გლეხი-ქალები. ჩატარებულია სხვადასხვა კამპანიები, სწარმოებს კომპარტ. წესდების და პროგრამის შესწავლა. ახლად მიღებულ წევრებთან. ეწყობა საუბრები სხვადასხვა საკითხებზე ჩვენი პარტიის ცხოვრებიდან, გაშუქებულია მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციები და სხვა.

უჯრედი ხელმძღვანელობას უწევს კომკავშირის ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 50-დე წევრს და კანდიდატს. დაარსებულია კომკავშირელებისათვის პოლიტსკოლა, რომელშიდაც მიმაგრებულია ხელმძღვანელად პარტიის წევრი. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორი საათი. კომკავშირთა რიგებში უმრავლესობა მოწაფეობაა, რისთვისაც საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მუშაობა უპარტიო ახალგაზრდობაში და მიღებულ იქნეს კომკავშირში ღარიბი გლეხები. კომკავშირი თავის მხრივ ხელმძღვანელობას უწევს პიონერთა და ოქტომბრელთა ორგანიზაციას, რომელთანაც ეწყობა საუბრები სხვადასხვა თემაზე.

პარტუჯრედი და კომკავშირი შეერთებული ძალებით უშვებენ კედლის გაზეთ—„ლენინის ნაპერწკალს“, რომელიც გამოდის თვეში ერთხელ. უჯრედის წევრები თითქმის ყველანი ჩაბმული არიან პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.

ქალთა შორის მუშაობა ჩვენ უჯრედში ძლიერ სუსტობს, მიუხედავათ იმისა, რომ რამოდენიმეჯერ ვთხოვეთ ქუთაისის ქალთა განყოფილებას, რომ გამოეგზავნა ინსტრუქტორი ქალი და დაეარსებია სადელეგატო ქალთა უჯრედები. ჩვენს თხოვნაზე ყურსაც არ იბერტყავს. ჩვენს თემში ქალთა შორის მომუშავე ჯერ არასოდეს არავინ არ ჩამოსულა. ამ ბოლო დროს უჯრედმა თავისი ინიციატივით მოაწყო უპარტიო ქალთა კრებები, სადაც ჩატარებულ იქნა მოსამზადებელი საუბრები. საჭიროა ქუთაისის საოლქო ქალთა განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას.

ამ ბოლო ხანებში გლეხობის პარტიაში ლტოლვა საგრძნობლად გაიზარდა.

ზაკუნტოველი.

მუშაობა წინ მიიწევს

(მამათის თემი, გურია)

ჩვენს თემში არის 4 ა. ლ. კ. კ. უჯრედი, რომელნიც აერთიანებენ 100-მდე კომკავშირელს.

უნდა ითქვას, რომ პარტიის მიერ ხელმძღვანელობა ძლიერია კომკავშირზე. პარტიზაციის კითხვა სრულიად მოგვარებულია. უკანასკნელ ხანებში პარტიაში გადაირიცხა 13-მდე წევრი. უჯრედებში იმართება უპარტიოებთან ერთად ღია კრებები. მაგრამ აღსანიშნავია ერთი რამ: ქალიშვილთა ნაკლები რიცხვი, ვინც არის ისიც მხოლოდ მოწაფეთა წრიდან. სულ არის 9 წევრი. მაგრამ ამ მხრივ სათემო კომიტეტს აქვს ზომები მიღებული და სწავლის შეწყვეტის შემდეგ მოწაფე ქალებს დაუხვდება უჯრედებში გლეხ ქალთა მრავალი კადრი.

სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ კომკავშირს კარგი ხელმძღვანელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს თემკომზედ სამკომის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ამ 1 თვის შემდეგ, კარგია სხვა თემებიც მიბაძავდენ ჩვენს მუშაობას.

* * *

ამხ. მიშა გახოკიას ხსოვნას

ძნელი დასაჯერებელია, რომ არ არის ის ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა სულ ტანჯვა წამებაში და ბრძოლაში. მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მიშა ეს ის ფიგურა იყო, რომელიც იწვოდა პროლეტარულ რევოლიუციის საქმისათვის. მიშა, ეს ის პიროვნება იყო, რომელსაც ახასიათებდა სულიერი სიმტკიცე და სამართლიანი პირდაპირობა. ის ყოველთვის იყო წინააღმდეგი პირფერობისა და ორპირობის. და თუ კი ვინმე ამას მიშას წინაშე გაბედავდა, ის მზათ იყო მისთვის გაეცა საკადრისი პასუხი. ბოროტების წინააღმდეგ მრისხანე მიშა სიყვარულით ექცეოდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც მართლა ადამიანები იყვნენ.

მახსოვს 1923 წელს, როდესაც მე ქუთაისის პარტსკოლაში ვსწავლობდი ის ხშირად შემოდიოდა ჩვენთან და გვეტყოდა „ისწავლეთ ახალგაზრდებო და გაამართლეთ ის იმედები, რომლებსაც თქვენზე ვამყარებთო“. პირადათ ჩემთვის კი ხშირად უთქვამს: „ეცადე, რომ შეისწავლო პროლეტარული რევოლიუციის საფუძვლები და ეს სწავლა გამოიყენე მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ“.

დიახ ასეთი დამრიგებელი სიტყვები მრავალჯერ უთქვამს მას ჩემთვის და ამ სიტყვებიდან და მისი მოქმედებიდან ნათლად გამოსჭვივოდა ამხ. მიშას თავდადება ხალხისათვის.

დღეს ის ჩვენს შორის აღარაა. ულმობელმა ნერვიულმა ავათმყოფობამ ის ჩვენ ხელიდან გამოგვაცალა. ისევ მიშას დახმარებითვე თვითმკვლელობის საშუალებით, მაგრამ აქ არ იყო კიდევ ისეთი თვითმკვლელობა, რომელზედაც შეიძლებოდეს მიშასაგან პასუხის მოთხოვა.

განისვენე მუშათა კლასისათვის თავდადებულო მებრძოლო. მშრომელი ხალხი შენს ნაშრომს არ დაივიწყებს. მე კი პირადათ ძვირფასო მასწავლებელო, არასოდეს არ დავივიწყებ შენს დარიგებებს.

რაფ. ძიგუა.

ამხ. მიშა გახოკიას დაკრძალვა

გუშინ ვერის ახალ სასაფლაოზე დაასაფლავეს ტრაგიკულად გარდაცვალებული ამხ. მიშა გახოკია.

საღამოს 5 ნახ. საათზე რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოსთან თავი მოიყარეს, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკებმა, მთავრობის წევრებმა, იუსტიციის კომისარიატის მუშაკებმა, მუშათა ორგანიზაციებმა და სხვ.

სრულ ექვსის ნახევარზე, ყვავილებით შემკული კუბო გამოაქვთ პარტიის ძველ წევრებს სამგლოვიარო ჰიმნის ქვეშ.

საავადმყოფოს ეზოში ასვენებენ ცხედარს და იღებენ სურათებს, განსვენებულის მშობლებ-ნათესავებთან და მის თანამებრძოლ პარტიულ ამხანაგებთან ერთად.

ამის შემდეგ მრავალრიცხოვანი პროცესია იძვრის პლეხანოვის პროსპექტით და მიემართება სასაფლაოსკენ ჟორესის ქუჩით, ელბაქიძის აღმართით, ლენინის, წყნეთის და პეტრიაშვილის ქუჩებით. პროცესია თანდათან იზრდება.

პარტიული ამხანაგები გარინდებით მიჰყავთ კუბოს და ერთი-მეორის მონაცვლებით მიასვენებენ ცხედარს.

საღამოს 6 ნახ. საათზე პროცესიამ მიაღწია სასაფლაოს.

ქვითინი მისწყდა, სრული სიჩუმე ჩამოვარდა. პირველ სიტყვას განსვენებულის საფლავთან ამბობს ამხ. ფ. მახარაძე.

— მოულოდნელი ჩვენს ცხოვრებაში არაფერია, მაგრამ ამ მომენტში განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე,—ამხ. მიშამ თავი მოიკლა.

— მე მესმის შენი მდგომარეობა ამხანაგო მიშა, შენ სწორედ იმ ხანაში ჩამოსცილდი მოღვაწეობას ავადმყოფობის გამო, როდესაც ჩვენი ზრდა და აღმშენებლობითი მუშაობა ასეთის ჩქარის ნაბიჯით მიიმართება წინ. შენ ვერ გაუძელ შენს ასეთ მდგომარეობას, იგრძენი თავი ზედმეტ ბარგად პარტიისა და ხელისუფლებისათვის, რაც არსებითად უმართებულო იყო და სიცოცხლე მოისპე. შენ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეგეძლო და საჭირო იყავი, ამისათვის არ გქონდა ასეთ ნაბიჯის გადადგმის ნება.

კომუნისტისათვის ასეთი საქციელი დიდი დანაშაულია.

— მიშა დიდი ყალიბის მებრძოლი იყო და ამისათვის მისი ხსოვნა საუკუნოდ დარჩება მის ამხანაგების შორის,—ათავებს სიტყვას ამხ. ფილიპე.

ამხ. ფილიპე მახარაძის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს წარმომადგენლებმა: აჭარისტანიდან, ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხანაგებმაც, რომლებიც უშუალოდ იცნობდენ ამხ. გახოკიას და მის რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

ქ.

სამგლოვიარო დეპეშები

სამტრედიის პარტორგანიზაციისაგან

„სამტრედიის რაიპარტ. ორგანიზაცია ულრმესი მწუხარებით აღნიშნავს ძვირფასს ძველ რევოლიუციონერის ამხ. მიშა გახოკიას ტრაგიკულად გარდაცვალებას.

შუბლაძე.

დასავლეთ - საქართველოს სასამართლოს და პროკურატურის თანამშრომლებისაგან

„დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს და პროკურატურის თავზარდაცემული ყველა თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. მიშას დაკარგვის გამო. ამხ. მიშას სახით დავკარგეთ პირველი ხელმძღვანელი სასამართლოსი დასავლეთ-საქართველოში. ამხ. მიშამ შესძლო მოეხვეჭა ჩვენი პატივისცემა და სიყვარული თავისი მუყაითი და გულმხურვალე მოპყრობით რევოლიუციონური საქმისადმი, პირდაპირობით, სისპეტაკით და მეგობრული განწყობილებით. თავგანწირულმა, შრომის სურვილმა გასტეხა მისი ჯანმრთელობა და დღეს სინანულითა და მწუხარებით დავსტირით მის გაციებულ გვამს.

ვ. თათეიშვილი“.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ეს მომჭირნეობის დამახინჯებაა

რკინის-გზის პროფკავშირების ყოველი ტეხნიკური მუშაკი კითხვაზე თუ რაში გამოიხატა პროფკავშირების საქმიანობაში ეკონომიის რეჟიმი, უდავოდ ასეთ პასუხს გასცემს—„**მომჭირნეობის რეჟიმი გამოიხატება ჩემი ხელფასის დაკლებაშიო**“. სამწუხაროდ, ეს მართალია.

სრულიად საკავშირო რკინის-გზელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა შემოღებულ იქნეს კავშირის ტეხნიკურ მუშაკებისათვის განსაკუთრებული სატარიფო განაკვეთი, რომლითაც პირველ თანრიგის ტეხნიკურ მუშაკს უნდა მიეცეს ხელფასად 16 მანეთი. ეს 16 მანეთი გამოცხადებული იყო როგორც ხელფასის მინიმუმი და უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში 1925 წლის 1-ლ ოქტომბრიდან. რამდენადაც ჩვენ ვიცით, საბჭოთა კავშირის ყველა გზებზე გატარებულია კიდეც ასეთი სატარიფო განაკვეთი. ა.-კ. რკინის-გზებზე კი ამან დაგვიანებით მოაღწია. იგი გატარდა ცხოვრებაში მხოლოდ ხანგრძლივი „რევიზიის“ შემდეგ. მაგრამ არ იკითხავთ, თუ როგორ გატარდა?

პირველი თანრიგის მინიმუმი ა.-კ. რკ.-გზ. პროფკავშირმა 14 მანეთი დააწესა (ე. ი. 2 მანეთით ნაკლები) სხვა გზებთან შედარებით. გარდა ამისა, იგი მან გაატარა 1926 წლის 1-ლ აპრილიდან (ე. ი. 6 თვით გვიან). იმ ხარჯთაღრიცხვით კი, რომელიც დამტკიცებულია ა.-კ. რკინის-გზის პროფკავშირისათვის საკავშირო რკინის-გზელთა ცენტრალურ კომიტეტის მიერ, ნავარაუდევია ტეხნიკურ თანამშრომლებისათვის ხელფასი ცენტ. კომ. სატარიფო განაკვეთით.

რაშია საქმე?

ცხადია, რომ აქ მომჭირნეობის რეჟიმმა სხვაგვარი გავლენა მოახდინა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმზე. ან პრეზიდიუმმა ვერ გაიგო, რომ ეს ლოზუნგი არ გულისხმობს მომჭირნეობას ტეხნიკურ მუშაკის ხარჯზე.

გარდა ამისა, ა.-კ. რკინის-გზის პროფკავშირებში უნუგეშო მდგომარეობაშია სატარიფო განაკვეთები, რაც საგრძნობლად აქვეითებს რკ.-გზ. პროფკავშირის ტეხნიკურ მუშაკის ხელფასს რესპუბლიკანურ პროფკავშირების ტეხნიკურ მუშაკთა ხელფასისაგან.

დროა ამას ყურადღება მიაქციოს ა.-კ. საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა და გაატაროს ცხოვრებაში ის სატარიფო განაკვეთი, რომელიც დამტკიცებულია რკინის-გზელთა ცენტრალური კომიტეტის მიერ.

ყველასათვის გასაგებია, რომ მომჭირნეობა არ შეიძლება მოხდეს მარტო ტეხნიკურ მუშაკის ჯიბის ხარჯზე.

ქორი.

გიჟი აფრიდონიძე

(ბათომი)

ძალიან უყვარდა გიორგი აფრიდონიძეს, ბათომის საბარგო სადგურის მოლარეს, სამნოლიანი ციფრები. ისე უყვარდა, რომ ძილშიაც და ცხადათ რგვალ-რგვალი ნოლები ელანდებოდა, რომლებსაც წინ 3, 5, ან 7 ედგომებოდა.

იმდენი ეტრფიალა ამ ნოლებს აფრიდონიძე, რომ ერთი შვიდიანი სამი ნოლით შემოეჭამა. რაღას იზამდენ, ადგენ და მოლარე მოათავსეს გამასწორებელ სახლში. გამომძიებელმა ოქმიც შეუდგინა 7.000 მანეთის გაფლანგვის შესახებ.

იჯდა აფრიდონიძე საკანში. ნაღვლიანი თვალებით მისჩერებოდა კედლებს. არსად მოსჩანდა ნოლები, არსად იყო ქაღალდის ასიგნაციები. გაგიჟდები კაცი ასეთ მდგომარეობაში, აბა რა იქნება. ნათქვამია, მიჩვეულსა ნუ მოაკლებ, მოუჩვეველს ნუ მიაჩვევო. აფრიდონიძე კი არავინ შეიბრალა. აიყვანეს სალაროს საკანიდან და გადასვეს გამასწორებელ სახლის სალაროში. თან ყველაფერი ჩამოართვეს. დასტოვეს ოთხი კედლებისა და თავის-თავის ამარა.

იფიქრა, იფიქრა აფრიდონიძემ. აღარც ფული, აღარც თავისუფლება, არც ძმა-მეგობარი, არც მტერ-მოყვარე, ყველაფერს მოწყვეტილი და გამოთაყვანებული, რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე. ადგა და გადაირია, თავი გიჟად გამოაცხადა. ბევრი უტრიალა გამსახლის ადმინისტრაციამ, მაგრამ ვერაფერი გაუგო: გიჟია, როგორც გიჟი. რაც გინდა, ის უყავი, მას ჭკუა აღარ მოეთხოვებაო. თუმცა ჭკუა არც მაშინ მოეთხოვებოდა აფრიდონიძეს, როცა სამნოლიანი გაფლანგა.

ადგენ და გაუღეს საკნის კარები: „გადი, გაიარე სუფთა ჰაერზე, ვინძლო გამოსწორდეო და გაჯანსაღდეო“. გიჟი გამოვიდა: არც არავის ხელი ახლო, არც არავინ შეურაცხყო და პირდაპირი გზით მივიდა ბათომის ერთ-ერთ დაწესებულებაში, სადაც გამომძიებლის თანამდებობა მიიღო.

გიჟი იძევს, გიჟი მსახურობს, გიჟი აფრიდონიძე უმწიკვლო საბჭოთა მოქალაქეა. ხოლო ჭკუათმყოფლობის დროს, 7.000 მანეთის გამფლანგველი აფრიდონიძე პასუხისგებაში მისცეს, დააპატიმრეს. საკვირველი საქმეა ეს სიგიჟე, პასუხისმგებლობისაგანაც განთავისუფლებს, სამუშაოსაც ხელად მოგართმევს. რა სულელია მფლანგველები, რომ არ სულელდებიან. გიორგი აფრიდონიძესაგან მაინც აიღონ მაგალითი.

ბონიერი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ისევ რეკლამების შესახებ

მომჭირნეობის რეჟიმის შემოღებისთანავე, სხვათა შორის, პირველი იერიში მიტანილ იქნა რეკლამის წინააღმდეგ. ეს ბევრგან ისე გაიგეს, თითქოს რეკლამა სრულიად დაუშვებელი და გაუმართლებელი ხარჯია, ამიტომ ბევრმა წარმოებებმა და სავაჭრო ფირმებმა ხელაღებით შესწყვიტეს რეკლამები თავიანთ ნაწარმოებაზე. ეს, რა თქმა უნდა, მავნე გადახრაა, რაც ზიანია სახალხო მეურნეობისათვის.

ამის შესახებ გაზ. „იზვესტია“ შემდეგს სწერს:

„რეკლამის საკითხი მომჭირნეობის რეჟიმის პირობებში სრულიად ნათლად და გარკვევითაა გადაწყვეტილი განსვენებულ ამხ. ფ. ე. ძერჟინსკის ბრძანებით. რეკლამას უნდა ჰქონდეს მიზანშეწონილობის ხასიათი,— ასეთია ამ ბრძანების ძირითადი აზრი. უნდა ვაღიაროთ, რომ ბრძანების პრაქტიკულად განხორციელების შედეგებმა მალე საგრძნობლად იჩინა თავი. მიუხედავათ ამისა, ჩვენ აქ დარგში ვამჩნევთ მახინჯ გადახრებს, რომლებიც ამხ. ფ. ე. ძერჟინსკის ბრძანების არასაკმაოდ შეთვისებით აიხსნება“.

პროვინციაში, მაგალითად, ზოგიერთი პოპულიარული ადგილობრივი გაზეთები სრულიად დაცალიერებული არიან რეკლამისაგან. ადგილობრივი სამეურნეო მუშაკები ფორმალურად ასრულებენ ბრძანებას და უარს ამბობენ რეკლამაზე მაშინაც კი, როცა ის საჭიროა და მიზანშეწონილი. რეკლამის ლიკვიდაციით მათ თავი წარმოუდგენიათ მომჭირნე მუშაკებათ, რომელნიც მტკიცეთ იცავენ ეკონომიის რეჟიმს. მომჭირნეობა რეკლამაზე ძალიან ხელსაყრელია სამეურნეო ორგანოსათვის: ეფექტი მაშინვე მოსჩანს, რეკლამა გაზეთში აღარაა“.

აღსანიშნავია, რომ წერილში მოყვანილ გადახრებს საქართველოს სინამდვილეშიაც აქვს ადგილი. ამიტომ გაზ. „იზვესტია“-ში აღნიშნულ მოსაზრებებს უთუოდ ჩვენი სამეურნეო ორგანოებისათვისაც აქვს თავისი მნიშვნელობა.

* * *

შეშის დამზადება

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს საქართველოს სხვადასხვა სატყეო რაიონებში დამზადებული აქვს მაგარი და რბილი ჯიშის ხეების შეშა—სულ 13 ათასი კუბიკური საჟენი, რომელიც დააკმაყოფილებს არა მარტო თბილისს, არამედ საქართველოს ყველა ქალაქის საჭიროებას. შეშის სამარაგო ფონდის შესავსებად შეშის დამზადება გაგრძელდება სექტემბერ-ოქტომბერში.

დამზადებული შეშის დიდი ნაწილი აწყვია სატყეო აგარაკებში. მხოლოდ მცირე ნაწილია ჩამოტანილი ვიწრო ლიანდაგით რკინისგზის ხაზებთან. შეშის გადმოზიდვას რკინისგზის სადგურებზე ესაჭიროება დიდი თანხა, რომელიც ხელშეკრულების ძალით სატყეო ტრესტმა უნდა მიიღოს შეშის შემკვეთელ ორგანიზაციებისაგან. შეშის თავის დროზე მოზიდვა ქალაქებში დამოკიდებულია თანხების თავის დროზე მიწოდებაზე.

ჯერ ჯერობით ხელშეკრულება შეშის მიწოდების შესახებ სატყეო ტრესტთან დადებული აქვთ თბილისის ქალაქის აღმასკომს, რომელსაც თავის დაწესებულებების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეკვეთილი აქვს 1.000 კუბიკური საჟენი შეშა; 700 კუბიკ. საჟ. შეშა შეკვეთილი აქვს აგრეთვე [illegible] უწყებას, ინვალიდების კოოპერაციას [illegible] წევრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეკვეთილი აქვს 500 კუბ. საჟენი.

ხელშეკრულებას სატყეო ტრესტთან აგრეთვე სდებენ სხვა სამეურნეო ორგანიზაციები.

ზამთრის სეზონისათვის თბილისს ესაჭიროება სულ 4.000—4.500 კუბ. საჟ. შეშა.

შეშის ფასები გასულ წელთან შედარებით დაწეულია. მაგარი ჯიშის ხის შეშა კუბიკ. საჟ. წელს ღირება 75 მან., ნაცვლად შარშანდელი 80 მან.

მცხეთის ხე-ტყის ქარხანა

ზაჰესის ამუშავების შემდეგ, როცა მტკვარის წყალი გაშვებული იქნება მთავარ არხში, შეუძლებელი გახდება ტივების ჩამოცურება თბილისამდე და თბილისის ხე-ტყის ქარხნებს მოაკლდებათ დასამუშავებელი მასალა.

ამიტომ სატყეო მრეწველობის ტრესტი ამჟამად მცხეთაში აგებს დიდს ხე-ტყის ქარხანას, რომელიც შესცვლის არა მარტო თბილისის, არამედ ბორჯომ-ახალციხის ქარხნებსაც.

წყლის დიდი აუზი, რომელიც წარმოიშვება მტკვრის შეგუბების შემდეგ, ბუნებრივად შექმნის ტივების დიდ სადგურს, რომლის სიგანე 70 საჟენი იქნება, ხოლო სიგრძე რამოდენიმე ვერსი.

გამომუშავებული გეგმის მიხედვით ქარხანა შენდება იმ ანგარიშით, რომ დღიურად დაამუშაოს 2.200 კვადრ. ვერშოკი ხე, თვიურად—52.000 კვადრ. ვერშ., ქარხანა დასამუშავებელ ხე-ტყეს მიიღებს ბორჯომ-ახალციხის სატყეო აგარაკებიდან და აგრეთვე გორის და თელავის მაზრებიდან.

ხარჯთ-აღრიცხვით ქარხნის მთავარი შენობის აგება ჯდება—49.156 მანეთი, მექანიკური მოწყობა და იარაღები—68.000 მანეთი. დანარჩენ ხარჯებთან ერთად ქარხნის აგება სულ ჯდება—130.000 მანეთი. ქარხანასთან აშენებული იქნება აგრეთვე მუშათა დასაბინავებელი სახლები. პირველ ხანებში ქარხანაში იმუშავებს 68 მუშა-ხელი.

წინასწარი გამოანგარიშებით ახალი ქარხნის მიერ დამუშავებული თვითეული კვადრ. ვერშოკის მაქსიმალური თვითღირებულება იქნება 12 კაპ., ამჟამად კი 15 კაპეიკზე ნაკლები არ არის.

* * *

„სოფლის კავშირი“

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დამტკიცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის— „სოფლის კავშირის“ საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც დაევალა წინასწარი მუშაობის ჩატარება კავშირის ჩამოსაყალიბებლად.

უპირველეს ყოვლისა, საორგანიზაციო ბიუროს ევალება შეადგინოს კავშირის წესდება, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს კავშირში გაერთიანებულ კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობას. „სოფლის კავშირში“ უნდა იქნეს გაერთიანებული შემდეგი ორგანიზაციები: შერეული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი და არტელები, რომლებიც ამუშავებენ და ასაღებენ სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს, სპეციალური ხასიათის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები და არტელები, მიწათმოქმედების კომუნები და არტელები, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები და ყოველგვარი კოოპერატიული გაერთიანებები, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში. ამისათვის საორგანიზაციო ბიუროს განზრახული აქვს შეისწავლოს აღნიშნულ ორგანიზაციათა თანამედროვე მდგომარეობა.

საორგანიზაციო ბიურომ უნდა მიიღოს ზომები ახალი კოოპერატიულ ორგანიზაციების მოსაწყობად იმ რაიონებში, სადაც შესაფერი ხელისშემწყობი პირობები არსებობენ. მანვე უნდა აწარმოოს სოფლის მეურნეობათა პროდუქტების გადამუშავება, დამზადება და გასაღება; საორგანიზაციო ბიურომ უნდა მიმართოს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღები და მოიხმაროს ამ მიზნით გადადებული კრედიტები.

კავშირის გამგეობის არჩევამდე მან უნდა შეუწყოს ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას; მიწათმოქმედების კომისარიატთან შეთანხმებით მოაწყოს საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებანი და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოსაკვლევად უნდა დაარსოს გამოსაცდელი სადგურები და ლაბორატორიები. ზემოაღნიშნული მუშაობის საწარმოებლად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით „სოფლისკავშირის“ საორგანიზაციო ბიუროს განკარგულებაში უნდა გადავიდეს ის თანხა და კრედიტი, რაც უნდა მისცემოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს.

ზემოაღნიშნული მუშაობის წარმოება საორგანიზაციო ბიუროს ეკისრება მანამ, სანამ არჩეული იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციათა კავშირის — „სოფლის კავშირი“ს გამგეობა.

* * *

საბინაო აღმშენებლობა

(საქართველოს მ.-გ. ინსპექციის მასალების მიხედვით)

საბინაო კოოპერატიულ აღმშენებლობას საბჭოთა საქართველოში პირველ ხანებში აწარმოებდა მხოლოთ „ცენტროსტროი“, რომელმაც 1923—25 წლების განმავლობაში ააშენა 46 სახლი, 50 ბინით. გარდა ამისა დაიწყო და არ დამთავრებულა 1925 წ. დამლევამდე 8 სახლის შენება.

1926 წლის დასაწყისში, როდესაც საბინაო-საამშენებლო კოოპერაცია საბოლოოთ ჩამოყალიბდა და ორგანიზაციულათ გაძლიერდა, მოწვეული იქნა საბინაო-საამშენებლო კოოპერატივთა რესპუბლიკანური ყრილობა და დაარსდა „საბინაო კავშირი“. ამჟამათ „საბინაო კავშირი“ ამთავრებს „ცენტროსტროის“ მიერ დაწყებულ სამუშაოებს საბინაო აღმშენებლობის დარგში.

ლენინის უბანში შენდება ოთხსართულიანი სახლი რკინისგზელებისა და მუშა-მელითონეთათვის. სწარმოებს წინასწარი მუშაობა ტრამვაის მუშაკებისათვის დიდი (528 ოთახიანი) სახლის ასაშენებლად. გარდა ამისა განზრახულია 1926 წლის განმავლობაში საძირკველი ჩაეყაროს ახალ 200 სახლს, რომლებიც შეიცავენ 400-ზე მეტ ოთახს.

საამშენებლო ფონდი საქართველოში ჯერ-ჯერობით მცირეა. მიმდინარე წლის 1 მარტისათვის ამ ფონდში შემოვიდა სულ 498.899 მანეთი. საკავშირო ფონდიდან საბინაო აღმშენებლობის საჭიროებისათვის ჯერ არაფერი შემოსულა.

საბინაო აღმშენებლობას აფერხებს საამშენებლო მასალების სიძვირე. ტყეების ქვეყანაში —საქართველოში—ხე-ტყის საშუალო ღირებულება (75 კ.—1 მ. 58 კ. კუბიკური ფუტი) მეტად დიდია. ძვირია აგურიც (32 მან. 1.000 ცალი). საუკეთესო საშუალება საამშენებლო მასალების ბაზრის მოსაწესრიგებლად მიჩნეულია საამშენებლო ტრესტის დაარსება, რაც ბოლოს მოუღებს თანხების დაქსაქსვას.

ბინის ქირის სიმცირე, რაც ხელს უშლის საბინაო აღმშენებლობის გაძლიერებას, რადგანაც ამ სიმცირით აიხსნება ის, რომ კერძო კაპიტალი არავითარ მონაწილეობას ბინების აღმშენებლობაში არ იღებს.

საბინაო აღმშენებლობისათვის საჭიროთ არის ცნობილი ერთის მხრივ ბინის ქირის გადიდება (სათანადო ნაბიჯი უკვე გადადგმულია) და მეორეს მხრივ საამშენებლო მასალების გაიაფება. არა ნორმალურია ის ფაქტი, რომ ორ ოთახიანი ბინა დღეს ჯდება 5.000 მანეთამდე და ეს მაშინ, როდესაც იმავე თანხით თავისუფლათ შეიძლება რამოდენიმე ბინიანი, მზა სახლის ყიდვა.

ქრონიკა

ბამბის საწმენდი ქარხნის ასაგებათ

სასოფ.-სამ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ გასცა სესხის სახით 3.500 მან. დიდ-ჯიხაიშის სასოფ.-სამ. ამხანაგობაზე, იქ ბამბის საწმენდ ქარხნის ასაგებათ.

ცელები

ზემო-სვანეთის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო 1000 ცალი ცელი, თავის სამოქმედო რაიონის გლეხების საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

თბილისის აღმასკომში

— **ტრამვაის ხაზი კოჯრისაკენ.** ახლო მომავალში შეუდგებიან თბილისიდან კოჯრამდე ტრამვაის ხაზის გაყვანას.

— **მომჭირნეობის რეჟიმის გატარების წყალობით** აღმასკომში მიმდინარე წელში დაზოგვილი იქნება 30 ათასი მანეთი.

— **ფიზკულტურის თბილისის საბჭოს** შესანახად თბილისის აღმასკომმა გადასცა—26.285 მანეთი.

სოციალური დაზღვევა

— **მოჯამაგირეთა დაზღვევა.** საკავშირო სოც. დაზღვევის სამმართველო იმუშავებს პროექტს მოჯამაგირეთა დაზღვევის გასაადვილებლად.

— **სახლის შეძენა.** დასასვენებელ სახლების გამგეობა წაღვერში იძენს ახალ სახლს.

— **სექტემბრის პირველ ნახევრისათვის** ბორჯომის დასასვენებელ სახლში გაიგზავნება 88 კაცი, წაღვერში—395, მცხეთაში—163, სურამში—60 და გაგრაში—44.

— **აგარაკ წყალტუბოში** უკვე გაიგზავნა დაზღვეულ ავადმყოფთა მეშვიდე წყება. სულ კი წელს იქ დაჰყო 560 კაცმა.

— **წყალსადენი.** სოც. დაზღვევის სამმართველოს გაყავს წყალსადენი მცხეთაში და წაღვერში.

— **დამზღვევი პუნქტი.** სოც. დაზღვევის სამმართველომ წებელდაში გახსნა დამზღვევი პუნქტი.

სხვადასხვა

— **საამშენებლო კანტორა—„გრუზსტროის“** მაგიერ თბილისში დაარსდა „შრომის კანტორა“.

— **მივლინება.** მიწსახკომმა მიავლინა მიწის მომწყობის რევიზორი რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში მართველომ წებელდაში გახსნა დამზღვევი ვიზიოთ.

შემთხვევები

— **მკვლელობა** სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მოქ. ნამაზა მაზიდი ოღლი, რომელმაც მოჰკლა მოქ. უზეინა ბეგი მონაზდოროვი.

— **ქურდობა.** 31 აგვისტოს გაქურდეს მოქ. ასლანოვის ბინა (კომუნალური ქუჩა № 91), საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ტანთსაცმელი 90 მან. ღირებულების.

— **მორგებული გასაღების საშუალებით** გაქურდეს მოქ. მარჯანიშვილის ბინა (ძამაშვილის ქ. № 6), წაღებულია 51 მანეთის ღირებ. საოჯახო ნივთები.

— **შეიპყრეს.** 31 აგვისტოს მოქ. ხაჩატურ ანდრიასოვი, რომელიც ცდილობდა ამოეცალა ფული მოქ. საპოვისათვის.

— **იმავე დღეს** შეიპყრეს მოქ. აგომონოვი, რომელმაც გლეხ ზიბო ფილოშვილს ამოაცალა ჯიბიდან საფულე.

— **გაქურდეს.** საბჭოს ქუჩის მე-3 ჩიხში მდებარე მოქ. სოლომოშვილის ბინა, საიდანაც წაღებულია საოჯახო ნივთები 31 მან. ღირებ.

— **შეიპყრეს** 31 აგვისტოს, ანისია ათანასიევის ასული, რომელსაც ბრალდება შანტაჟისტობა.

— **იმავე დღეს** დააპატიმრეს მოქ. ასკარ სიიდ ოღლი, რომელმაც გლეხ ივ. ყარაულიშვილს მოპარა კამეჩები.

* * *

ხელოვნება

საზაფხულო სიმფონიური კონცერტების შედეგები

1-ლ სექტემბერს დამთავრდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ მოწყობილი სიმფონიური კონცერტები. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონცერტების მოწყობას, რომელიც მიზნად ისახავს ფართო მასების კულტურულ-მუსიკალურ დონეს ამაღლებას და გონივრულ და სასარგებლო გასართობის მოწყობას მუშებისათვის, რომლებსაც საშუალება არა აქვთ საავგუსტოთ გაემგზავრონ თბილისიდან ზაფხულის გასატარებლად. საუცხოვო ორკესტრი, რომელშიაც შედიოდნენ საუკეთესო მუსიკალური ძალები, მეტად შრომის მოყვარე და გამოცდილი დირიჟორი, — ყველაფერი ეს, რასაკვირველია ხელს უწყობდა იმას, რომ სიმფონიურ კონცერტებს უდიდესი ინტერესი გამოეწვია მშრომელთა ფართო წრეებში.

მაგრამ ეს დადებითი შედეგები უფრო ნათლად და ცხადად გამოაშკარავდებოდა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ის დეფექტები, რომლებიც განსაკუთრებით ემჩნეოდა მიმდინარე საკონცერტო სეზონს. ეს დეფექტები თვალში ეცემოდა ყოველ მოყვარულს და სერიოზულ სიმფონიურ მუსიკის მცოდნეს. საერთოდ კი საკონცერტო სეზონი ჩატარდა საშუალოზე უფრო უკეთ, თუმცა ასეთი მშვენიერ ორკესტრს შეეძლო კონცერტის მხატვრული მხარის გაცილებით უკეთესად შესრულება. ნაწილობრივ ამას ხელს უშლიდა აკუსტიკის პირობებიც, რომელიც მეტად არახელსაყრელია საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბის შენობაში.

მეორე მნიშვნელოვანი დეფექტი იყო ის, რომ კონცერ. თან არ ახლდა პროგრამების განმარტებითი შესავალი. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ამ კონცერტების აუდიტორიის უმრავლესობა ძალიან ნაკლებად იცნობს მუსიკის ისტორიას და მითუმეტესად ხელოვნების ის დარგი სრულიად უცნობია. და ამიტომ განმარტებითი შესავალი ხელს შეუწყობდა სიმფონიურ მუსიკის შინაარსისა და სილამაზის გაგებას და შეგრძნებას.

მესამე დეფექტი იყო პროგრამების ერთფეროვნობა. საკონცერტო საღამოებზე ნაკლებად სრულდებოდა დიდი სიმფონიები (მაგ. ბეტხოვენის, მოცარტის, გლაზუნოვის, შუმანის და სხვა გამოჩენილ მუსიკოსების).

მაგრამ მიუხედავათ ამ დეფექტებისა არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ კონცერტების უდიდესი მნიშვნელობა. მადლობის ღირსია დირიჟორები სტოლერმანი და ფალიაშვილი და სოლისტები. ეს კონცერტები წარმოადგენენ ერთერთ საშუალებას მშრომელთა ფართო მასებში მუსიკალური კულტურის შესატანად.

პ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

— **კ. კაპანელის წიგნი.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვიდა გასასყიდათ კონს. კაპანელის ახალი წიგნი: „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“.

— **„გველის პერანგი“.** იბეჭდება და გამოდის ცალკე წიგნათ გრიგოლ რობაქიძის: „გველის პერანგი“.

— **აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების** მეორე ტომი უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ.

— **„ვინ არის დამნაშავე“** სახელგამი სცემს ცალკე წიგნათ ნინო ნაკაშიძის პიესას: „ვინ არის დამნაშავე“.

— **ლომოურის ნაწერები.** სახელგამი შეუდგა ნიკო ლომოურის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას.

— **ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ** სოფრომ მგალობლიშვილის ნაწერების კრებული. გამოცემა სახელგამის.

— **ლენინის სურათი.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ ამავე კლუბის ზალში დახატა ამხ. ლენინის დიდი სურათი, სურათი გაკეთებულია ბალახისაგან.

— **სცენის დამთავრება.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ უკვე დაამთავრა საზამთრო სცენა, მუშაობა სწარმოებს.

— **დაიწყო აკაკის ნაწერების მესამე ტომის** და ვაჟა ფშაველას მეორე ტომის ბეჭდვა.

— **„მეურმე ნესტორა“.** სახელგამი სცემს აკაკი პაპავას მოთხრობას „მეურმე ნესტორა“-ს.

* * *

მოძრავი კინო

ა. კ. რესპუბლიკების პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოების წარმომადგენელთა თათბირმა თბილისში, კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, განიხილა ამიერ-კავკასიისათვის ახალი მოძრავი კინოების შეძენის საკითხი. თათბირმა აღიარა, რომ არსებული მოძრავი კინო-აპარატები არ კმარა. მასთან ძველი სისტემისაა, ძნელად გადასატანი—მათი წონა მოწყობილობით უდრის 20 ფუთს და ხშირად არ იძლევა მკაფიო ასახვას ეკრანზე. აუცილებლად იქნა მიჩნეული უცხოეთიდან უახლოესი ტიპის 50 მოძრავი კინოს გამოწერა კინოაპარატების ყველა უკანასკნელი გაუმჯობესებებით.

თანახმად თათბირის დავალებისა საქართველოს პოლიტ-განათლების მთავარმა სამმართველომ მიმართა ა.კ. სავაჭრო კომისარიატის საშუალებით იტალიის კინო-ფაბრიკებში 50 გაუმჯობესებულ მოძრავი კინოს შეძენის შესახებ. მაგრამ იტალიის ფირმებმა ერთობ დიდი ფასი მოითხოვეს და ამიტომ განზრახულია შეკვეთა გადაეცეს გერმანულ კინო-ფირმებს. შეკვეთილ 50 მოძრავი კინოდან 23 დანიშნულია საქართველოსათვის.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა

ოზურგეთი, 1 სექტემბერი. სუფსის სათემო აღმასკომს ნება მიეცა ჩაატაროს თვითდაბეგვრა 2.000 მანეთის რაოდენობით. შეკრებილი ფული გადაიდება გლეხურ ახალგაზრდობის სკოლის ასაშენებლად.

გლეხური მეურნეობის გამოკვლევა

ოზურგეთი, 1 სექტემბერი. სამაზრო სტატისტიკურმა ბიურომ მოახდინა 2.400 გლეხის მეურნეობის გამოკვლევა. შეგროვებული მასალების დამუშავება დამთავრდება სექტემბრის შუა რიცხვებში.

სასკოლო ქსელი გურიაში

ოზურგეთი, 1 სექტემბერი. მიმდინარე სასწავლო წელს გურიაში ითვლება სულ სამივე საფეხურის 463 სკოლა, მათ რიცხვში: ოთხწლედი — 407, შვიდწლედი — 37, ცხრაწლედი —3, გლეხური ახალგაზრდობის — 3. პედაგოგიურ, სასოფლო - სამეურნეო, კოოპერატიულ და ადმინისტრატიულ განხრებით; სპეციალური ტეხნიკუმები — 3 (სასოფლო - სამეურნეო, სავაჭრო - სამრეწველო და პედაგოგიური).

დაბალი ტიპის სასოფლო - სამეურნეო სკოლა — 1, საბავშო სახლი — 2, პროფსკოლა—6.

მოწაფეთა რიცხვი ოთხწლედებში—8.171, შვიდწლედებში — 10.058, ცხრაწლედებში—2.524, სპეციალურ ტეხნიკუმებში — 199 და პროფსკოლებში — 160. სულ მოწაფეები — 21.082, მასწავლებლები—697.

ნათესების მდგომარეობა

ახალსენაკი, 1 სექტემბერი. სამაზრო სტატ ბიუროს ცნობების მიხედვით სიმინდის ნათესები განისაზღვრება 3 ბალით, თხილი — 4 ბალ., ვენახები—4, ბაღები—3, ბოსტნები — 3 ბალ.

ახალი შენობა საავადმყოფოსათვის

ახალსენაკი, 1 სექტემბერი. სოფ. დიდი ჭყონის საზოგადოებამ ააგო ახალი შენობა საავადმყოფოსათვის.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება

ახალსენაკი, 1 სექტემბერი. დამთავრებულია მუშაობა 1926—27 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოსაანგარიშებლად. გადასახადი მთელ მაზრაში უდრის 130.000 მან.

გადასახადის ნათესობის მიხედვით გამოანგარიშების წყალობით, გადასახადისაგან თავისუფლდებიან ღარიბი გლეხები, რომელთაც არა ყავთ საქონელი.

ამ დღეებში შეუდგებიან საგადასახადო ფურცლების შედგენას და მათ დარიგებას ხარკის გადამხდელებისათვის.

შემოდგომის მატყლი

თელავი, 1 სექტემბერი. მეცხვარეები შეუდგენ ცხვრის საშემოდგომო კრეჭას; ცხვრის ფარა ჯერ კიდევ იაილებზე იმყოფება.

კოოპერატივ „მწყემს“-ში უკვე შემოაქვთ მატყლი. პირველი დიდი რაოდენობა 1.000 ფუთის რაოდენობით მეცხვარეებმა შემოიტანეს ახლოს მდებარე შილდის საძოვრებიდან.

ვენახების აღსადგენად

თელავი, 1 სექტემბერი. აგრონომიულ დახმარების კომისიამ შეუდგა წარსულ სეზონში ვენახების აღსადგენ მუშაობის შედეგების გამორკვევას. ერთდროულად გამორკვეული იქნება, თუ რა რაოდენობით უნდა იქნას აღდგენილი ვენახები, მომავალ სეზონის განმავლობაში.

სასოფლო-სამეურნეო სკოლის გაფართოება

თელავი, 1 სექტემბერი. აღმასკომმა 25.000 მანეთი გადასდო ენისელში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლის გასაფართოებლად. სკოლასთან მოწყობილი იქნება პანსიონი მოწაფეთათვის.

10 პროცენტიანი სასოფლო-სამეურნეო აღწერა

ახალქალაქი, 1 სექტემბერი. დამთავრდა 10 პროცენტიანი სასოფლო - სამეურნეო აღწერა მაზრაში. მასალა იგზავნება საქართველოს ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოში.

მესაქონლეობის გამოკვლევა

ახალქალაქი, 1 სექტემბერი. ჩამოვიდა საქართველოს მიწათ-მოქმედების კომისარიატის სპეციალისტ-მუშაკების პარტია მესაქონლეობის გამოსარკვევად მაზრაში.

ნუ თუ მიმხედავი არავინაა?

(აგარაკი დ. ცემი).

წელს აგარაკ დიდ ცემში ჩამოსულია 2.000-ზე მეტი მოაგარაკე, უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები ან მათი ოჯახის წევრები. ამასთან ერთად ცემის ჰავა და ადგილმდებარეობა ისეთია, რომ ეს აგარაკი ყოველთვის მიიზიდავს შემდეგშიც მოაგარაკეთა საკმაო რაოდენობას.

თვით ცემის მოსახლეობა დაინტერესებული უნდა იყოს აგარაკის კეთილმოწყობით, მით უმეტეს, რომ ამ მოსახლეობის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს სწორედ ოთახების გაქირავებით შემოსული თანხები.

სამწუხაროდ, მოსახლეობის მხრივ ასეთ მზრუნველობას ჩვენ ვერ ვხედავთ და აგარაკი ცემი ძლიერ ანტი-სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაძვნარში გასასვლელი გზები ავსებულია ნაგვით და უსუფთაობით. ნუ თუ არ შეიძლებოდა განსაკუთრებული და დაცული მოედანის მიჩენა ამ მიზნისათვის? ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე პურის მოწოდების საქმე; ცემში არსებობს მხოლოდ კერძო ფურნე, რომელიც ნახევრად გამომცხვარ პურს უშვებს და ამას გარდა პურში ხშირად შეხვდებით ისეთ საგნებს, რომლის დასახელებაც გაგიძნელდებათ. არა სანუგეშოა აგრეთვე სასადილოები, რომლებიც ყველა კერძო პირთა ხელშია: არაა დაცული სისუფთავე და ზოგან დაუშვებელ პირობებში მზადდება სადილები. ყველა ამ საკითხების მოგვარებას უფრო გონივრულად შესძლებდა ადგილობრივი კოოპერაცია, მაგრამ ის რატომღაც გაურბის აგარაკ ცემს და კერძო ვაჭრები თავისუფლად თარეშობენ.

რატომ არ აქცევს ყურადღებას საკურორტო სამმართველო ან ვისაც ეს ეხება ამ სასადილოების, ფურნეების მდგომარეობას, ხორცით სავაჭროებს და სხვა?

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას: იჩეხება ნაძვის და ფიჭვის ახალგაზრდა ხეები. რისთვის? წარმოიდგინეთ—ზოგიერთი „ინტელიგენტისათვის“ ტროსტების გასაკეთებლად; ასეთი ტროსტი ღირს 25—40 კაპ. და ამისათვის სპობენ 10—15 წლიან ხეებს (აჭრიან წვერებს), რომლებიც ამის შემდეგ ან უკვე აღარ იზრდება და ხმება ან იზრდება უხეიროთ და ცუდათ. დაახლოებით, ცემში მოაგარაკე ტროსტების მოსიყვარულეებმა წელს ამ გზით გაახმეს 700-ზე მეტი ახალგაზრდა ხე.

სამწუხაროდ, ეს მარტო ცემში არ ხდება. ყველა კურორტებზე ამ გზით ათასობით ფუჭდება ხეები. თუ არ ვცდებით, არსებობს ამის შესახებ შესაფერი დადგენილებაც, მაგრამ რად გინდა—დადგენილებას ასრულება უნდა!

საკურორტო მნიშვნელობის ტყეებში ახალგაზრდა ხეების განადგურება—ეს იგივე სახალხო ქონების გაფლანგვაა და ამ საძაგელი ჩვეულების მოსასპობათ შესაფერი მკაცრი ზომებიც უნდა იქნეს მიღებული. ტყის მოვლის მხრივ თვითი ცემის მოსახლეობას მართებს მეტი ყურადღების მიქცევა და ამ მოსახლეობამ თვითონ უნდა მოაგვაროს ტყის დაცვის საქმე.

ეხლა კი აგარაკი ცემი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას მიმხედავი არავინ ჰყავს.

ნ. თ. ნ.

თვალნაცემის ექიმი

(ნაბადა, ფოთი)

სოფელიც არაა, კალმა რომ თქვას, ნაბადა. აბა, სად გაგონილა, რომ სოფელი დასახლებული ყოფილიყოს პროფესიულ კავშირის წევრებით. ნაბადში სწორეთ ასეთი ხალხი ცხოვრობს. სახელი კი ძველი შერჩა, „სოფელი ნაბადა“.

ასეთ სოფელში ცრუმორწმუნეობას გასავალი არ უნდა ჰქონდეს, ექიმბაშ-მზაკვარებს არავინ უნდა უჯერიდეს. მაგრამ ნაბადა არც ასე ადვილათ სთმობს მამა-პაპეულ ჩვეულებას. აქ ზოგიერთებს ერთ ჯიბეში პროფკავშირის წიგნაკი აქვთ და მეორეში ანეტა ექიმბაშის წამალი, ან შელოცვილი ნახშირი.

მოგეხსენებათ, ფოთის რაიონები ციებ-ცხელებიანია. ისე დღე არ გაივლის, რომ ათიოდე ბავშვს ან დიდს სიცხე არ მისცეს და თავი არ წამოსტკივდეს. ხელად ატყდება მეზობლის ქალები: „არიქა, შენი ჭირიმე, ნათვალეულია, უთუოდ უმური შეეყარაო“. მოიყვანენ ავადმყოფს ექიმბაშ ანეტასთან ან თვით „ექიმს“ ავადმყოფთან.

ანეტა გარდა ავადმყოფის ჭირისუფლებისა ყველას გარეთ გამოისტუმრებს. კარებს ჩაიკეტავს, ფარდებს ჩამოუშვებს. ნახშირს და საინით წყალს მოატანინებს, საინს გვერდით შემოიდებს თავის დაჟანგულ შავტარიან დანას, შემდეგ ავადმყოფის გვერდით დაიჩოქებს და მოჰყვება ბუტბუტს: სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმინდისათა. პირითა, ცულის მონაჭრით, ცულსა ტარად ერგებოდეს, ჩემი ლოცვა და ჟიდრება ბავშვთა წამლათ შერგებოდეს“...

ლოცვას რომ დაასრულებს ისე მოინგრევს ანეტა ყველა ყბას, რომ ვაჟკაცი უნდა იყო, მის შეხედვაზე გული არ შეგიწუხდეს. თანვე დაჰყოლებს: „ბერა ჩამიჩინებენ ეს ბრიყვი კომწონელები, არ იწამო ეშმაკი, აბა ვინ კუდიანია თუ არ ეშმაკები რომ ასე უღვთოთ მინგრევენ ყბასო“. შემდეგ მისვანვე შელოცვილ ნახშირს ყბაზე ჯვრათ გადაისვამს და სახე თვალის დახამხამებაში უსწორდება.

მოდი და ნუ დაიჯერებ ამის შემდეგ ანეტას ღვთაებრიობას და ჯადოსნურ ძალას. ამ სურათის შემყურე დედაკაცები, მონანიების ნიშნად გულში ხელს იცემენ და გაიძახიან: „ვაი, ჩვენ ბრალი, ცოდვილების და უკულმართების. ღმერთო ნუ გვიწყენ. ან ჩვენ, ან ჩვენ ქმრებმა და შვილებმა თუ რამე შეგცოდესო“.

წასვლის წინ ანეტა ბავშვს, თუ სიარულის ძალა კი შესწევს, ფეხზე წამოაყენებს, დააჯენს წალდის ტარზე და ხან წალდს და ხან ყულფს სამჯერ შემოატარებს ოთახს. ასეთი ექიმობის შემდეგ, რომ მოკვდეს ავადმყოფი, ჭირისუფალს იმდენად გული არ დაწყდება: „რა უყო, გენაცვალე, ხელი არ მომიკლია, ექიმობა მას არ აკლდა და წამლობა, ალბათ ასეთი ყოფილა ღვთის ნებაო“.

ანეტას რა ენაღვლება. შრომა იმას დიდი არ მიუძღვის და ჰკნება. ან, მე შენ გეტყვი, იარაღების საამორტიზაციო ხარჯები ედება. მისი ადგილიკი ყველაზე უფრო უბრალოა, მხოლოდ თითო ვიზიტი სამ მანეთად დაბლა, თქვენ არ მომიკვდეთ, არ შეიძლება. ხუმრობა ხომ არაა, არშინი ჩითი სამი აბაზი ღირს.

მეკორბ.

„ვითო სუმი კვირკვე“

(ჭოღის თემი, ზუგ. მაზრა)

ეს თემი ღარიბია. აქ მთელი მოსავალი ნახევარ წელიშიც არ ყოფნით. სამაგიეროთ ჩვეულებით აქვთ 13 ივლისი (ძვ. სტილით) იდღესასწაულონ.

ამ დღისათვის ყველა, გაფაციცებით ემზადება. ეს დღე საეკლესიო დღესასწაულად აქვთ გამოცხადებული. გასაბჭოებამდე, ილოცხლეთ, აჭაურ მღვდლებისათვის სანატრელი იყო 13 ივლისის გათენება. ამ თემიდან გათხოვილი თუ გასათხოვებელი ამ დღეს უნდა მისულიყო შესაწირავით, კვერებით, ბატკან-შემწვარ—ქათმებით და სანთელ მიკრულ ვერცხლის ფულებით.

გასაბჭოების შემდეგ ეს ჩვეულება ერთხან დაივიწყეს, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ცამეტი ივლისობა, ანუ, როგორც აქ ეძახიან „ვითო სუმი კვირკვე“ ისევ მოაგონდათ.

ამ დღეს ყოველ ოჯახში ქეიფია და სტუმრობა. ივლისი საერთოდ ჩვენში ცნობილია მშიერ თვედ, რადგანაც ახალი ამ ხანებში არაფერი არ არის შემოსული და ძველი კი გათავებულია. აი, სწორედ ასეთ დროს იმართება ეს გამანიავებელი დღეობა.

ოჯახი არ არის, რომ ათი თუთხმეტი, ოცდაათიც, არ იყოს სტუმარი, უსტუმრობა „ვითო სუმი კვირკვეს“ სამარცხვინო და გასაკიცხავია. ივლისის პაპანაქება სიცხეში ღვინით გალეშილი ხალხი თავს იყრის შემდეგ ეკლესიის ეზოში. ცხადია, თუ რა დატრიალდება აქ ღვინისგან აწეულ ხალხში. შეიქნება ცემა-ტყეპა, წივილ-კივილი და სროლა. ბედნიერია ის, ვინც ამ დღეს მშვიდობიანათ გადარჩება.

წლევანდელ 13 ივლისს, მე გავხდი მოწმე ამ საშინელებისა. ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ვინ ვის სცემდა, არავინ გაეგებოდა.—ერთი ვიღაც ჩიქოვანს ბეჭი ჩამოათალეს ხანჯლით, დაეჭირა დამშრალი და ჰოი, საშინელება.

მე ვნახე იმ დღეს ნასტუმრალი ოჯახი. უზარმაზარი სუფრა (ტაბაკი) სავსე იყო ხელ უხლებელ საჭმლეებით—ერთი ჰქონდა ჭამის თავი—ღვინით იყო ხალხი გალეშილი. მეორე დღისათვის კი, ის მხოლოდ ძაღლებისათვის გამოდგებოდა ისე იყო ამყრალებული და ასეთი სუფრის გამწყობი ღარიბი გლეხი იყო. ეს მაინც ჩვეულება უნდა მოისპოს. ბევრია სხვა კულტურული მნიშვნელობის დღეები, რევოლიუციონური დღეები, რომელთაც არც კამპანია სჭირდება და არც მღვდელი,

ი. ლაგვილავა.

სასამართლო

8.000 მანეთის გაფლანგვა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. ფოთოლაშვილმა დაასრულა წინასწარი გამოძიება იოსებ აპარინის საქმეზე.

აპარინს ბრალდება სახაზინო ფულების მითვისება და გაფლანგვა.

1924 წ. 10 თებერვალს, აპარინი ირიცხებოდა განსახკომთან არსებულ შემნახველი სალაროს მოლარეთ. შემდეგ აპარინი მოხსნილი იქნა თანამდებობიდან და დაინიშნა შემნახველ სალაროს შუამავალის თანამდებობაზე. აპარინი ამ თანამდებობიდანაც იქნა დათხოვნილი სალაროდან 800 მანეთის დაკარგვის გამო.

ამის შემდეგ მოხდენილ იქნა სალაროს რევიზია და აღმოჩნდა 5.000 მან. მეტი სახაზინო ქონების გაფლანგვა.

საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურას და დაიწყო წინასწარი გამოძიება.

წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა, რომ აპარინი, როგორც შუამავალი, ექვემდებარებოდა თბილისის მესამე შემნახველ სალაროს, მას დებულების ძალით, არც სალარო ჰქონდა თავისი და არც წიგნები და დავთრები და მის მიერ წარმოებული ყველა ოპერაციები უნდა გაეტარებინა მესამე ცენტრალურ სალაროს წიგნებში.

საბუხჰალტერო ექსპერტიზით გამოირკვა, რომ აპარინს 1924 წ. 12 მაისიდან ამავე წლის 25 ივლისამდე გაუფლანგავს არა 5.000 მანეთი, არამედ 6.943 მან. და 90 კაპ.

ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ბრალდებული ადგენდა ყალბ საბუთებს.

სახაზინო ქონების გაფლანგვას ბრალდებული სხვა გზითაც აწარმოებდა; შემნახველ სალაროში შემოსულ სალარო ნიშნების თანხიდან ისესხა 3.533 მან. და 49 კაპ. შემნახველ სალაროს კლიენტების დასაკმაყოფილებლად. ამ ვალის დასაფარავად სალაროდან გამოსწერა 4.981 მანეთი და 11 კაპ., განსხვავება 1.427 მანეთი კი მიითვისა.

წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებული აპარინი ეწეოდა ხელგაშლილ ცხოვრებას და მიუხედავათ მცირედი ჯამაგირისა, ის ქეიფობაში ატარებდა დროს.

გარდა ამისა, აპარინმა თბილისის საბჭოთა სახლების გამგეთ ყოფნის დროს მიითვისა 1.200 კრამიტი.

ამ საქმეში აპარინის გარდა პასუხისგებაში მიცემულია პეტრე ქაჯაია.

ქაჯაიას ბრალი ედება იმაში, რომ აპარინთან წინასწარი შეთანხმებით, მისცა მას—შემნახველ სალაროს წიგნაკი, რომელშიაც აპარინმა მოათავსა ყალბი ცნობები პეტრე ქაჯაიას მიერ შემნახველ სალაროში 2.024 მანეთის შეტანის შესახებ.

საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

„პატარა შეცდომება“

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით გორში გაარჩია ნიკოლოზ ესიაშვილის საქმე.

ესიაშვილს ბრალდებოდა ყალბი საბუთების შედგენა.

ესიაშვილი მსახურებდა ბორჯომის სადგურის რკინის გზის მწონავად. ახალციხის ბინათლმა ექიმმა მოქ. მეტრეველმა ესიაშვილს დაავალა ორი ყუთი შოტის გადაგზავნა ახალციხეში. ბრალდებულმა დავალება შეასრულა, მაგრამ გადასაზავნ ანგარიშებში მან ყალბი ცნობა შეიტანა.

სასამართლოში ბრალდებულმა განაცხადა, რომ სიყალბე ჩაიდინე ოჯახური მდგომარეობის ნიადაგზეო.

სასამართლომ ესიაშვილს მიუსაჯა პირობითი სასჯელი.

წილაშვილის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია გრიგოლ წილაშვილის საქმე.

ბრალდებული 1925 წ. იყო რუისის თემის აღმასკომის თავმჯდომარეთ. წილაშვილი არ ასრულებდა მასზე მაღლა მდგომ ხელისუფლების კანონიერ განკარგულებას, რაც გამოიხატებოდა შემდეგში:

1925 წ. ივნისში, რუისის თემში ლადო და გიგუცა გურასაშვილებს მოუვიდათ უსიამოვნება მიწის გაყოფის ნიადაგზე. პირადი ნაცნობობით ბრალდებულმა საკითხი სრულიად უკანონოთ გიგუცა გურასაშვილის სასარგებლოდ გადასჭრა.

გარდა ამისა, მან უდანაშაულოდ სცემა სოსო გურასაშვილს.

სასამართლომ წაყენებულ ბრალდებებში წილაშვილი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასჯელი შეუმცირა ერთი წლით.

გაფიცვა

ინდო-ევროპიულ ტელეგრაფზე

ოდესიდან, საგაფიცვო მთავარ კომიტეტისაგან და სოხუმიდან ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა დღეს მიიღო დეპეშა,—რომელშიაც ნათქვამია, რომ გაფიცულ მუშათა სულიერი განწყობილება კარგია, მდგომარეობა უცვლელია. ადგილობრივი პროფორგანიზაციებიდან შემოდის შემწეობები.

გაფიცულთა დასახმარებლად

გუშინწინ ფოსტა-ტელეგრაფის მუშათა კლუბში შესდგა საღამო-წარმოდგენა გაფიცულთა სასარგებლოდ.

საღამოში მონაწილეობა მიიღო თბილისის საუკეთესო მსახიობებმა. ქობულეთიდან სპეციალურად ჩამოვიდა მომღერალი სანდრო ინაშვილი.

საღამოს საზოგადოება ბლომად დაესწრო. წმინდა შემოსავალი უდრის 400 მანეთს.

დახმარება ინგლისელ მემაღაროებს

62.689 მან. საქართველოს მუშებისაგან მემაღაროებს

1-ლ სექტემბრამდე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში პროფორგანიზაციების საშუალებით შემოვიდა ინგლისელ მემაღაროების სასარგებლოთ პროფკავშირის წევრებს შორის შეკრებილი 62.689 მან. და 39 კაპ.

ამ თანხიდან 62.250 მან. გადაეგზავნა საკავშირო პროფსაბჭოს.

პროფკავშირებში

ასეთი ადმინისტრატორები უნდა აილაგმონ

საქმე შემდეგში მდგომარეობს. ა.-კ. საკრედიტო ბიუროში მსახურობდა ბუხჰალტერის თანაშემწის თანამდებობაზე კავშირის წევრი ამხ. გ. აზატიანი, რომელიც ადმინისტრაციის განკარგულებით მოხსნილი იქნა თანამდებობიდან 1925 წ. 15 ივლისს, იმ მოტივებით, რომ ვითომ ამხ. აზატიანი არ შეეფერებოდა თავის თანამდებობას, მაგრამ როდესაც კავშირმა მაგრად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი, დაგვეხატა სულ სხვა სურათი ამხ. აზატიანის დათხოვნის მიზეზებისა.

მთავარ მიზეზებათ, რომელიც საფუძვლად დაედო ამხ. აზატიანის დათხოვნას, ჩვენ ვაღიაროთ შემდეგი:

1. ამხ. აზატიანი, როგორც ძველი კავშირის წევრი და ძველი საზოგადო მოღვაწე მასთან ა.-კ. საკრედიტო ბიუროში თანამშრომლების მიერ არჩეული შრომის დაცვის რწმუნებულად დაწესებულებაში, აქტიურად გამოდიოდა ადმინისტრაციის წინააღმდეგ და იცავდა არაკანონიერად დათხოვნილ თანამშრომლების ინტერესებს, და იბრძოდა კოლხელშეკრულების მიხედვით თანამშრომლებისთვის არა კანონიერად მიღების წინააღმდეგ.

2. ამხ. აზატიანი გამოდის თანამშრომლების საერთო კრებაზე ადმინისტრაციის და ადგილკომის მუშაობის ირგვლივ საქმიანი და სალი კრიტიკით და მიუთითებს ნაკლებზე, როგორც ადმინისტრაციას, ისე ადგილკომს.

3. ამხ. აზატიანს არა ერთხელ მიუმართავს ადმინისტრაციისათვის ოფიციალური განცხადებით, რომ საფინანსო განყოფილება არ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე.

ამხანაგი აზატიანი, იძულებული გახდა, ვინაიდან მისი ოფიციალური განცხადება ადმინისტრაციის მიმართ უკანასკნელის მიერ უყურადღებოთ დარჩა, მიემართა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ც. გამგეობასთან არსებულ მთავარ სამეურნეო ბიუროსათვის, რათა უკანასკნელს მოეხდინა გამოკვლევა საფინანსო განყოფილებისა და თავის დასკვნა გამოეტანა (გამოკვლევა მოხდა სპეციალური კომისიის მიერ, სპეციალისტ-ბუხჰალტერების შემადგენლობით. გამოკვლევამ, რომელმაც სავსებით დაამტკიცა ამხ. აზატიანის განცხადების სამართლიანობა). ამხ. აზატიანი დათხოვნილი იქნა თავის თანამდებობიდან არა იმიტომ, რომ ის ვითომცდა არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას, არამედ იმიტომ, რომ ადმინისტრაციის არ მოსწონდა მისი ყოფა-ქცევა, სალი და საქმიანი კრიტიკა, მის მიერ წარმოებული ბრძოლა ადმინისტრაციის წინააღმდეგ უკანონოთ მოქმედებისათვის.

განიხილა რა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმმა საქმე, დაადგინა, ეს საქმე გადაეცემოდა შრომის სასამართლოში.

შრომის სასამართლოში საქმე დაინიშნა გასარჩევათ 1925 წ. 16 სექტემბრისათვის. მაგრამ ა.-კ. საკრედიტო ბიუროს ყოფილი გამგე ამხ. ოკუჯავა ოფიციალური განცხადებით არჩუნებს შრომის სასამართლოს და ითხოვს საქმის გადადებას, ფინანსის ამხ. ოკუჯავამ წამოაყენა ამხანაგი აზატიანის წინააღმდეგ დამატებითი ბრალდება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-193 და 198 მუხლებით.

ამრიგად საქმე შრომის სასამართლოდან გადადის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში, რომელიც შეუდგა კვლევა-ძიებას. ამ კვლევა-ძიებამ გასტანა 1926 წ. 8 იანვრამდე.

8 იანვარს დაინიშნა და გაარჩია წაყენებული დამატებითი ბრალდება ოლქის სასამართლოში, რომელმაც ამხ. აზატიანი გაამართლა მხოლოდ დისციპლინარული წესით საქმის გარჩევა გადასცა სათანადო ორგანოს. არ ვიცით, თუ რით იყო გამოწვეული უკანასკნელი და რით იხელმძღვანელა ოლქის სასამართლომ.

16 იანვარს ა. წ. საქმე ხელმეორედ ინიშნება შრომის სასამართლოში. მაგრამ აქაც ამხ. აზატიანს ბედმა არ გაუღიმა. ა.-კ. საკრედიტო ბიუროს ახალ გამგეს ამხ. რიბალსკის შემოაქვს განცხადება შრომის სასამართლოში, რათა საქმე იქნეს გადადებული, ვინაიდან წამოუყენა ამხ. აზატიანს ახალი ბრალდება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით. საქმე ხელ-ახლა შეჩერდა.

დარწმუნებული იმაში, რომ დანაშაულია ადმინისტრაცია და არა აზატიანი, რომ აზატიანი საქმეს მოიგებს, რიბალსკი მოდის კავშირში და ითხოვს საქმის შინაურად გათავებას.

4 მარტს ზაკკრედიტბიუროს გამგე ამხ. რიბალსკი დამატებით ბრალდებას უყენებს აზატიანს. თითქოს, ის თავის მდგომარეობას სამსახურში იყენებდა ბოროტად და სხ.

ზაკამომჩივლე პროკურატურამ დაადასტურა, რომ ყველა ბრალდებები მოკლებულია სინამდვილეს და სისხლის სამართლის ნაწილში ბრალდება სავსებით მოისპო, მხოლოდ დაადასტურა ოლქის სასამართლოს დადგენილება, დისციპლინარულ წესით მასალების სათანადო ორგანოში გადატანით პასუხის მოსათხოვად.

საქმე კავშირს გადააქვს და ასაჩივრებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც თავის სხდომაზე 11 აგვისტოს ამხ. აზატიანი სავსებით გაამართლა.

ამხ. აზატიანის აღდგენის და მთელი ნაცდური დროის ჯამაგირის ანაზღაურების საკითხი მესამეჯერ იყო დასმული შრომის სასამართლოში 30 ამა აგვისტოს. მიიღო თუ არა უწყება ამხ. რიბალსკიმ, საჩქაროდ დასწერა განცხადება და გადაუგზავნა შრომის სასამართლოს. ის აცხადებს, რომ მიემგზავრება სამსახურის გამო მივლინებაში, მისი მოადგილე კი ავად არის და თხოულობს საქმის გადადებას.

ამ რიგად ის არ გამოცხადდა სასამართლოში, მაშინ, როდესაც ის თბილისშია.

როგორი სურათი იშლება ჩვენს წინაშე ყველა ზემოთ თქმულის შემდეგ. სურათი შემდეგია:

ამნაირად: 1) ა.-კ. საკრედიტო ბიუროს ადმინისტრაციამ მოინდომა დაჩაგვრა კავშირის წევრის, დაჩაგვრა იმ ამხანაგისა რომელსაც აქვს დიდი სტაჟი და იბრძოდა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

2) ზაკკრედიტბიუროს ადმინისტრაციამ საკავშირო ფართო მასის თვალში შებღალა ავტორიტეტი იმ ორგანოსი, რომელსაც ეწოდება პროფესიონალური კავშირი.

3) ზაკკრედიტბიუროს ადმინისტრაციამ უარყო კავშირის კანონიერი მოთხოვნილება, ამით მან უარყო მთელი მუშათა კანონმდებლობა, მან შებღალა შრომის კოდექსის და კოლექტიური ხელშეკრულების ავტორიტეტი, თავის ჯიუტობით, უტაქტობით და უსაფუძვლო თავმოყვარეობით.

4) აღნიშნული საქციელით ადმინისტრაციამ ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, ვინაიდან ამხ. ფლექსერი ექვსი თვის განმავლობაში ერთი კაპეიკის ღირებულებას არ ქმნიდა, ხოლო ჩვენმა კანონმდებლობამ მას მიუსაჯა კუთვნილი ჯამაგირი.

ასეთი ადმინისტრატორები უნდა აილაგმონ. მ.-გ. ინსპექციამ საჩქაროთ უნდა მოკიდოს და გამოიკვლიოს საქმის მდგომარეობა ა.-კ. საკრედ. ბიუროს ადმინისტრაციაში.

ნ. ღლონტი.

რკინის გზეზე

ზარალის გამოკვლევა

კომისიამ, რომელიც აწარმოებდა თბილისში მატარებლის დამტვრევის მიზეზების და მით გამოწვეულ ზარალის გამორკვევას, საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ამ შემთხვევით გზებს მოუვიდათ ზარალი—25.667 მანეთის რაოდენობით.

ვაგონები ცენტრიდან

1924 წლის აქეთ წრევანდლამდე ამიერ-კავკასიის რკინის გზებმა ცენტრიდან მიიღო 15 ოთხ ღერძიანი და 96 ორ ღერძიანი ვაგონი.

ხანძართან ბრძოლა

სატელეგრაფო სადგურებში ხანძრის შემთხვევების თავიდან ასაცილებლათ, ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს მიერ გაცემულია განკარგულება, რომლის თანახმად სასტიკათ აკრძალულია სადგურების შენობებში: თუთუნის წევა ადვილად ასანთებ მასალების შენახვა და სხვა.

მატარებლების დაჯახება

30 აგვისტოს სადგ. ბალაჯარამში მატ. № 22 ეიბატში გაგზავნის დროს, შემოსასვლელ ისრებზე დაეჯახა მატ. № 193-ს უკანასკნელი შემოვიდა სადგურში, მიუხედავათ იმისა, რომ სემაფორი დახურული იყო. ამ შემთხვევის გამო მატ. № 22 დაზიანდა ორი ვაგონი, რომელთაც მოგლჯა კარები და სამ ვაგონს მოძვრა პლომბები. ხაზის დაზიანების და უბედურ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. მატ. № 22 ამ მიზეზის გამო დაკავებულ იქნა 3 საათით და 40 წუთით.

სანაინ - კალაგერანს შუა

30 აგვისტოს დილის 7 საათზე კალაგერან-სანაინის შუა მე-112 კილომეტრზე მატ № 12 დაეტაკა ორ მსხვილფეხა საქონელს. ლიანდაგის, მატარებლის დაზიანებას და უბედურ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

ვაგონის გადავარდნა

30 აგვისტოს დილის 8 საათზე სადგ. შულავერში მატ. № 403-ზე ვაგონის მიბმის დროს, მეისრე აბრამიშვილის მიერ ისრის არასწორად დაყენების გამო ლიანდაგიდან გადავარდა ერთი ვაგონი ორი ბორბლით და მიიღო ერთით. ვაგონები ამოიღეს ერთი საათის შემდეგ. მატ. № 12-მა სადგ. შულავერში დაიგვიანა ნახევარი საათით.

◆

ქუთაისის ამბები

გრძელვადიანი სესხი

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ სასოფლო სამეურნეო მშენებლობისათვის გასცა გრძელვადიანი სესხი—10.000 მანეთის რაოდენობით.

გაცემულ სესხების რაოდენობა

სასოფ.-სამ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ, დასავლეთ საქართველოს სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებზე წელს გასცა შემდეგი სესხები: 40.000 მან. მუშა საქონლის შესაძენათ. 35.000 მან. თამბაქოს მეურნეობისათვის, 9.000 მან. სხვადასხვა კულტურებისათვის და 7.000 მან. მეფუტკრეობისათვის.

კრამიტის ქარხანა

ონის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა კრამიტის ქარხნის აგებას. ამ მიზნისათვის სასოფ.-სამ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ მას მისცა 3.500 მანეთი გრძელვადიანი სესხის სახით.

◆

მეცნიერება და ტეხნიკა

ხელოვნური მიწისძვრები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა

ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი პ. პ. ლაზარევი ამჟამად აწარმოებს ცდებს ხელოვნურ მიწისძვრებზე მათი საშუალებით მადნების საბუდოების აღმოჩენის მიზნით.

პრუსიის წარმომადგენლებთან საუბარის დროს აკადემიკოსმა პ. პ. ლაზარევმა შემდეგი განაცხადა თავისი ცდების შესახებ:

— როგორც ვიცით, ბუნებრივმა მიწისძვრებმა, რომლებსაც ადგილი აქვთ დროგამოშვებით და რომლებსაც აღნიშნავენ სპეციალური სუსტი ხელსაწყოები—სეისმომეტრები, შესაძლებლად გახადეს კოსმიური ფიზიკის მთელ რიგ საინტერესო გამოცანების გადაჭრა და დედამიწის ულრმეს ფენების გამოკვლევა.

ამ გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ დედამიწის ზედაპირიდან 1500 მეტრის სიღრმეზე არის ფენა, რომელიც დედამიწის ქერქს ყოფს უფრო ღრმა, უფრო მკვრივ და მაგარ ჯიშებიდან, რომლებიც (როგორც სხვა ცდებით დამტკიცდა) შესდგებიან რკინისა და სხვა მძიმე ლითონებისაგან.

ცდებს, ხელოვნური მიწისძვრების მოსახდენათ, მადნების საბუდოების გამოსარკვევათ, ახდენდენ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ, სამწუხაროთ, მათი შედეგები საერთო სამეცნიერო ლიტერატურაში არ შესულა და ამ ცდების მწარმოებელ უცხოეთის საზოგადოებათა საიდუმლოებას წარმოადგენს.

ამჟამად ეს ამოცანა—სეისმიური მეთოდების გამოყენება მადნეულობის საბუდოების გამოსარკვევად—ჩემ მიერ გადაჭრილია. ცდებმა, რომლებიც ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტმა მოახდინა, სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. დამტკიცდა, რომ სავსებით შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება.

ხელოვნური მიწისძვრის გამოსარკვევათ ახდენენ აფეთქებას ან დიდი სიმაღლიდან აგდებენ მძიმე ტვირთს.

ტალღები, რომლებიც ამ დროს წარმოიშობიან, გაირბენენ დედამიწის ქერქში და შეხვდებიან რა გზაში მადნის საბუდოებს, განიტყორცნებიან უკან, რასაც აღნიშნავენ სეისმომეტრები.

როგორც წინასწარი ცდებით დამტკიცდა, მადნების საბუდოების ადგილმდებარეობის გამოკვლევის შესაძლებლობა მეტად დიდია.

უფრო გრანდიოზული მასშტაბით 1924 წ. ზაფხულში გამოიწვიეს ხელოვნური მიწისძვრები საფრანგეთის ცენტრში, კლერმონ-ფერრანის ახლო, სადაც აფეთქეს 600 ფუთამდე ასაფეთქებელი მასალა. გარდა დიდი მიწისძვრისა. რომელიც აღნიშნულ იქნა სეისმომეტრების მიერ, საინტერესო იყო კიდევ ის, რომ აფეთქების ხმა, რომელიც არ გაუგონიათ პარიზში, გაიგონეს ლონდონში, რომელიც აფეთქების ადგილიდან გაცილებით შორს მდებარეობს. აფეთქების ხმა გაიგონეს აგრეთვე ვენაში.

ამრიგათ დადასტურდა არტილერისტების დაკვირვებები, რომ არის განსაზღვრული ზოლი—დუმილის ზოლი, რომლის იქით ხმა ისევ ისმის.

ბიბლიოგრაფია

„ქართული მწერლობა“, № 2-3

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა

„აღიარებს რა საბჭოთა ხელისუფლებას იმ უპირველეს ფაქტორად, რომელიც მრავალ **საშუალებას იძლევა ერთის წინსვლისას და კულტურულ განვითარებისათვის**, ქართული მწერლობა, როგორც გამომხატველი ხალხის სურვილებისა და მისწრაფებების, დაკავშირებული ისტორიულად მშრომელი ხალხის საუკეთესო მოძალისათვის ბრძოლასთან, ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია სათავეში ჩაუდგეს საქმეს ერის ინტერესთა რეალურად გაგებისას და მოუწოდოს ქართველ ხალხის ყველა წრეებს, კერძოდ ქართველ ინტელიგენციას, **საბჭოთა ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებისაკენ**“.

ეს გახლავთ სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის მიერ პოლიტიკურ მომენტზე მიღებული რეზოლუციის მეხუთე მუხლი.

„აქ სთქვეს, ჩვენ რევოლიუცია მივიღეთ, მაგრამ ამის გამოცხადება არ არის საკმარისი, **საჭიროა საქმით დამტკიცება**“.

ეს გახლავთ ამონაწერი ქაქართველოს კომუნისტურ პარტიის პასუხისმგებელ ორატორის სიტყვიდან მწერალთა კავშირის ყრილობაზე.

„ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაალრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან“.

ეს კი გახლავთ ამონაწერი ს. აბაშელის ლექსიდან „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“, რომელიც მოთავსებულია ქართველი მწერლობის № 2-3-ში.

რა ლოღიკური კავშირია ჩვენ მიერ მოყვანილ ციტატებში? პირველ ყოვლისა, იგვი არაა, რომ მწერალთა ყრილობის დეკლარაცია „საბჭოთა ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებისა“ სისწორით გამოხატავს ქართული ხელოვნების მუშაკთა დიდი უმრავლესობის სულისკვეთებას, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ზოგიერთებისთვის ამ მწერლობიდან, იგი მხოლოდ სიტყვაა. საზოგადოდ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვა“, როგორც მოგეხსენებათ. ამიტომ ამ „საქმის“ მოლოდინში ვიმყოფებით ჩვენ, რომლებმაც ასე კმაყოფილებით მოვისმინეთ ქართველი მწერლობის დიდი უმრავლესობის მისწრაფების გამომხატველი პოლიტიკური დეკლარაცია.

მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ს. აბაშელმა არა თუ საქმით, სიტყვითაც კი უარყო ყრილობის დაპირება. საბჭოთა ხელისუფლება „მრავალ საშუალებას იძლევა ერის წინსვლისა და კულტურულ განვითარებისათვის“, ვკითხულობთ ყრილობის ზემოდ მოყვანილ რეზოლუციაში, მაგრამ ჯერ კიდევ „ქართული მწერლობის“ პირველი ნომერი აკინძული არ იყო, რომ მეორე ნომრისათვის აბაშელს ჯიბით დამზადებული დაჰქონდა ყრილობის რეზოლიუციის ანტიტეზა ლექსად:

„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,
დაეცა ლოცვა და პოეზია,
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი,
და ახალს — ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება: ლექსს რად არ შველის,
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად,
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა.
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაალრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან“.

რა არის ეს? გალექსილი ნაციონალისტური ქარაგმები, თუ „ზეგარდმო სულით მონაბერი „წმინდა პოეზია“, რომლისთვისაც „უცხოა“ ყოველივე ბიწიერი და ამქვეყნიური? ვისი, ან რისი გამასხარავებაა ეს? თავის თავის, ყრილობის, თუ სხვა ვინმესი?

როგორც მწარე ირონია, როგორც აბაშელის ლექსის სრული უარყოფა, ისე მოისმის ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებული მთელ რიგ ქართველ პოეტების ლექსები, როგორც მაგალითად ს. ფაშალიშვილის („სიტყვა ჩემს საუკუნეს“) კ. ლორთქიფანიძის („ექსი სიმღერა“) რ. გვეტაძის („მერკვილაძის დები“) და სხ.

„ახლა ქუხილი არ ისტამბება“, სწერს აბაშელი. საკვირველია, როდის ან სად გაჰქუხა აბაშელის პოეზიამ, როდის, ან სად აუძგერა ბრძოლისათვის გული მისმა კალამმა მშრომელ მოსახლეობას? „მზის მგოსანი“—ასე მონათლა ერთ დროს ქართულ ლიბერალურმა ინტელიგენციამ აბაშელის პოეზია, მაგრამ მაშინაც და ახლაც ისე ვერ უძლებს აბაშელის პოეზია ამომავალ მზის სხივებს, როგორც ჰოტი დღის სინათლეს. აბაშელს ყველაზე ნაკლებ ეთქმის საყვედური „ქუხილის“ არ დაბეჭდვისთვის, რომ სასაყვედურო მართლაც რაიმე იყვეს ამ მხრივ ჩვენში. ის არც ისე სწვიმს, როგორც „ჰქუხს“ და არც ისე ჰქუხს, როგორც „იწვიმებს“.

სულ სხვაა ქართველ მწერლების დიდი ნაწილის განწყობილება, რომელნიც არ ჩამორჩენ რევოლიუციონურ სრბოლას, რომელნიც საუკუნეს ფეხ და ფეხ მიჰყვებიან; მათი სულისკვეთების გამომხატველია თუნდაც იმავე ჟურნალში მოთავსებული ს. ფაშალიშვილის ლექსი, „სიტყვა ჩემს საუკუნეს“:

„მოხდა სივრცეში უეცარი ცეცხლის ანთება,
და შენ მოვარდი ლაგამ დახსნულ ელვების რაშით,
ხსნა ამბოხშია, გამარჯვება კი სისხლის ღვრაში,
ბარიკადებთან, თორემ ბრძოლა დაგვიანდება.
ათას საყვირით შენი გრგვინვა დღეს იფანტება,
აღმართე დროშა, ტრიბუნები და ეშაფოტი,
აატორტმანე დედა-მიწა, როგორც ნაფოტი,
და ორ სამყაროს ხერხემალზე გამწმენდ ზანთებად
ცეცხლის და რკინის ღვართქაფები გადაატარე,
დასჭიდე ურთ-ერთს, როგორც ორი გლადიატორი.
დიდია ხარკი, მიწას შენთვის რომ მოუცია,
შენთვის არ არის არც განკითხვა, არც სამართალი.
ბრძოლის ყიჟინი, როგორც მკაცრი მთავარსარდალი,
წინ მიუძღვები ფაფარ აყრილ რევოლიუციას“.

ასეთია თანამედროვე ქართველი პოეტის აღმაფრენა, პოეტის, რომელსაც ჩვენს საუკუნესთან არა მარტო ბიოლოგიური, არამედ იდეოლოგიური კავშირიც აქვს, რომელიც რევოლიუციის ძლევა-მოსილ ბორბალს არ „უჩხიკინებს“ ძველი ეანგით მოცულ კალმისტარს.

ამას გარდა, არ შეიძლება უყურადღებოდ დასტოვოს კაცმა „ქართული მწერლობა“-ს ამ ნომრის პროზის განყოფილება. რომ საქართველოს სიყვარულში ჩვენს მწერლობას „სული ამოსდის“, ეს არც არავის მიაჩნია ცოდვად, მაგრამ საოცარი ის არის, რომ, როგორც კი კალამზე მიდგება საქმე, ზოგი ლისაბონში გარბის, ზოგი პარიზში, ზოგი კიდევ, თუ ფეხი დაუცდა და სამშობლო ტერიტორიაზე ამოჰყო თავი, უთუოდ ისეთ რამეზე სწერს, რასაც შორეული ნათესაური კავშირიც არა აქვს ჩვენს დღევანდელ სინამდვილესთან.

„ქართული მწერლობა“-ს ამ ნომრის პროზას დიდი დანაკლისი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არსად და არც ერთ აქ მოთავსებულ ესკიზებს არ აზის თანამედროვეობის ბეჭედი. პროზაში ახალი საქართველო ცალი კუთხითაც კი არ მოჩანს. ამ ნაკლთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალში მოთავსებულ მოთხრობებიდან ზოგიერთები, როგორც მაგალითად ვასილ ბარნოვის „ნანატრი ნადირი“, განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას ქართული ენის სიწმინდით და სტილის სილამაზით.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე აკ. პაპავას ფრაგმენტები: „განახლებული მისია“. საოცარია პირდაპირ, რით ხელმძღვანელობდა რედაქცია, როცა პაპავას ამ იწილო-ბიწილოს ათავსებდა. წარმოუდგენელია, რომ საბჭოთა წყობილების პირობებში ისეთი წმინდა რეაქციონური, უკაცრავად სიტყვაა, „ნაშრომები“ ხახულობდენ მზის სინათლეს, როგორიც ბატ. აკ. პაპავას ჰამბურგიდან მონაძღვენი ნაცოდვილევია. ავტორის ცინიზმი აქ პირდაპირ ყოველ წრეს სცილდება: „განახლებული მისია“ ან თავის მოსატყუებლად, ან სხვისთვის თვალის ასახვევ სათაურადაა დასმული ამ წერილზე. შინაარსი ისე ეწინააღმდეგება სათაურს, როგორც წითელი ბოლოკის კანი და გული. პაპავა მოურიდებლათ გამოდის აღმოსავლეთურ არქაიზმის მათაყვანებელის როლში. ის გუნდრუკს უკმევს, საეცეხლურს ურწევს აზიურობას და აფრიკულობას, არა ამ სიტყვის გეოგრაფიული მნიშვნელობით, რასაკვირველია.

„სულ სხვაა აზიის და აფრიკის ძველი ხელოვნება, თუმცა ეგვიპტელთა უძველეს ნაშთებში მზიური გამოკვეთილობა და სისადავე სჩანს, მაგრამ იმდენი დინამიკაა შიგ, იმდენი ძველი ძალა, რომ დღეის ტიტანურ ტეხნიკასაც ტყვიასავით აწვება და ხერხემალს ულუნავს. არა, რა მინდა ვსთქვა, სწერს პაპავა წერილის დასაწყისში, რომ ჩვენი ტკივილების მიზეზი მეტი ევროპიელობაა: წინააღმდეგ—ტკივილები დიდია, რადგან ჭეშმარიტი ევროპიელობა ცოტაა, მაგრამ იმდენი მაინცაა, **რომ ქართულ ატავისტურ გრძნობიარობას და ვნებიანობას ჰკლავს**“.

მოდი და ელაპარაკე ამის შემდეგ პაპავას მგზავს პატრიოტებს. მას გული ეწვის ქართულ ატავისტურ ვნებიანობაზე. ის გვირჩევს ხელი ავიღოთ „ჭეშმარიტ“ ევროპიელობიდან, რომელიც ჩვენში იმდენი მაინცაა, რომ „ქართულ ატავისტურ გრძნობიარობას და ვნებიანობას ჰკლავს“.

მოკლედ, რომ მოვჭრათ—მოვშალეთ ზაჰესი, აჰყარეთ რკინის გზები, დალეწეთ ტრამვაი, დაამხეთ რადიო ანძები, გზა მიეცით მამა-პაპურ ურემს, კეხიან ცხენს, ხის სახნის, ყანწს და ჯეირანის მწვადებს.—ეს არ იქნება „ჭეშმარიტი ევროპიელობა“. ეს იქნება ძველი კაკლის ჩრდილში მთვლემარე თავად-აზნაურული და შრომისაგან წელში გატეხილი გლეხობის საქართველო. ეს იქნება „ქართულ ატავისტური გრძნობიარობის და ვნებიანობის შენარჩუნება.

ასეთია პაპავას „ფრაგმენტების“ პოლიტიკური „ფილოსოფია“. რად დასჭირდა ეს მას? ამაზე პასუხის გაცემა არც ისე ძნელია. ასეთი „ორიგინალური“ აზრებისათვის ჰამბურგში გამგზავრებაც არ იყო საჭირო. ასეთ სიბრძნეს, გაცილებით უფრო მკვეთრად, უხეირო პირობებისა და მატერიალურ სალებავების გარეშეც ვეტყვის თქვენ რევოლიუციის მიერ საბოლოოდ კუდ-მოფცქვნილი ყოველი სიღნაღელი აზნაურუკა, ან უსენაკოდ დარჩენილი „მოწამეთის“ მონაზონი. ქარხანამ და ტრაქტორმა დაანგრია ძველი ქვეყანა, რადგომ და ელსადგურებმა დაუბრმავა მას თვალი. „ჭეშმარიტი ევროპიულობა“ არ ეხმიება მამა-პაპურ ლიობას და ბოლოთას ცემას. „ზაჰესი“ გულში ესობა ძველი საქართველოს ყველა მოციქულებს.

პაპავას უტიფრობა ამით არ თავდება. ის, ასე გასინჯეთ, კომუნისტებზე · უურევოლიუციონერესი ყმაწვილი გგონებიათ. წარმოიდგინეთ, ასე პირდაპირ, წარბ-შეუხრელად აცხადებს:

„აღმოსავლეთის ფარული ბრძოლა ევროპის წინააღმდეგ უფრო ღრმაა, **ვიდრე დღეის რუსეთი ამას ხედავს**, და ინტერესთა დაჯახებით ხსნის. რუსეთიც ებრძვის ევროპის ახალ რაციონალობას, რომელსაც მეშჩანიზმად ნათლავს, მაგრამ ეს ბრძოლა მეორე, ახალ უფრო ეთიურ რაციონალიზმისთვის ხდება“.

„აღმოსავლეთის მხატვრული - ხელოვნური მეობა კი ევროპას სწორედ რაციონალიზმისთვის ვერ იგუებს, **სულ ერთია რა სახითაც არ უნდა იყოს ის**“.

ჯერ ერთი, ფაქტიური შენიშვნა; არ ვიცით კორექტურის ბრალია ეს, თუ ჟურნალის რედაქციის, როცა პაპავა აცხადებს: „ეს ბრძოლა (რუსეთის ბრძოლა) ახალ უფრო ეთიურ **რაციონალიზმისთვის ხდება**“-ო. აქ აშკარა ულოღიკობაა. „ეთიურ რაციონალიზმის“ ნაცვლად ეთიური მეშჩანიზმი უნდა ეხმარა ავტორს, როგორც ეს ამონაწერის შინაარსიდან პირდაპირ გამომდინარეობს, მაგრამ თუ სხვადასხვა დიპლომატიურ მოსაზრებით სიტყვას აუკრა. იმაზეც მადლობა პაპავას, ყოველ შემთხვევაში, მან რუსეთის დღევანდელი ბრძოლა „ევროპასთან“ იმდენათ დაზოგა, რომ „ეთიურ რაციონალიზმისათვის“ (იგულისხმება მეშჩანიზმის) ბრძოლად დაგვისახა.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე ამაში როდია? მაგარი ისაა, რომ „აღმოსავლეთის მხატვრულ-ხელოვნური მეობა, როგორც პაპავა ფილოსოფობს, ევროპას სწორედ რაციონალიზმისთვის ვერ იგუებს, **სულ ერთია რა სახითაც არ უნდა იყოს ის**“.

ამრიგად, პაპავას პასუხი მოკლე და მარტივია. არ გვინდა „ჭეშმარიტი ევროპა“, მოგვაშორე რაციონალიზმი, გინდ ბოლშევიკური იყვეს ის და გინდ ევროპიული. „აღმოსავლეთის მხატვრულ-ხელოვნური მეობა ვერც ერთ მათგანს ვერ ეგუება“. მორჩა და გათავდა, საკითხი ნათელია, როგორც ბროლის შუშა.

ყველაფერი ეს პაპავასაგან გასაგები და მისახვედრიცაა, მხოლოდ ვერ გაგვიგია. რამდენათ ივუება ასეთი ნაჩმახავი საბჭოთა საქართველოში დაბეჭდილ და გამოცემულ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოს?

ამიტომ ორიოდე სიტყვა თვით „ქართული მწერლობის“ რედაქციაზე. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში სიტყვა-კაზმულ მწერლობისათვის ისე ფართო ასპარეზი არაა მიცემული ხელისუფლების მიერ, როგორც საქართველოში. ამას ვერ უარყოფს ვერავინ, ვინც საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ ცხოვრებას რამდენადმე ახლო იცნობს. მაგრამ ყოველივეს საზღვარი აქვს. ნუ თუ „ქართული მწერლობის“ ხელმძღვანელები ერთი წუთითაც არ დაფიქრდენ, რა „პესნა“-ს ამბობს „მზის პოეტი“ აბაშელი, ნუ თუ პაპავას ფრესკებში უმან...ო მხატვრული ესკიზის გარდა ვერაფერი დაინახეს?

რედაქცია იმისათვის არსებობს, რომ კარგი ავიდან გაარჩიოს, მასალა სისტემაში მოიყვანოს და დაალაგოს. ამიტომაა, რომ ავტორთან ერთად პასუხისმგებლობა რედაქციასაც ეკისრება.

ეს რომ არ იყვეს, რა საჭიროა სარედაქციო აპარატი? იქნება ავტორი და სტამბა. „ქართული მწერლობა“-ში არ სჩანს რედაქციის პასუხისმგებელი ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი უხეიროთ შეზავებული ჟურნალის ნომერი არ გვექნებოდა.

სირცხვილია, სხვას რომ თავი დავანებოთ. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო ვერ ატარებდეს თვით ამ მწერალთა ყრილობის მიერ მიღებულ ხაზს.

აკ. ჟუღნია.

პარტკალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ პარასკევს ა.-წ. **3 სექტემბერს გაიმართება უჯრედების გაერთიანებული დახურული კრებები შემდეგ პუნქტებში:** 1) უჯრ. №№ 1 2 და 13—სამხედრო კომისარიატის სტამბა. მომხსენებელი მთვარელიძე, 2) უჯრ. №№ 3, 52 და 60 — პირველი სტამბა. მომხსენებელი საყვარელიძე, 3) უჯრ. 4 და 10—გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა მომხსენებელი მელნიკოვი, 4) უჯრ. 5, 6, 16, 67—მე-19 სანიტ. ბატალიონის კლუბი—მომხსენებელი ფეხიუკი, 5) უჯრ. № 7 — ფაბრიკა მომხსენებელი ალავერდიანი, 6) უჯრ. 8, 21, 9, 11—კამოს სახელობის სათამბაქო-საქარხნო სასწ. მომხსენებელი — ბუხნიკაშვილი, 7) უჯრ. 12 და 17—თბ. ელექტრო-მექანიკური ქარხანა—მომხსენებელი ლოლობერიძე, 8) ცეცხლის მქრობელი რაზმის კოლექტივი და უჯრ. № 26—კლუბი „კატორ“ მომხს. სნეგირევი, 9) უჯრ. 22, 41 და 51—ბელუთოვის ქ., 14 მომხსენებელი — ბუდილევი, 10) უჯრ. № 23—სახელმწ. უნივერსიტეტი — ერქომაიშვილი, 11) უჯრ. № 24—ადგილობრივ მომხს. კარკლინი. 12) უჯრ. 14, 25, 31, 43—შრომის სასახლე, მეტყევეთა კავშირი მომხს. მირიმანოვი. 13) უჯრ. 28, 30 და 59 — სახელმწიფო ოპერა —ქაცარავა, 14) მილიციის კოლექტივი — მილიციის კლუბი—ჯაფარიძე, 15) უჯრ. 32 და 34 — საქართველოს ფინსახკომი—ალნიაშვილი, 16) უჯრ. 33, 35 და 37—ა.-კ. ფინსახკომი—შეფტელი, 17) უჯრ. 27, 40, 63, 66—სახელმწ. ბანკი — აკირტავა, 18) უჯრ. 36 და 50—თბ. ალმასკომი — ხაჰაპურიძე. 19) უჯრ. 55, 57, 58 —ცხაკაიას სახელობის კლუბი, მომხ. რახმანი, 20) უჯრ. 42, 54, 64 და 46 — ა.-კ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველო — ათაბეგოვი, 21) უჯრ. 39, 44, 47 და 62 — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი — მომხს. კალატოზოვი.

ყველა მომხსენებლებმა უნდა შემოიარონ რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში მასალის და ინსტრუქციების მისაღებად. 2 სექტემბერს, დილის 9 საათზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას იძლევა გამოცხადდენ დაუგვიანებლად ა.-წ. 2 სექტემბერს თბ. კომიტეტის სააღრიცხ.-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან შემდეგი ამხანაგები: 1. მიკირტიჩ არტემის ძე ვართანოვი, 2. ვართან ოლანეზის ძე ასტვაცატუროვი.

— ხუთშაბათს 2 სექტემბერს, დღის სრულ 1 საათზე შესდგება საქართველოს ა. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტ. **მიმღები კომისიის სხდომა.** კომკავშირის ყველა კანდიდატების დასწრება, რომლებიც საბოლოოდ უნდა იქნან დამტკიცებული, აუცილებელია დაუგვიანებლად.

— ის ამხანაგები, რომლებიც თბილისის კომიტეტისა და მაზრკომისადმი წილეხდომილი განრიგებით იგზავნებიან ამიერ -კავკასიის კომუნისტურ „26“ სახელობის უნივერსიტეტში ვალდებული არიან გამოცხადდნენ ს. კ. პ. (ბ) [illegible] ა.-წ. 8 სექტემბერს.

ღრმად დამწუხრებული კლემენტი დავითისძე, პელაგია გრიგოლის ასული, ანდრია და გიორგი კლემენტისძე ლორთქიფანიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ქუთაისში პირველის შვილი და მეორეთა ბიძაშვილი,

დაუვიწყარი

ქეთევან დიმიტრის ასული
ლორთქიფანიძე

დაკრძალვა ქ. ქუთაისში 2 სექტემბერს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 საათზე. 3471

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე კონსტანტინე გიორგისძე და შვილი გივი (კუჭუნი) კანდელაკები, დედა ცაცუ, რძალი საშა, დები—ქეთო, მარო, ბაბუსი, და ძმები: გრიშა და გიორგი ასათიანები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 31 ამა აგვისტოს. უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

ფაციკო (ნელინიკა) კანდელაკისა

პანაშვიდი ყოველდღე ნაშუადღევს 6 საათზე. მოსკოვის ქუჩა № 13 საკ. ბინა. 3474

ღრმად დამწუხრებულნი, მამა ნიკო გრიგოლისძე ლეჟავა, დედა ანასტასი სევნიძე ლეჟავასი, ძმები სამსონი, ლადო და გრიგოლი ნიკოსძე ლეჟავეები, და ფაცია ლეჟავა—მელქაძისა, სიძე კოლია მელქაძე, დისწული სპარტაკი, მელქაძე, ბიძები, ტარასი და სევერიანე გრიგოლისძე ლეჟავეები, რძლები. აგრაფინა ბაქრაძე, ნინა გოცირიძე და ელენე ბაქრაძე ლეჟავეებისა, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფელ დიდი-ჯიხაისში 30 აგვისტოს, ღამის 3 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი

კარმენ ნიკოსძე ლეჟავა

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია, პარასკევი, 3 სექტემბერს ნაშვადღევის 3 საათი, სოფელ დიდ-ჯიხაისში. 3478

ა. წ. 1 სექტემბერს ს. ნოსირში გარდაიცვალა

იულონ როსტომისძე ძებუაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი მარიამ გიგოს ასული და შვილები: ფატი, პორფირე, ანდრია, ალექსანდრია, ილინი, მიხეილი და ნადიჟდა.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლუბა გიორგის ასული, შვილები: ვალოდია, კოკი და ლიდა, რძალი ოლია, სიძე ბიგლარ გობეჩია და, და ქიონია ბობოხიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ შაბათს, ა. წ. 4 სექტემბერს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება წირვის შემდეგ პანაშვიდი ს. მარტვილში გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო

ექიმის

კაპიტონ ლუკას-ძე გაჩეჩილაძე

3484

ცირკულიარულად

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატი ამით აქვეყნებს სიას იმ სახელმძღვანელოებისას, რომლებიც მიღებულია სკოლებში სავალდებულოდ სახმარებლად. ამასთანავე კომისარიატი აცხადებს სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა საყურადღებოდ, რომ კატეგორიულად აკრძალულია ხმარება ისეთი სახელმძღვანელოების, რომლებიც ამ სიაში არ არიან მოთავსებულნი.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

სახელმძღვანელოები
1926—27 სასწავლო წლისათვის
შრომის სკოლებისათვის

1. ჯგუფი

1. ვ. ძიძიგური და ა. გვახარია—„პირველი წიგნი“ – ფერად სურათებიანი; ანბანის შესასწავლი და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი.
2. მოძრავი ფერადი ანბანი—
3. ნ. მგელაძე, ნ. შაფაქიძე და ნ. კვინიკაძე—„არითმეტიკა შრომის სკოლაში“ ნაწ. 1-ლი (მასწავლებელთათვის).
4. ანბანის შესასწავლი პლაკატი

2. ჯგუფი

1. მასწავლებელთა ჯგუფი—„შრომა და ცოდნა“—მეორე, შესწორებული გამოცემა.
2. ნ. ძიძიგური და პ. აფხაიძე—„ჩირაღდანი“—ქართული ენის სახელმძღვანელო.
3. ნ. მგელაძე, ნ. შაფაქიძე და ნ. კვინიკაძე—„არითმეტიკა შრომის სკოლაში“ ნაწ. მე-2 (მასწავლებელთათვის).

3. ჯგუფი

1. ტ. და შ. თაბუკაშვილები—„აისი“ ნაწ. 1-ლი (საკითხავი წიგნი).
2. გ. ჭუმბურიძე—„ცისკარი“—ქართული ენის სახელმძღვანელო.
3. პ. ზუმბაძე და ა. გვახარია—„ბუნება და შრომა“ – ქართული ენის სახელმძღვანელო.
4. დევიძე, ლორთქიფანიძე და ხარაბაძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“.
5. მასწავლებელთა ჯგუფი—„ჩვენი მხარე“—სამუშაო წიგნი.
6. ს. ოცხელი და წულუკიძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“.
7. ფურცელაძე—„ჟივაია სტრუიკა“ – რუსული ენის სახელმძღვანელო.
8. შაფაქიძე— „თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია“ ნაწ. 1-ლი.
9. მასწ. ჯგუფი—„ჩეტირიოხლეტკა“.

4. ჯგუფი

1. ტ. და შ. თაბუკაშვილები—„აისი“ ნაწ. მე-2-რე.
2. ზუმბაძე და გვახარია— „ბუნება და ცოდნა“—ქართული ენის სახელმძღვანელო.
3. გ. ჭუმბურიძე—„თაიგული“—ქართული ენის სახელმძღვანელო.
4. ა. დევიძე, ს. ლორთქიფანიძე და ა. ხარაბაძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“.
5. ფურცელაძე—„ჟივაია სტრუიკა“—რუსული ენის სახელმძღვანელო.
6. შაფაქიძე—„თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია“ ნაწ. 1-ლი.
7. დონდუა— „ჩვენი მხარე, ქართლი“—დამხმარე წიგნი.
8. ნ. ძიძიგური და გოზრონიძე—„საზოგადოებათმეცნიერების სახელმძღვანელო“.
9. მასწ. ჯგუფი—„ჩეტირიოხლეტკა“.

5. ჯგუფი

1. მეტრეველი და ჩიქობავა—„ახალი ქვეყანა“ – ქართული ენის სახელმძღვანელო.
2. ხარაბაძე—„არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“.
3. ნ. შაფაქიძე—„თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია“, ნაწ. მე-2-რ
4. ს. იაშვილი— „სასოფლო-მეურნეობის ქვეყნები“ (აზია, აფრიკა და ავსტრალია).
5. იაშვილი—„ბოტანიკა“ (ბუბლიკოვის წიგნის მიხედვით შედგენილი
6. ა. ჩხენკელი— „ბუნება“ (არაორგანიული).
7. თ. ჭუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“ —5 და 6 ჯგუფისათვის

6. ჯგუფი

1. გორგაძე და შ. თაბუკაშვილი—„წითელი კანდელი“.
2. იაშვილი—„ბოტანიკა“ (ბუბლიკოვის წიგნის მიხედვით შედგენილი).
3. მენი და ტვისი—„ელიმენტარული ფიზიკა და მისი პრაქტიკული გამოყენება“—თარგმ. ა. სვანიძის.
4. მასწავლებელთა ჯგუფი—„სამუშაო წიგნი მათემატიკაში“.
5. ივ. გომელაური— „ქართველი მწერლები“ ნაწ. მე-2.
6. თ. ჭუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“—5 და 6 ჯგუფისათვის.

7. ჯგუფი

1. ს. გორგაძე და შ. თაბუკაშვილი— „ხომლი“ ნაწ. 1-ლი სალიტერატურო ქრესტომატია.
2. „ „ ნაწ. 2-რე.
3. უჩანეიშვილი და ძიმისტარიშვილი—„საქართველოს ისტორია“ ნაწ. მე-2 (დამხმარე წიგნი).
4. მენი და ტვისი—„ელემენტარული ფიზიკა“—ნაწილი 2-რე.
5. ქუთათელაძე—„საქართველოს გეოგრაფია“
6. ყავრიშვილი— „სვანეთი“ (დამხმარე წიგნი)
7. მასწავლებელთა ჯგუფი— „სამუშაო წიგნი მათემატიკაში“
8. ქუთათელაძე— „ზოოლოგია“
9. ცეცხლაძე— „ადამიანის ფიზიოლოგია (დამხმარე წიგნი).
10. თ. ჭუმბურიძე—„საზოგადოებათმეცნიერება“.

8 და 9 ჯგუფი

1. მასწავლებელთა ჯგუფი— „ახალი ქრესტომატია“ ნაწ. 1 (დამხმარე წიგნი)
2. „ „ „ „ 2 „
3. „ „ „ „ 3 „
4. ს. გორგაძე— „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“.
5. კ. სულაქველიძე—„სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია“.
6. ა. დევიძე და ა. ხარაბაძე—„სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია“ მესამე, შესწორებული გამოცემა.
7. ექ. ს. ლოსაბერიძე— „ჰიგიენა“
8. ვოლფსონი— „საზოგადოებათმეცნიერება“ (სრული კურსი).
9. ჯანაშვილი— „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“.
10. ს. ბერეჟიანი და ყიფშიძე—„ფიზიკური გეოგრაფია“.
11. ა. ჩხენკელი— „ბიოლოგია“.
12. სოზონოვი და ვერხოვსკი—„ქიმია“.
13. ბოგდანოვი— „პოლიტიკური ეკონომია“.
14. კოვალენკო—„პოლიტიკური ანბანი“ (დამხმარე)
15. ბერდნიკოვი და სვეტლოვი—„პოლიტ. ცოდნის კურსი“ (დამხმარე)
16. სტანჩინსკი—„პოლიტანბანი“—(დამხმარე)
17. ტიუმენევი—„შრომის ისტორია“ (დამხმარე).
18. კ. ბერიძე—„ლოგარითმების ცხრილი“.
19. ოცხელი და ეზიკაშვილი— „გეომეტრიულ ამოცანათა კრებული“.
20. სოზონოვი და ვერხოვსკი— „პირველი მუშაობანი ქიმიაში“ (დამხმარე).
21. ბეხტმანი— „საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია“ (დამხმარე).
22. კორნილოვი— „ფსიქოლოგია“.
23. ქავთარაძე— „პირველი მუშაობანი მიკროსკოპით“.
24. ნათაძე— „საქ. ისტორია“.
25. ლუკინი— „დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია“ (დამხმარე)
26. პოკროვსკი— „რუსეთის ისტორია“ (დამხმარე)
27. გ. ბიორბაძე—„ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“ (დამხმარე)
28. მაკალათია—„საზოგადოებრივ ფორმათა განვითარება“ (დამხმარე).

ტეხნიკუმ., პარტსკოლ., და მუშფაკებისათვის.

1. ჩხენკელი— „ბოტანიკა“
2. ბაჩეჩილაძე— „მეტეოროლოგია“ (გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის).
3. კვინიკაძე, მგელაძე და შაფაქიძე— „მათემატიკა“.
4. პ. ჩარექიშვილი— „მათემატიკა“
5. გულისაშვილი— „მანქანების ნაწილები“
6. ბ. ჭიჭინაძე— „ორთქლის ქვაბები“.
7. ვ. კაკაბაძე— „ელექტროტეხნიკა“.
8. ცეცხლაძე— „ადამიანი ფიზიოლოგია“.
9. ბრიშინი— „პოლიტიკური საუბარი“.
10. შ. ტაბიძე— „გავში კომუნისტური მოძრაობა“.
11. გ. ბიორბაძე— „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“ (დამხმარე).
12. მაკალათია— „საზოგადოებრივ ფორმათა განვითარება“ (დამხმარე).
13. გორევი— „სოციალიზმის ისტორია“ (დამხმარე).
14. ბეხტმანი— „მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია“.
15. ბაჩეჩილაძე და კ. ბერიძე— „ფიზიკა“ (გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის).
16. პ. საყვარელიძე— „ჩინეთი“ (დამხმარე).
17. კ. კორნილოვი— „ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო“.
18. ექ. თუმანიშვილი— „გინეკოლოგია“.
19. პ. ქავთარაძე— „პირველი მუშაობანი მიკროსკოპით (დამხმარე).

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარი—**დ. კანდელაკი.**
სახელმწიფო გამომცემლობის გამგის მოადგილე — **ნ. მიწიშვილი.**
სასკოლო განყოფილების გამგე—**ბ. გოგუაძე.**

შენიშვნა: დანარჩენი სახელმძღვანელოები დამატებით იქნება გამოცხადებული.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

უკანასკნელი დღეები 5 და 6 სერია
მსოფლიო შედევრი
„მანდრენ“
ანონსი: ამ დღეებში „ШАХ и МАТ“
მონაწილეობს პრისცილა დინ

შეუდარებელი მერი პიკფორდ საუკეთესო სურათში
დოროტი ვერნონ
(„დოროტი ვერნონ“ არაჩვეულებრივი წარმატებით სარგებლობს“—Кино Неделя“ № 83)

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ნ. 1613 0—23

კონტრაგენტების საყურადღებოდ
გაზ. „კომუნისტი“-ს
მთავარი კანტორა

აცხადებს ყველა კონტრაგენტების საყურადღებოდ, რომ 5 სექტემბრისათვის აუცილებლივ უნდა დაბრუნებულ იყოს დარჩენილი, გაუყიდავი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჩვენ მიერ გასასყიდათ გადაგზავნილი. თუ აღნიშნულ ვადამდე გამოგზავნილი არ იქნება გაუყიდავი ლიტერატურა იგი ჩაითვლება გაყიდულათ და შემდეგ უკან აღარ მიიღება კანტორის მიერ.

7—1 უფ. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 8 ენკენისთვეს, დილის 11 საათზე მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მერვე კომისარიატში, გონჩარისა და კუშისის (ყოფ. ამატუნის) ქუჩების კუთხეში მდებარე № 45 | 4, ორსართულიან—გონჩარის ქუჩის მხრიდან და სამ სართულიანს—ეზოს მხრიდან—სახლს, რომელიც შესდგება: 21 ოთახიდან, 5 სამზარეულოდან, 5 ფარდულიდან, წყალითა და კანალიზაციით. სახლი აწერილია ივანე შაბუნინის ვალში და შეფასებულია 1.200 მანეთად.

ვაჭრობა დაიწყება სახლის მდებარეობის ადგილას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 301, 311, 312, 313 და 314 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებათა დაცვით. 3479

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ლერმონტოვის ქუჩაზე დუქანი № 84. დანიშნულია 14 სექტემბერს, 1926 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა ვარლამ ლუკასძე გუბელაძის ქონების ოცდა ცამეტი წყვილი წითელი ტყავის ქალის ჩუსტების, ოცი რწყვილი შავი ტყავის ქალის ჩუსტების, თუთხმეტი წყვილი წუღის დაუმზადებელი საპირეების, ერთი ფეხით საკერავი პეტლის მანქანის შეფასებული სულ 96 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან კომუნალური ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ.

ნ. 1737

საპატენტო გადასახადის ავანსი

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს, რომ, საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს ა. წ. 23 აგვისტოს დადგენილების თანახმად, სავაჭრო (გარდა 1 ხარისხის) და სამრეწველო საწარმოოთა მფლობელნი და აგრეთვე, პირადი პატენტების შემძენი პირნი ვალდებულნი არიან შეიტანონ ავანსი ა. წ. 15 სექტემბრამდე 1926—27 წ. საპატენტო გადასახადის ანგარიშში, დაწესებულ ადგილობრივი თანხების დანარიცხით, რომლის რაოდენობა გამოიხატება შეძენილ ნახევარ წლიდის პატენტის ღირებულებაში. ამ დადგენილების ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს გადიდებულ ჯარიმების დადება და სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა დაბეჭვდას.

ავანსის შეტანის წესი დაწესებულია იგივე, როგორც პატენტების აღებისათვის, ე. ი. განცხადების შეტანა სათანადო ფინინსპექტორისათვის, პატენტის თანდართვით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად სარეწავი პატენტებისა გადამხდელთ მიეცემათ ქვითრები.

ფულის მიღებას აწარმოებენ შემოსავალ-გასავლის სალაროები და ქ. თბილისში კი ამის გარდა სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორა.

ბლანკების და ყოველგვარი ცნობების მიღებისათვის გადამხდელებმა უნდა მიმართონ სათანადო ფინინსპექტორის კანცელარიაში.

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარი **მგალობლიშვილი.**
გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეჟიტაშვილი**
ნ. 1736

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 სადამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
348 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.
25—1

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, ფლეკის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და სად. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან ავარაკ მანგლისი. 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიროს ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი **შ უ ხ მ ა ნ ი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89
25—

ექიმი
გ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. სად. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74. მე-6 საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

ექიმია. **ს. ფონ-ირტელი**
ხეივნის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა სიქმიო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

დაიკარგა მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მიერ გაცემული წითელ არმიელის წიგნაკი ივანე ილიასძე ლოლობერიძის სახელზე, ჩ. გ. 3479

დაიკარგა პასპორტი სერგო სიმონისძე მუსელიანის სახელზე, ჩ. გ. 3473

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 221 ემელიან ალექსისძე ყრუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3477

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 31544 აპალონ სიმონისძე ნიკოლაძეს სახელზე, ჩ. გ. 3483

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 4 № 8 ვასილ ივანესძე გაბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3481

დაიკარგა კომკავშირის მოწმობა № 606, ინვალიდობის მოწ. № 15 და მოპრის წევრობის № 281 არტაშ ვართანასძე ადაბოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1737

დაიკარგა პასპორტი და ასლი ქალ. თბილ. მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს 28 იანვარს, 26 წ. დადგენილებისა განქორწინების შესახებ. დავით ნიკოლოზისძე კოჩიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3475

დაიკარგა აღრიცხვის ბარათი № 108, პირადობის მოწმობა ილარიონ ზურაბისძე ფილიას სახელზე, ჩ. გ. 3480